



დიჯუანი

№ 1 / 20 მაისი - 2 ივნისი / 2009

პოლიტიკა კანონის წინააღმდეგ **83.41**

საპროტესტო აქციები - გარღამბიანი ფაქტორი **83.7**

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი **83.9**

შეწყალების სიები **83.44**

ეკონომიკური კრიზისი **83.11**


რუსეთ-აფხაზეთის სტრატეგიული პარტნიორობა **83.39**

ერთი სამომავლოს ორი ისტორია **83.33**

ქართული მეცნიერება - რეალობის განჯაღოება **83.54**

ფოკუსი: სომხეთი **83.58**

ISSN 1987-7528



ასალი
საქართველო

2004
2008

სპეცპროექტი / 13•32₈₃



რადიო „უცნობი“ წარმოგიდგინებთ დილის გადაცემას **„დილა მშვიდობისა“**

ნატა ასათიანთან და ვახო ხვიჩიასთან ერთად
ყოველ სამუშაო დღეს, დილის 9:00 დან 11:00 საათამდე.

- პოლიტიკური თემები
- მხიარული საუბრები
- საინტერესო მოსაზრებები
- SMS გამოქიითვები
- მგზავრი სიმღერები

უხმინეთ და მიიღეთ გადაცემაში მონაწილეობა

SMS ნომერი: 9800

Skype ID: ucnobidila



www.ucnobifm.ge



ფოტო დატოვებულია

13 ▶



გარეკანზე: თემურ ბარკიმაშვილის ფოტო/ცხინვალი 2008 წლის აპრილში



ქურდული „ლიბერალი“ გამომცემა ფონდ „ლიბერალი“ - საქართველოს მხარდაჭერით.

03 რედაქტორი

04 მოკლედ

06 ვრცლად

ექსპერტიზის დასკვნის მოლოდინში

08/ ქართული პროდუქტი ევროპულ ბაზარზე

07 თვალსაზრისი

გარდამტეხი ფაქტორი ინტერვიუ ლორენს შიტსთან.

09 ორი აზრი

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი
ირაკლი კოტეტიშვილი V.S.
თინა ხიდაშელი

11 ინტერვიუ

“უნდა ვიყოთ მაქსიმალურად რადიკალური“
ინტერვიუ ნონა ყარალაშვილთან

13 სპეციალური

ახალი საქართველო 2004-2008
გასული 5 წლის მნიშვნელოვანი თარიღები

33 საქართველო

ჯავახეთი ერთი სამომავლოს ორი ისტორია

36/ დევნილები გზა თავშესაფრიდან სასლამად

37/ გარემო რისკის ზონაში

39 კონფლიქტები

აფხაზეთი სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმება

41 საზოგადოება

სამართალი
პოლიტიკა კანონის
ენინაღმდებ

44/ შეწყალვის სივამი

45/ სოციალური
საცხოვრისი
სიღარი ბის
ზღვარს მიღმა

46/ ინკლუზიური
ბანათლება
ვისნავლოთ ერთად

49/ ინიციატივა
პატარა გორი
დიდია...

50/ გარემო
ზარალი, რომელიც
ფულით არ იზომება

52 ეკონომიკა • ბიზნესი

უქრავი ქონების გაზარი
მენაშენე კომპანიების
სტრატეგია - მოლოდინი

გამომცემი ვის „ლიბერალი“.
მისამართი: თბილისი 0162,
ფალიაშვილის ქ. 108.
ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326.
ელ-ფოსტა: info@liberali.ge
დგამაქლია: სტამბა ვის „სეზანი“.
მისამართი: თბილისი, წავთლის გაზ.
140. ტელ.: (995 32) 35 70 02.
სხვა გამომცემი: „ცხელი შოკოლადი“,
„ცხელი შოკოლადი — ლიტერატურა“,
„ბიზნესი: აღამიანები, მეთოდიკი,
სტრატეგიაი“.
„ლიბერალი“ საავტორო უფლებები
დაცულია. ჟურნალი გამომცემი
მასალის ნაწილობრივი და/ან მთლიანი
გამოყენება რედაქციის თანხმობის გარ-
ეშა აკრძალულია. ISSN 1987-7528

54 მენიერება

სინამდვილის
განჯადობა –
ქართული მეცნიერების
ნარსული, ანგყო
და მომავალი

58 ფოქსი

სომხეთი
უკანასკნელი არჩევაი

61/ სომხეთი
და საპარტიველო
იდალური პარტნიორობი

63/ სომხეთი და თურქეთი
თურქეთს აინტერესებს
მხოლოდ პროცესი,
სომხეთს - მხოლოდ
შედეგი



52 ▶

46 ▶



კვლეპიქი

ტირაჟი: 5000 ცალი. გამომდის ორ კვირავი ერთხელ. პირველი ნომერი გამომცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2,80 ლარი.

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი შორენა შავერდიაშვილი / აღმასრულებელი რედაქტორი ნინო ჯავახიშვილი
საზოგადოება თამარ გაბაშაძე / პოლიტიკა და საერთაშორისო ამბავი სოფო ჭავჭავაძე / საპარტიველო და კონფლიქტები სოფო ბუჭია / აღამიანის უფლებები
და საპარტიველო ნინო გაქივიშვილი / კავკასია მარგარიტა ანკვლიანი / ახალი ამბავი ნათია ანკვლიანი

რედაქცია: არტ-რედაქტორი მანანა არაგული / ფოტო-რედაქტორი ლევან ხერხეულიძე / გრაფიკული დიზაინი კახა დოლიძე
/ რედაქტორ-სტილისტი ნინო სვანიძე / კორექტორი ნინო საითიძე

აღმინისტრაცია: პროექტის მენეჟერი ქეთი გაბუნაშვილი / პროექტის მენეჟერის ასისტენტი ლეოა შუბითიძე
/ ბიზნესის განვითარების მენეჟერი გიორგი კოპალაშვილი / რეკლამის და გაყიდვის მენეჟერი ნესტან ავალიანი
/ IT მენეჟერი თორნიკე ლორთქიფანიძე / ოფისის აღმინისტრატორი ეთუნა ინციკრავილი / დისტრიბუტორი ზვიად შვენაღია



ნინო ლაშვილი

1962 წელს, ამერიკელმა მწერალმა, ნორმან მეილერმა ასეთი წერილი მისწერა ჟურნალ „ფლეიბოს“ რედაქტორს:

ძვირფასო ბატონო, კარგი იქნებოდა, ჩემსა და უილიამ ბაკლის შორის დებატები არ დაგესათაურებინათ, როგორც შეხვედრა კონსერვატორსა და ლიბერალს შორის. რაც გინდათ, ის დამიძახეთ — რადიკალი, მეამბოხე, წითელი, რევოლუციონერი, აუთსაიდერი, ბოლშევიკი, ანარქისტი, ნიჰილისტი, გინდაც მემარცხენე კონსერვატორი, მაგრამ, თუ შეიძლება, არასოდეს დამიძახოთ ლიბერალი!

პატივცემო, ნორმალ მეილერი

ამ ჟურნალის სახელის გაგონებისას, ბევრი დაახლოებით ნორმან მეილერივით აღშფოთდა, ან ირონიულად გაიცინა – რაღა დროს ლიბერალობა და ლიბერალიზმია, ახლა უკვე დიქტატორი ან ანარქისტი თუ იქნები.

მე მაინც სხვანაირად მგონია. პიროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლი სხვა, უფრო ეფექტური ღირებულებითი პლატფორმა კაცობრიობას ჯერ არ მოუფიქრებია. საქართველოში კი, სადაც მუდმივად მტრულ ბანაკებად ვართ დაყოფილი, სადაც განსხვავებულის გვეშინია და ვდევნით, მასას კი ყოველთვის უფრო მეტი ძალა აქვს, ვიდრე ინდივიდს, ლიბერალიზმი ჰაერივით საჭირო მგონია. გვინდა ეს სიტყვა პოლიტიკური ნანგრევებიდან ამოვიტანოთ და ადამიანურ მანიფესტად ვაქციოთ, მრავალფეროვანი რეალობის ამსახველ მანიფესტად.

„ლიბერალი“ ეცდება წეროს იმ თემებზე, რაც ქართულ მედიაში ძირითადად მარგინალიზებულია: განათლება, ადამიანის უფლებები და სამართალი, რელიგია და მედია, გარემო და ურბანისტიკა, კულტუროლოგია, მეცნიერება და ინოვაციები. ეს არ არის ჩვენთვის რთული ამოცანა, ამას „ცხელი შოკოლადის“ ფურცლებზეც ვცდილობთ, მაგრამ რთული აღმოჩნდა მიმდინარე მოვლენების ანალიზი

არა ინტერპრეტაციებზე, პოლიტიკურ განცხადებებსა და სპეკულაციებზე, არამედ ფაქტებზე დაყრდნობით. ფაქტების ანალიზი მოითხოვს ისეთ ჟურნალისტურ ჩვევებს, რაც ქართულ მედიაში საკმაოდ მწირია. ამ ამოცანას ისიც ართულებს, რომ თითქოს არ არსებობენ ინსტიტუციები და ექსპერტები, რომლებიც პოლიტიკური კონონტექტურის მიღმა დგანან და ცდილობენ, მაგალითად, ობიექტური სტატისტიკური ანალიზის გაკეთებას, ან საზოგადოებრივი აზრის თუ მოვლენების მიუკერძოებელ კვლევას, ან თუნდაც დამოუკიდებელი ბალისტიკური ექსპერტიზის ჩატარებას. თითქოს ამ ქვეყანაში ფაქტების გენერირების ინფრასტრუქტურა სრულიად მოშლილია და ამის გამო, ჩვენც ორმხრივი პროპაგანდის იოლი სამიზნეები ვხდებით. პირველივე ნომრიდან ვწუნუნებ, მაგრამ ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ულრან და სრულიად გაუკვალავ ტყეში შევაბიჯეთ.

პირდაპირ გეტყვით, რითი გვინდა, რომ ვიამაყოთ: „ლიბერალი“ დანერს მთელს საქართველოზე და გავრცელდება მთელი ქვეყნის მასშტაბით. საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მომუშავე ჟურნალისტებთან ერთად, ჩვენთან ითანამშრომლებენ აფხაზი და, იმედია, მალე ოსი ჟურნალისტებიც. „ლიბერალი“ დანერს სამხრეთ კავკასიაზე და ჩვენი რეგიონის სხვა ქვეყნებზე. უკვე ამ ნომრიდან, ჟურნალის ფოკუსში სომხეთი – მომავალი საპრეზიდენტო არჩევნები, სომხურ-ქართული და სომხურ-თურქული ურთიერთობები – მოხვდა.

ამ ნომერზე მუშაობა აპრილის მოვლენების ფონზე დავიწყეთ. ერთი შეხედვით, ჟურნალის პოლიტიკური გვერდებისათვის უამრავი მიმდინარე მასალა არსებობდა, მაგრამ ჩვენთვის უფრო საინტერესო მაინც გასული 5 წლის მოვლენების რეტროსპექტივა აღმოჩნდა. თითქოს პოსტ-რევოლუციურ, „ახალ საქართველოში“ უფრო არსებითი პოლიტიკური პროცესების მომსწრე ვიყავით. შეცდომებიც უფრო გულწრფელი იყო, წინააღმდეგობებიც და წარმატებებიც. დღეს კი, იმედია, პოლიტიკურ ესტაბლიშმენტში მალე გაჩნდება სტაგნაციის დაძლივის მუხტი.

მისარია, რომ დაიბადა „ლიბერალი“, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ნომერი პირველი ნომერია და მხოლოდ ის მასსოვს, რა არ გამოგვივიდა და რა არ მომწონს. ვიდრე მეორე და უკვე რიგით ნომერზე დავიწყებდეთ მუშაობას, გულწრფელი მადლობა მინდა ვუთხრა ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ და ყველა იმ ადამიანს, ვინც დაიჯერა, რომ ჩვენ მართლა სამყაროს გადარჩენა გვინდა.

შორენა შავერდაშვილი მთავარი რედაქტორი
შორენა შავერდაშვილი

რუსეთის ვაჭო

ვენაში, ეუთოს მუდმივმოქმედი საბჭოს მოსამზადებელი კომიტეტის სხდომაზე რუსეთმა ბოლო 5 თვის განმავლობაში მეორედ დაადო ვეტო საქართველოში ეუთოს მეთვალყურეთა მანდატის გაგრძელებას. ეუთოს წევრ 56 სახელმწიფოს შორის, რუსეთი ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც მისიის მუშაობა დაბლოკა. 30 ივნისს ეუთოს მეთვალყურეები საქართველოს დატოვებენ.



პრაღის სამიტი

8 მაისს პრაღაში გაიმართა სამიტი – „სამხრეთ დერეფანი – ახალი აბრეშუქის გზა“, რომლის მთავარი თემა ენერგეტიკა იყო. სამიტის მიზანი ევროკავშირისა და მის რვა სამხრეთ მეზობელ ქვეყანას შორის (აზერბაიჯანი, თურქეთი, თურქმენეთი, ეგვიპტე, ერაყი, საქართველო, უზბეკეთი და ყაზახეთი) ენერგეტიკის სფეროში პარტნიორობაზე გრძელვადიანი შეთანხმების მიღწევა იყო. მიღწეულ შეთანხმებას ხელი ევროპის გარდა, მხოლოდ საქართველომ, აზერბაიჯანმა, თურქეთმა და ეგვიპტემ მოაწერეს. ამ ახალმა პარტნიორობამ ევროკავშირს რუსეთის გვერდის ავლით გაზის მიღების წყარო უნდა შეუქმნას.



ფოტო პასარ ბულაშვილი

მუხროვანი

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, 5 მაისს მუხროვანის სამხედრო ბაზაზე ამბოხება მოხდა. შსს-ს ოფიციალური წარმომადგენლის თქმით, ამბოხის ორგანიზატორები ყოფილი სამხედრო მაღალჩინოსნები იყვნენ და მათი მიზანს „მინიმუმ ნატოს წვრთნების ჩაშლას, მაქსიმუმ კი ქვეყანაში სრულმასშტაბიანი სამხედრო ამბოხების მოწყობა“ წარმოადგენდა. საქართველოს შს სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის შოთა უტიაშვილის თქმით, ამბოხების გეგმა კოორდინირებული იყო რუსეთთან. მისივე თქმით, სამართალდამცავი სტრუქტურები არმიაში შესაძლო ამბოხების შესახებ ინფორმაციას ბოლო ორი თვის განმავლობაში იძიებდნენ. ბატალიონის ალყაში მოქცევის

შემდეგ მუხროვანში შსს მინისტრი მივიდა, შემდეგ კი – პრეზიდენტი. შუადღის 3 საათზე ვითარება განიმუხტა, ამბოხებულების ნაწილი ჩაბარდა, ნაწილი კი გაიქცა. აღნიშნულთან დაკავშირებით, დაკავებულია 13 სამოქალაქო პირი და სამხედრო პოლიციის 7 თანამშრომელი. შსს-ს ცნობით, ამბოხების ორგანიზებასთან დაკავშირებით, დააკავეს ეროვნული გვარდიის ყოფილი სარდალი კობა კობალაძე და თავდაცვის სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმის მეთაური გია ლვალაძე.

„ოპოზიციას მიაჩნია, რომ ქვეყანაში არის ყველაფერი ძალიან ცუდად, პრეზიდენტის აზრით კი, ქვეყანაში არის ყველაფერი ძალიან კარგად. ეს არის ერთადერთი შედეგი, რომელიც ამ შეხვედრას ჰქონდა“

ლევან ბაჩიჩილაძე, 11 მაისი

„ჩემი განცხადებები არ არის რადიკალური, ჩემი განცხადებები არის ადეკვატური. რადიკალური ვიქნებოდი, რომ მომეწოდებინა სააკაშვილის ჩამოხრჩობა“

ნინო ზურჯანაძე, 13 მაისი, ტელეკომპანია „კავკასია“



ფოტო ვიქტორ ბუზინიძე

ნაზოს წვრთნები

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ხელისუფლებამ წინასწარ იცოდა საქართველოში ნატოს ეგიდით დაგეგმილი წვრთნების შესახებ, პროექტის გახსნას ოფიციალური მოსკოვის მხრიდან მაინც მწვავე შეფასება მოჰყვა. რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინის თქმით, ეს არის „ნათელი სიგნალი არსებული რეჟიმის მხარდაჭერისა, რომელიც შორსაა დემოკრატიული სტანდარტებისგან“. ვაზიანის სამხედრო ბაზაზე წვრთნები – „Cooperative Longbow/Lancer 2009“ მიმდინარეობს. სწავლებაში მონაწილეობს 14 ქვეყნის წარმომადგენლობა, ნატო-ს 8 შტაბი, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი და გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი. წვრთნებს ხელმძღვანელობს კაეტანო მირო ვალსი. „Cooperative Longbow/Lancer 2009“ ოფიციალურად 3 ივნისს დაიხურება.

შეკრების უფლება

Human Rights Watch-მა 12 მაისს ოფიციალური წერილით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრებს და მოუწოდა მათ, დაუყოვნებლივ ჩაატარონ სრულფასოვანი გამოძიება მშვიდობიან დემონსტრაციებზე განხორციელებული თავდასხმების ფაქტებზე; აუცილებლად იპოვონ და გაასამართლონ დამნაშავეები, რათა მომავალში თავისუფალ შეკრებებზე თავდასხმის ნებისმიერი მცდელობა აღიკვეთოს და მთავრობამ დემოკრატიის პრინციპებისადმი თავისი ერთგულება დაადასტუროს.



ლავროვი აშშ-ში

აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან სერგეი ლავროვთან შეხვედრას კონსტრუქციული უწოდა. მისი თქმით, დიალოგი რამდენიმე თვის წინ, ყენევაში დაწყებული მოლაპარაკებების გაგრძელება იყო და ყველა იმ მნიშვნელოვან საკითხს მოიცავდა, რომელიც ორივე ქვეყნის ინტერესში შედის. ავღანეთის, ჩრდილოეთ კორეის, ირანისა და ახლო აღმოსავლეთის გარდა, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტში საქართველოს თემაც განიხილეს. „მჯერა, რომ ბატონ ლავროვს ისევე, როგორც რუსეთის ხელისუფლებას გააზრებული აქვს, რომ საქართველოში შექმნილი დაძაბული ვითარების განმუხტვა და ქვეყნის სტაბილურობა ყველას ინტერესში შედის“, –

„მოვიდა დრო, რომ ყველამ გადაწყვიტოს, ვის მხარეს არის — გიჟების და ბანდიტების თუ საქართველოს განვითარების. ნებისმიერი მესამე ძალა, რომელიც თავს ამგვარ-ყვეტილებაზე შემოთაყენებს, ყველა, ვინც თავს დამოუკიდებელ ექსპერტად თუ მიუკერძოებელ ინტელექტუალად დვლის — სინამდვილეში გიჟების მხარესაა“.

კახა ბანდუშიძე, Facebook

„ალასანიას ჯერ კიდევ არსჯერა, რამდენად ნაძირლები არიან ესენი. ალასანია თუ ვინმესთან არის შეკრული დღეს, არის შეკრული თქვენთან და ჩვენთან, ყველასთან. და თუ ხვალ ჩამოვა ირაკლი ოქრუაშვილი, ისიც იქნება ჩვენთან შეკრული“.

სალომე ზურაბიშვილი

აღნიშნა კლინტონმა. „არ ვმალავთ, რომ სამხრეთ კავკასიასთან მიმართებაში განსხვავებული აზრი გვაქვს. თუმცა, ვთანხმდებით, რომ საჭიროა გავაყვითოთ ყველაფერი რეგიონში სტაბილურობის მისაღწევად... და იქ ახალი ეთნიკური შუღლის თავიდან ასაცილებლად“, – დასძინა ლავროვმა. კლინტონის თქმით, აშშ-სა და რუსეთს მსოფლიოში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრიათ, ამიტომ თანამშრომლობა ორ ქვეყანას შორის ძალიან მჭიდრო უნდა იყოს. საჭიროა, მოინახოს კომპრომისი და საკითხების კონკრეტული გადაწყვეტა.

ამის შემდეგ ლავროვი აშშ-ს პრეზიდენტ ბარაკ ობამას შეხვდა. შეხვედრის შემდეგ პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ დარწმუნებულია, შეხვედრები კიდევ გაიმართება, რაც ორივე ქვეყნისთვის სასიკეთო იქნება. ლავროვის თქმით, მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის ურთიერთობის დალაგების შანსი გაჩნდა. ივლისში აშშ-ს პრეზიდენტი მოსკოვს ეწვევა.



რუსი მესაზღვრეები

საქართველო-აფხაზეთის ადმინისტრაციულ 168-კილომეტრიან საზღვარს რუსეთი გააკონტროლებს. ეს მონაკვეთი კოდორის ხეობის ზედა ნაწილიდან იწყება და გალის რაიონის სოფელ ფიჩოთან სრულდება. ამის შესახებ განცხადება აფხაზეთში რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის სასაზღვრო მიმართულების ხელმძღვანელმა იური ზვირიკმა გააკეთა. მისი თქმით, მისიის განსახორციელებლად აფხაზეთში რუს მესაზღვრეთა დამატებითი კოლონები შედიან.

ახალი მფლობელი

სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის 70-პროცენტიანი წილის მე-საყუთრე „DEGSON LIMITED“ გახდა. მანამდე „რუსთავი 2“-ის შემადგენლობაში 40%-იანი წილის მესა-ყუთრე კორპორაცია „GEOMEDIA GROUP CORP“-იყო, ხოლო 30 პროცენტის – ირაკლი ჩიქოვანი. დანარჩენი 30 პროცენტის მფლობელი კვლავ შპს „ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფია“. ტელეკომპანიის გენერალური დირექტორის ირაკლი ჩიქოვანის ნაცვლად გიორგი გეგეშიძე დაინიშნა.

სალაპო ქონება

ქიბარ ხალვაშის კუთვნილ კომპანიებზე (შპს „არტი“, შპს „პრიზა“, შპს „ინთერნეტნალ ბილდინგ კომპანი“) 11-12 მაისს გამოცხადებული აუქციონები ჩაიშალა. აუქციონების ჩაშლის მიზეზი დაყვადებული და სადავო ქონების ყიდვის მსურველების არარსებობა გახდა.

დიალოგი

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, უმრავლესობის წევრები და ოპოზიციის წარმომადგენლები – ირაკლი ალასანია, ლევან გაჩეჩილაძე, ნინო ბურჯანაძე, სალომე ზურაბიშვილი, კახა შარტავა და კოკა გუცაძე, 11 მაისს შსს-ს ახალ შენობაში შეხვედნენ ერთმანეთს. შეხვედრის დასასრულს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ, მიუხედავად შეხვედრების შინაარსისა, „ეს დღე ქართული დემოკრატიის გამარჯვების დღე და წინ გადადგმული ნაბიჯია, რომ ყველა მხარე დიალოგის გაგრძელებაზე თანხმდება“. შეხვედრიდან გამოსულმა ოპოზიციის წევრებმა კი უფრო მასშტაბური აქციების გეგმა დასახეს. ლევან გაჩეჩილაძის თქმით, „მეორე მხარეს ვერანაირი ნიშანწყალი ვერ დავინახეთ, რომ მზაობა იყო ქვეყნის კრიზისიდან გამოსვლისა... ერთ მშვენიერ დღეს ჩვენი დიდძალი რაოდენობა ხალხისა უნდა ვანახოთ მთელ მსოფლიოს კიდევ ერთხელ იმიტომ, რომ ეს პროცესი არის შეუქცევადი და ამას სააკაშვილის გადადგომის გარდა ვერაფერი შეაჩერებს“.

ქვესპერტიზის დასკვნის პოლონიკი

ნათია ახალაშვილი

სანდრო ეულის ქუჩაზე „რუსთავი 2“-ის ტელეპროექტ „ვარსკვლავების აკადემიის“ შენობის ჩამონგრევის შემდეგ 24 დღე გავიდა. საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პროკურატურას ფაქტის გამოსაძიებლად 10-დღიანი ვადა მისცა.

საქმეს ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურა იძიებს. გამოძიება ექსპერტიზის დასკვნას ელოდება.

„ექსპერტიზა საკმაოდ შრომატევადი სამუშაოა და ამიტომ გამოძიების დასრულების კონკრეტული ვადები ჯერჯერობით უცნობია“. – ხათუნა იოსავა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი.

ლევან სამხარაულის სახელობის ეროვნული ექსპერტიზის ბიუროს ხელმძღვანელის გიორგი ცხაკაიას თქმით, მათ სამსახურს ჩამონგრეული შენობის მდგრადობაზე ექსპერტიზის ჩატარება პროკურატურამ დაუკვეთა. ბიუროს ექსპერტიზის პროცესისა და შედეგების შესახებ ინფორმაციის გაცემის უფლება არ აქვს. მასალების განკარგვის უფლება მხოლოდ დამკვეთს აქვს.

შენობა სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-მა, პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, 2008 წელს პირდაპირი მიყიდვის წესით შეიძინა. მანამდე სანდრო ეულის 5ა-ში მდებარე შენობათა კომპლექსი სახელმწიფო საკუთრება იყო და მასში სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტი „თბილზნიიეპი“, იყო განთავსებული.

„თბილზნიიეპის“, ინჟინერ-კონსტრუქტორი ჯაბა ბურჯანაძე აცხადებს, რომ შენობა აგურის მზიდი კედლებითა და რკინა-ბეტონის ჩანართებით 60-იან წლებშია აშენებული და მას 100-წლიანი ვადა აქვს.

„ამ შენობაში 18 წელი ვმუშაობდი და ავარიის წინაპირობა აქ არ არსებობდა. ჩვენ რომ შენობა დავტოვეთ, ის აბსოლუტურად ჯანმრთელი იყო, ყოველგვარი ბზარებისა და დამატებითი დეფორმაციების გარეშე“, – აღნიშნავს იგი.

ამავეს ადასტურებს „თბილზნიიეპის“ ყოფილი თანამშრომელი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი გოგი სადალაშვილი, რომელიც ინსტიტუტში

დაარსების დღიდან მუშაობდა.

ახალი მეპატრონის მიერ აზომვითი ნახაზების დამუშავება 2008 წლის ბოლოს მიმდინარეობდა, სარემონტო სამუშაოები კი 2009 წლის დასაწყისში დაიწყო. ამ პროცესში ჯაბა ბურჯანაძესაც უწევდა არქიტექტორებისთვის შენობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

2009 წელს კომპანია „არტ-იქსმა“, შენობაში რემონტი დაიწყო.

კომპანიის ხელმძღვანელობამ კომენტარი არ მოგვცა. თუმცა, სატელევიზიო ინტერვიუში „არტ-იქსის“ წარმომადგენელმა დავით გვასალიამ განაცხადა, რომ შენობაში მხოლოდ შიდა სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა.

„ძირეული, კარკასული ცვლილებები შენობაში დაგეგმილი არ იყო. მიმდინარეობს გამოძიება, რომელთ-



ფოტო: მარიამ ყორინაშვილი

ანაც ჩვენ მზად ვართ ვითანამშრომლოთ, ანუ მივანოლოთ ინფორმაცია ყველა იმ სამუშაოზე, რაც ამ შენობაში მიმდინარეობდა“, – აღნიშნა დავით გვასალიამ.

წინასწარი შეფასებით, სპეციალისტები ნგრევის სავარაუდო მიზეზად მზიდი კონსტრუქციების დაზიანებას ასახელებენ.

თუ შენობაში სარემონტო სამუშაოების დროს მზიდი კედლების რეკონსტრუქციაც მოხდა, ეს საკითხი თბილისის არქიტექტურის სამსახურთან უნდა ყოფილიყო შეთანხმებული. მერიის პრეს-სამსახურში აცხადებენ, რომ რეკონსტრუქციისთვის საჭირო ნებართვის მისაღებად არქიტექტურის სამსახურისთვის (სანებართვო დეპარტამენტი) არავის მიუმართავს.

ჩამონგრევისას სანდრო ეულის ქუჩაზე მდებარე 5-სართულიან შენობაში 14 ადამიანი იმყოფებოდა. შემთხვევის შედეგად „რუსთავი 2“-ის

პროექტ „პარსკვლავების აკადემიის“ ჩამონგრეული შენობა

ორი თანამშრომელი გარდაიცვალა, ორმა კი სხეულის სხვადასხვა დაზიანება მიიღო.

ნგრევისას შენობაში მყოფი „ვარსკვლავების აკადემიის“ სემინტ-პროდიუსერის ზურაბ მოდებაძის თქმით, ყველაფერი 2-3 წამში მოხდა. „გადამღები ჯგუფი მე-4 სართულზე ვიყავით, პროექტის მონაწილენი კი – მეზუთეზე. ზედა სართულებზე ასასვლელად კიბით ვსარგებლობდით, რომელიც იზოლირებული იყო პირველი სართულის დანარჩენი სივრცისგან და შესაბამისად, იქ მიმდინარე სარემონტო სამუშაოები არ მინახავს“, – აღნიშნავს ზურაბ მოდებაძე.

„შენობაში მზიდი კედლები იყო როგორც განივი, ასევე – გრძივი. გრძივი მიმართულების კედლებზე ეყრდნობოდა ბეტონის ფილები (ე.წ. „სინკარები“), განივი მიმართულების კედლებზე „სინკარები, არ ეყრდნობოდა, მაგრამ ისინი მაინც მზიდ ფუნქციას ასრულებდა, რადგან დიაფრაგმას კრავდა“, – განმარტავს ჯაბა ბურჯანაძე.

სპეციალისტი ვარაუდობს, რომ ნგრევა შენობის შუა ნაწილში ერთი განივი კედლის დაზიანებამ გამოიწვია, რასაც ხელი შეუწყო სხვადასხვა კედელში მრავლად ამოღებულმა ლიობებმაც. მისი თქმით, ამას ნგრევის ფორმა ადასტურებს, რადგან იქით ან აქეთ კი არ არის გადახრილი შენობა, პირდაპირ შუაშია ჩამონგრეული.

„ეს ყველაფერი ნანგრევებისგან გასუფთავების შემდეგ გამოჩნდება. როგორც ჩემთვის ცნობილია, პირველ სართულზე იატაკი უკვე მოჭიმული იყო და ადვილად მისახვედრი იქნება, რომელი კედელია მოხსნილი და რომელი არა“, – აცხადებს ის.

სანდრო ეულის 5ა-ში მისვლისას აღმოვაჩინეთ, რომ მამულების ნასვლის შემდეგ შენობის ნანგრევებისგან გასუფთავება არავის გაუარძელებია. გამოძიების დასრულებამდე ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ხელმძღვანელობა კომენტარს არ აკეთებს.

„ისედაც ბევრი ჭორი დადის ქალაქში და ამიტომ, სანამ გამოძიება არ დასრულდება, ჩვენ არ ვართ კომპეტენტურები და უფლებამოსილები, რომ რაიმე კომენტარი გავაკეთოთ“, – თამთა მურადაშვილი, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის იურისტი.



ფოტო: თიმურ ზაქარაიანი

▲ აქცია საქართველოს პარლამენტის წინ. 2009 წლის მაისი.

გარდამხანი ფაქტორი

ინტარპიუ საერთაშორისო კრიზისის ჯგუფის კავკასიის პროექტის დირექტორთან ლორანს შიტთან.

ლიბერალი თქვენი აზრით, შეიძლება თუ არა საქართველოში დღეს შექმნილ ვითარებას ჩიხური ვუნოდოთ?

ლ.შ. ეს არ არის ჩიხი, თუმცა გამოსავლის პოვნა ორივე მხარისგან დიდ ძალისხმევას ითხოვს. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად რაციონალურ აზროვნებას გამოიჩენენ პოლიტიკური მოთამაშეები. რა არის მათთვის მთავარი — ძალაუფლებისთვის ბრძოლა ან მისი შენარჩუნება, თუ ქვეყნის გამოყვანა ურთულესი მდგომარეობიდან.

სიტუაციას ამძიმებს ის, რომ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დიალოგი არ არის. ეს პრობლემა აპრილამდე ბევრად ადრე წარმოიშვა და იგი აფერხებს ქვეყნის განვითარებას.

პოლიტიკური პროცესები ურთიერთბრალდებების ფონზე ვითარდება. მხარეები ერთმანეთს მხოლოდ ჩართული ტელეკამერების წინ ელაპარაკებიან. ეს არ არის ნორმალური.

შეცდომა იყო, როცა ოპოზიციამ 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების დროს მიღებულ მანდატებზე უარი თქვა. პირველ რიგში, ეს იყო უპასუხისმგებლობა საკუთარი ამომრჩევლის მიმართ; და, რაც მთავარია — ქვეყანაში დისკუსიის არსებობის შანსი მინიმუმამდე შემცირდა.

მიხეილ სააკაშვილისა და ოპოზიციის ლიდერების შეხვედრის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ პრეზიდენტი ოპოზიციას საკონსტიტუციო რეფორმების კომისიის

შექმნას და ამ კომისიის ხელმძღვანელობას სთავაზობს. ეს სერიოზული ნინადადებაა და ოპოზიცია უნდა ჩაერთოს ამ საკითხზე მსჯელობაში.

ლიბერალი როგორ ახასიათებს ეს საპროტესტო აქციები ოპოზიციას?

ლ.შ. ოპოზიცია დღეს ბევრად უფრო სუსტია, ვიდრე 2007 წლის ნოემბერში. მიუხედავად იმისა, რომ თვეზე მეტია, დედაქალაქის მთავარი მაგისტრალი ბლოკირებულია, მაინც ვერ ვიტყვით, რომ სააკაშვილს დღეს ძლიერი ოპოზიცია ჰყავს. საპროტესტო აქციების ორგანიზატორებმა ხელისუფლებას დისკომფორტი შეუქმნეს, მაგრამ არა სერიოზული პრობლემები. მიტინგზე სულ უფრო ცოტა ადამიანი გამოდის. დღეს იქ საკნები უფრო მეტია.

არავინ იცის როდის დასრულდება ეს პროტესტი, მაგრამ ამავე დროს ძნელი დასაჯერებელია, რომ ის დიდხანს გაგრძელდეს.

ბევრია დამოკიდებული იმაზე, თუ რეალურად რა სურს ოპოზიციას — ძალაუფლება თუ ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანა. და იმაზეც, რამდენად შორს არიან წამსვლელი აქციის ორგანიზატორები — თუ ისინი მთავარი მაგისტრალის ბლოკირებას გადანყვეტენ, მოსალოდნელია ხელისუფლების პასუხი მკაცრი იყოს. წარმოუდგენელია ევროპის რომელიმე ქვეყანაში ადამიანთა მცირე ჯგუფს ხუთი კვირით დედაქალაქის

მთავარი მაგისტრალის ბლოკირების უფლება მისცენ.

ლიბერალი როგორ შეაფასებდით ხელისუფლების ნაბიჯებს?

ლ.შ. საქართველოს ხელისუფლება გასაკვირად თავშეკავებულია.

გარკვეული თვალსაზრისით, ხელისუფლებას თითქოს ხელ-ფეხი აქვს შეკრული. მას ესმის, რომ ნებისმიერ გაუფრთხილებელ რეაქციას შეიძლება დღევანდელი მოვლენების 7 ნოემბრის პროცესებთან შედარება მოყვეს. 7 ნოემბერი საქართველოს ისტორიის საუკეთესო დღე არ ყოფილა და კიდევ ერთხელ ამ დღის განმეორება საქართველოსა და მის ხელისუფლებას დიდ ზიანს მიაყენებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

არსებობს ფაქტები, რომ აქციის მონაწილეებს თავს ესხმიან, რაც შემამოთებელია. ძალადობის არც ერთი ფაქტი რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩეს, იქნება ეს საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტის ცემა, თუ აქციის მონაწილეებზე თავდასხმა. სამართალდამცავმა ორგანოებმა თითოეული ინციდენტი ბოლომდე უნდა გამოიძიონ.

ამჟამად, რომ ქვეყანაში არსებობენ ნაკლებად რაციონალური პოლიტიკური ძალები, რომელთაც ვითარებიდან რეალური გამოსავლის პოვნა არ სურთ. ასეთები არიან ოპოზიციამაც და ხელისუფლებამაც.

ლიბერალი ამ ქაოსური სიტუაციის დასრულების შემდეგ ქვეყანაში სტაგნაციას უნდა ველოდოთ?

ლ.შ. ამ პროცესებში უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრება ხელისუფლებას. გასული წლის ნოემბერში, საქართველოს შესახებ მომზადებულ ანგარიშში საერთაშორისო კრიზისის ჯგუფმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია რეფორმების გაგრძელება. ამკარაა, რომ პროცესი საგრძნობლად შენედა და ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ოპოზიციას დღეს ბევრად ნაკლები არგუმენტი ექნებოდა ხელისუფლების წინააღმდეგ.

საქართველოს შემდგომი პოლიტიკური სტაბილურობისთვის მყარი გარანტია სწორედ რეფორმებია, ხოლო ხელისუფლებისთვის ეს შექმნილი ვითარებიდან ღირსეული გამოსავალი იქნებოდა. თუ ხელისუფლება უარს იტყვის ამ გზაზე, ხალხი ისევ გამოვა ქუჩაში.

თავსახარისი

ლიბარალი რამდენად სწორად შეარჩინა ოპოზიციამ ბრძოლის ტაქტიკა და რამდენად გონივრულია მათი მთავარი მოთხოვნა?

ლ.პ. ოპოზიცია, რომელიც დღეს საპროტესტო აქციებს მართავს, ბევრი პოლიტიკური სუბიექტისგან შედგება. მათი ხედვა, პლატფორმა და იდეოლოგია იმდენად განსხვავებულია, რომ შეუძლებელია ეს ერთიანობა დიდხანს გაგრძელდეს. გამოსავლაც ისინი სხვადასხვაგვარად ხედავენ. ადრე თუ გვიან გამოჩნდება, რომ ოპოზიციაში სერიოზული განხეთქილებაა, რომლის ნიშნები პირველივე დღიდან სახეზეა. ოპოზიციაში არსებობენ ადამიანები, რომლებიც უარს არ ამბობენ დიალოგზე. მაგალითად, ალასანია. იგი, უცხო სხეულივითაა დღევანდელ ოპოზიციურ სპექტრში. ის მზადაა ესაუბროს ხელისუფლებას კონკრეტულ საკითხებზე, რეფორმებზე, ცვლილებებზე. მასზე ბევრი რამაა დამოკიდებული. თუ ირაკლი ალასანია პოზიციას შეიცვლის და ხელისუფლებასთან დიალოგზე უფრო თამამად წავა, ამან, შესაძლოა, გარდატეხა შეიტანოს დღევანდელ მოვლენებში.

ცხადია, ის არ არის იმ ტიპის პოლიტიკოსი, რომელიც ბრძოლის მეთოდად სარკინიგზო მაგისტრალის ბლოკირებას და სატრანსპორტო გზების გადაკეტვას აირჩევდა.

ლიბარალი თუმცა, დღეს ალასანია მათ გვერდით დგას, ვინც ბრძოლის რადიკალურ მეთოდებს ირჩევს...

ლ.პ. პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელსაც იგი ლიდერობს, ჯერ ძალიან ახალგაზრდაა და ბოლომდე ფორმირებულიც არ არის. როცა საპროტესტო ტალღა იწყებოდა, ალასანია რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა. თუნდაც, ჰიპოთეტურად, ოპოზიციის პროტესტის შედეგად ხელისუფლება რომ წასულიყო, გაერთიანებული ოპოზიციისგან გამიჯნულ ალასანიას ვადაძღველ საპრეზიდენტო არჩევნებში არავითარი შანსი არ ექნებოდა. ის იძულებული გახდა ოპოზიციასთან ერთად დამდგარიყო. ერთი მხრივ, მას სჭირდებოდა სხვადასხვა ოპოზიციური ძალის მხარდაჭერა. მეორე მხრივ კი, ალასანია-დიპლომატს ჰქონდა ასეთი ამოცანა: მან უნდა დაუმტკიცოს ყველას — ქვეყნის შიგნითაც და მის ფარგლებს

გარეთაც, რომ მისი ინტერესი უმართავი სიტუაციის შექმნა არ არის.

დღევანდელ ოპოზიციურ სპექტრში ალასანიას ყველაზე მეტი აქვს დასაკარგი — პოლიტიკური მომავალი. სხვები ან ხელისუფლებაში იყვნენ, ან სხვადასხვა პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობდნენ და რალაც ხარისხით დისკრედიტებულნი არიან. ხელისუფლებაც მეტ-ნაკლებად დისკრედიტებულია. ალასანია კი სუფთა ფურცელია და რა ფერის კალმით ჩაენერება მის ბიოგრაფიაში მიმდინარე პროცესებში მონაწილეობა, ეს მხოლოდ მასზეა დამოკიდებული.

ლიბარალი როგორ აფასებენ საქართველოში შექმნილ ვითარებას ამერიკასა და ევროპაში?

ლ.პ. საქართველოს მეგობრები ერთმნიშვნელოვნად აცხადებენ, რომ ხელისუფლებამ მაქსიმალურად თავშეკავებულად უნდა იმოქმედოს და რეფორმების გატარება გააგრძელოს. ასევე, საქართველოს ყველა დასავლელი პარტნიორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თუ საქართველოს ხელისუფლებაში ვინმე არაკონსტიტუციური გზით მოსვლას გადანყვეტს, მას ძალიან გაუჭირდება.

ეპროკავშირი და საქართველო

ქართული პროდუქტი ევროპულ ბაზარზე

სოფო ჭავჭავაძე

7 მაისს ევროკავშირმა ექვს პოსტსაბჭოთა ქვეყანას, მათ შორის საქართველოს, აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა გაუფორმა. თუმცა, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ საქართველო ავტომატურად ხდება ამ თანამშრომლობის სრულფასოვანი წევრი. ჩვენ ორი პირობა გვაქვს შესასრულებელი — დემოკრატიული სტანდარტების დაკმაყოფილება და თავისუფალი ვაჭრობისთვის ქვეყნის ეკონომიკური გარემოს მომზადება. ეს გულისხმობს საბაჟო ტარიფების შემცირებას, თავისუფალ იმპორტს და ქართული ნაწარმის გამარტივებულ გატანას ევროპულ ბაზარზე. ასოცირებული შეთანხმების მიღწევის შემდეგ, ევროპელი ექსპორტების გათვლებით, ქართული პროდუქტებიდან ყველაზე დიდი მოთხოვნა ღვინოზე, რძის პროდუქტებსა და ციტრუსებზე იქნება. თუმცა, ახალი ბაზრის მოპოვებამდე, საქართველოს პროდუქციის ხარისხი იმდენად უნდა გაუმჯობესდეს, რომ ევ-

როპულ სტანდარტებში ჩაჯდეს. ეს კი პროდუქციის ხარისხის მკაცრ რეგულირებას მოითხოვს. ხარისხის შემოწმების სავალდებულო და გართულებული პროცედურები ქართული პროდუქციის ფასს ავტომატურად გაზრდის. გაძვირებულ ნაწარმს კი ნაკლები შანსი ექნება, კონკურენცია გაუწიოს ევროპულ ბრენდებს ახალ ბაზარზე. საქართველოს უკვე აქვს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება თურქეთთან და დღეს-ს ქვეყნებთან, მათ შორის რუსეთთან. თუმცა, 2006 წლიდან დაწესებული ემბარგოს და სატრანსპორტო მიმოსვლის შეწყვეტის შემდეგ, ეს შეთანხმება ფიქტიური გახდა. ევროპის გარდა, საქართველოსთან ვაჭრობის გამარტივების იდეა ამერიკის შეერთებულ შტატებშიც გაჩნდა. სენატორმა ჯონ ქერიმ განაცხადა, რომ ეს შეთანხმება საქართველოს, ფინანსურზე მეტად, პოლიტიკურ სარგებელს მოუტანდა. ამერიკასთან და ევროკავშირთან დადებული ხელშე-

რულება უფრო მიმზიდველს გახდითა და საქართველოს კერძო უცხოური ინვესტიციებისთვისაც. **Q**





ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი



მოხსრა
ირაკლი კოტიტიშვილი
 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარი პროკურატურის აპარატის უფროსი

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი ნაწილია იმ რეფორმისა, რომელიც საქართველოში ბოლო სამი წელია მიმდინარეობს და მალე ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღებით დაგვირგვინდება. ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიახლეა სხვა სიახლეებთან ერთად, რომელთა მიზანიც შეჯიბრებითი სისხლის სამართლის სისტემის შექმნაა. ახალი საპროცესო კოდექსის მიხედვით, გამოძიება და სასამართლო შეჯიბრებითი გახდება. მხარეებს, ერთი მხრივ — სახელმწიფო ბრალდებას და გამოძიებას, მეორე მხრივ კი — ბრალდებულს და მის დამცველს თანაბარი საშუალებები ექნებათ, რათა გამოძიების ეტაპზე მოიპოვონ მტკიცებულებები და სასამართლოში საკუთარი პოზიცია ნაფიცი მსაჯულების ან მოსამართლეების წინაშე თანაბარ პირობებში დაიცვან. მოწმეებსაც მხოლოდ სასამართლოს მსვლელობის დროს დაკითხავენ.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი ეტაპობრივად დაინერგება — 2012 წლის 1 ივლისამდე მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოში და მხოლოდ მკვლელობის საქმეებზე; ორი წლის შემდეგ კი, მთელ საქართველოში, ნებისმიერ დანაშაულზე გავრცელდება, რომელიც სასაჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ამ სისტემის შემოღების ძირითადი მიზეზი ისაა, რომ მართლმსაჯულება უფრო დემოკრატიული გახდეს და საზოგადოების ნდობა სასამართლო სისტემის მიმართ გაიზარდოს. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი ამ ნდობის ამაღ-



მონინალმდგა
თინა ხიდაშელი
 იურისტი, რესპუბლიკური პარტიის წევრი

“ნაფიც მსაჯულთა სასამართლო დემოკრატიის როგორც საუკუთესო, ასევე ყველაზე უარესი მონაპოვარია”. ასე იწყებს თავის ცნობილ წიგნს “ჩვენ, მსაჯულები” ჯეფრი აბრამსონი. შესაძლოა, სწორედ ეს ფრაზა გამოგვადგეს ამ უძველესი ინსტიტუტის შესახებ პირველადი წარმოდგენის შესაქმნელად.

21-ე საუკუნეში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების გადაწყვეტილება, ქვეყანაში, რომელსაც არა თუ ნაფიცი მსაჯულების, არამედ კანონის უზენაესობის (რომ არაფერი ვთქვათ დემოკრატიულ სახელმწიფო მოწყობაზე) ტრადიციაც კი არ აქვს, უკიდურესად სარისკო ნაბიჯია და შეუძლებელია საზოგადოებრივი აზრის მომზადების, ფართომასშტაბიანი კამპანიისა და შესაბამისი განათლების საზოგადოებაში დანერგვის გარეშე განხორციელდეს. ასეთი ნაბიჯის გადადგმა განსაკუთრებით სარისკოა დღეს, როდესაც თითქმის მთელ მსოფლიოში თანამედროვე ავტორები ნაფიც მსაჯულთა ეფექტურობას დიდი სკეპტიციზმით უყურებენ, და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მხოლოდ საკუთარი წარსულისა და სამართლებრივი ტრადიციებისადმი ერთგულების ნიშნად, პრინციპში, სიმბოლურად ინარჩუნებენ. მსგავსი დებატები უკვე ათ წელზე მეტია, მიმდინარეობს, მათ შორის, იმ ქვეყნებშიც, სადაც დისკუსია სახელმწიფოებრიობის ტრადიციის, სამართლებრივი კულტურისა და დემოკრატიის განუყოფელი ნაწილია.

საქართველოში, ნაფიც მსაჯულთა დამცველები და პროპაგანდისტები, ამ ინსტიტუტზე, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის აუცილებელ წინაპირობაზე და თითქმის

ილუსტრაცია მათი სუბტაქტი

ლების ყველაზე სწრაფი და ეფექტური გზაა. მოქალაქეები უშუალოდ ერთვებიან მართლმსაჯულების აღსრულებაში. ჩვეულებრივ მოქალაქეს ასევე ჩვეულებრივი მოქალაქეები განსჯიან და ვერდიქტს გამოუტანენ. სასჯელის ვადების განსაზღვრა კი მოსამართლეების პრეროგატივაა.

ნაფიცი მსაჯულების არჩევა გადამწყვეტი ფაქტორია სამართლიანი ვერდიქტის გამოსატანად. თუ მსაჯულები არასწორად შეირჩნენ, ვერდიქტიც უსამართლო იქნება. ამიტომ მსაჯულების არჩევის პროცესს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ერთიანი ამომრჩეველთა სია თავს იყრის თბილისის საქალაქო სასამართლოში. სპეციალური კომპიუტერული პროგრამა შემთხვევითი ამორჩევის პრინციპით 50 კანდიდატის სიას ამოყრის საერთო საარჩევნო სიიდან. შემდეგ მხარეები იკრიბებიან სპეციალურ სასამართლო სხდომაზე და მოსამართლეს უყენებენ შუამდგომლობას, თუ რომელი კანდიდატის აცილება სურთ. კანდიდატების გაცხრილვა საკმაოდ რთული პროცესია. დარჩენილებიდან პირველი 14 კანდიდატი შედის სასამართლოს ოქმში.

კანონის მიხედვით, მსაჯული ზენოლისგან ნებისმიერი მხრიდან უნდა იყოს დაცული. სისხლის სამართლის კოდექსში შედის ცვლილება, რომლის მიხედვითაც, დასჯად ქმედებად ცხადდება ნაფიცი მსაჯულის დაშინება, მისი მოსყიდვის მცდელობა, მისი დაყოლიება კონკრეტული გადაწყვეტილების მისაღებად. სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, რომ ამ სისტემის ამოქმედებისთანავე, ნაფიც მსაჯულთა დასაცავად სხვადასხვა პროგრამა განახორციელოს, იქნება ეს მათი განთავსება სხვადასხვა სასტუმროში, მათი ტრანსპორტირება და სხვ. კანონში ჩადებულია, რომ თუკი მოსამართლე მიიჩნევეს, რომ თბილისში შეუძლებელია მოიძებნოს 12 მიუკერძოებელი მსაჯული, რომელიც ამ საქმეს ობიექტურად განიხილავს, მაშინ მას საქმის განხილვა სხვა ქალაქში გადააქვს, მაგალითად — ქუთაისში ან თელავში. მაქსიმალურად უნდა გამოირიცხოს შესაძლებლობა, რომ ნაფიცმა მსაჯულებმა გადაწყვეტილება რაიმე სახის გარე ზემოქმედების გარეშე გამოიტანონ.

უფლება, რომ ნაფიცმა მსაჯულებმა განიხილონ საქმე, არ ეკუთვნის მხოლოდ ბრალდებულს, ან მხოლოდ სახელმწიფო ბრალდებას. შეჯიბრებითი სასამართლო სისტემის დროს ორივე მხარეს თანაბარი უფლებები აქვს. ამიტომ თუ ორივეს თანხმობა არ იქნა, ვერც ბრალდებული და ვერც გამოძიება ვერ მოითხოვს, რომ ვერდიქტი, ნაფიცი მსაჯულების ნაცვლად, პროფესიონალმა მოსამართლეებმა გამოიტანონ.

როგორც ჯარში სამსახურია სავალდებულო, ასევე საქართველოს მოქალაქის ვალდებულება იქნება ნაფიცი მსაჯული იყოს. უარის შემთხვევაში, კანონი ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ანებს. თუ მოქალაქეს არ სურს ნაფიცი მსაჯულობა, მაშინ მას საპატიო მიზეზი უნდა ჰქონდეს. მოსამართლე მხოლოდ იმ შემთხვევაში გაათავისუფლებს მას, თუ ბოლო ერთი წლის განმავლობაში უკვე იყო ნაფიცი მსაჯული და მოქალაქეობრივი ვალი მოიხადა; რაღაც ისეთ სამსახურში მუშაობს, სადაც მისი შეცვლა შეუძლებელია; 70-წელს გადაცილებულია, ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აძლევს მუშაობის საშუალებას, ან დიდი ხნით საზღვარგარეთ მიემგზავრება. ასევე აცილებას ექვემდებარებიან ფსიქოლოგები, ფსიქიატრები, იურისტები, პოლიციელები, სასულიერო მოღვაწენი და სახელმწიფო თანამდებობის პირები. o

ერთადერთ გარანტზე, ისე საუბრობენ. შესაბამისად, ნებისმიერი განსხვავებული არგუმენტი დემოკრატიის სანინალმდეგო არგუმენტად განიხილება. ასეთი დისკუსია, ცხადია, ფუჭი და უშედეგოა.

დემოკრატიული სახელმწიფოების სამართლებრივი სისტემის ზედაპირული გაცნობაც კი ადასტურებს, რომ აღიარებული დემოკრატიების ნახევარზე მეტს ნაფიც მსაჯულთა სისტემა არა აქვთ. მეორე მხრივ კი, ისეთ ქვეყანაში, როგორც რუსეთია, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი მუშაობს.

საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სრულად ამოქმედების შემდეგ, შემოთავაზებული კანონპროექტის მიხედვით, ყველა სასამართლოში, ყველა საქმეზე, წვრილმანი ხულიგნობიდან მკვლელობის ჩათვლით, მხარეების თანხმობის შემთხვევაში ვერდიქტს ნაფიცი მსაჯულები გამოიტანენ. ასეთი სისტემა დღევანდელი მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ მოქმედებს ამერიკის შეერთებული შტატების გარდა. ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში, მათ შორის შერეული სისტემის პირობებშიც კი, მსაჯულები მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე, მრავალჯერადი მკვლელობის, სამშობლოს ღალატისა და სხვა მსგავს საქმეებზე მონაწილეობენ. ინგლისშიც კი, ბოლო ოცი წლის მანძილზე, ათასობით საქმეზე გაუქმდა მსაჯულთა სასამართლოები.

მოდელი, რომელსაც ქართველი კანონმდებლები გვთავაზობენ, ყველაზე ახლოს ანგლო-საქსურ, უფრო კონკრეტულად კი, ამერიკის შეერთებული შტატების სისტემასთან დგას. თუმცა, შემოთავაზებული კანონპროექტი, ამერიკული მოდელისაგან აცდენით, ერთი მხრივ, მხარეთა უფლებამოსილებებს, ხოლო მეორე მხრივ, მსაჯულების დამოუკიდებლობას უქმნის საფრთხეს. დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილებისა და კანონმდებლობის შესაბამისად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ბრალდებულის ნებაყოფლობითი არჩევანია. ეს უკანასკნელი დებულება ერთგვარი იმპერატივია სისტემისათვის, რაც სამწუხაროდ ჩვენთან არ არის გათვალისწინებული. მაღალი ნდობა, დამოუკიდებლობა და რიგითი, მისი მსგავსი მოქალაქეების ნესიერება ის მოტივებია, რომელიც ბრალდებულს ასეთი არჩევანის გაკეთების მოტივაციას უქმნის. ამ მოტივაციისა და რწმენის არარსებობის შემთხვევაში, მხარეს ყოველთვის უნდა ჰქონდეს უფლება უარი განაცხადოს მსაჯულებზე და საკუთარი ბედის გადაწყვეტა პროფესიონალი მოსამართლის სასამართლოს მიანდოს.

დემოკრატიული სახელმწიფოების პრაქტიკისათვის უცხოა მრავალი ისეთი დებულება, რომელსაც შემოთავაზებული კანონპროექტი ითვალისწინებს:

ბრალდების მხარის აუცილებელი თანხმობა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ჩატარებაზე. უფრო მეტიც, მისი ინიციატივით ასეთი უფლების ჩამორთმევა ბრალდებულისათვის.

სუბიექტური მოტივებით უკვე შერჩეული მსაჯულის პროცესისაგან ჩამოშორება.

საქმის განხილვის შემდეგ მოსამართლის ინსტრუქციებისა და განსაკუთრებით, უკვე მოსმენილი და განხილული ყოველი მტკიცებულების შეფასების წესების პოსტ-ფაქტუმ დადგენა.

მხარეთა მონაწილეობის გარეშე მსაჯულების შერჩევის შესაძლებლობის დაშვება.

მსაჯულების ურთიერთობა დანარჩენ სამყაროსთან პროცესის მიმდინარეობის დროს, განსაკუთრებით, მასმედია და ნაცნობ-მეგობრების გავლენის ქვეშ მოქცევის შესაძლებლობა.

ყველა ეს პირობა და საკითხი გასათვალისწინებელი და სამსჯელოა მანამ, სანამ რაიმე საბოლოო გადაწყვეტილება იქნება მიღებული, იმისათვის, რომ სისტემა ჯანსაღ საფუძველზე დაიბადოს და მართლმსაჯულების მიმართ შერყეული რწმენის აღდგენას შეუწყოს ხელი. o

“უნდა ვიყოთ მაქსიმალურად რადიკალური”

კვანახანი მიმდინარე ეკონომიკურ კრიზისზე, მისი დაძვრის გზაზე, ჩატარებულ და მიმდინარე რეფორმებზე პრემიერ-მინისტრის უფროსი მხრეველი ნონა ყანაჩაშვილი საუბრობს. >>

ნათია ახალაშვილი



ფოტო: ლევან ხაჩაბაშვილი

ლიბერალი არის თუ არა საქართველოს ეკონომიკა კრიზისში და თუ არის, რამ გამოიწვია იგი?

ნ.ყ. თუ კი ქვეყნის შიდა პროდუქტი ზედიზედ ორი კვარტალი მცირდება, მაშინ კრიზისია. ასეთია განსაზღვრება. საქართველოში ზუსტად ასე ხდება, ანუ ქვეყანა არის კრიზისში. იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა გაიზარდოს, მას ძალიან სჭირდება საერთაშორისო ინვესტიციები. საქართველოში არ არის ისეთი კაპიტალი, რომელიც საკუთარ თავს გაზრდიდა. სწორედ ამიტომაც საჭირო საერთაშორისო ინვესტიციები, რომელთა ნაკადი, მსოფლიო ფინანსური კრიზისის გამო პრაქტიკულად გაშრა. რამდენიმე ათეულჯერ შემცირდა ინვესტიციების სიმძლავრე.

საქართველოს კრიზისზე რუსულმა ინტერვენციამაც იმოქმედა. მართალია, აგვისტოს ომმა დიდი ზიანი მიაყენა ქვეყანას, მაგრამ გაცილებით მეტი ზიანი მიადგა მას მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გამო, რომელიც ჯერ კიდევ არ დასრულებულა. ეს გასული წლის ნოემბერში ჩატარებული USAID-ის კვლევის შედეგებიდან ჩანს. დიდი წილი იმისა, რაც ახლა საქართველოში ხდება (სამუშაო ადგილების დაკარგვა, ეკონომიკური აქტივობების შეჩერება), მსოფლიო კრიზისის და საერთაშორისო ინვესტიციების ნაკადის შემცირების მიზეზით ხდება.

ლიბერალი კრიზისი ყველაზე მეტად ეკონომიკის რომელ სფეროს შეეხო?

ნ.ყ. როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოში კრიზისმა იმოქმედა მშენებლობაზე, მანქანების ბაზარზე და ბანკებზე. ბანკებს პრაქტიკულად შეუმცირდათ ფინანსური სახსრები, იმისათვის, რომ გასცენ სესხები. გაზრდილია რისკებიც, შემცირდა დეპოზიტებიც. კრიზისი, რა თქმა უნდა, ყველას შეეხო, მაგრამ, განსაკუთრებით – ამ სამ სფეროს.

ლიბერალი კონკრეტულად რა გეგმები აქვს საქართველოს ხელისუფლებას კრიზისის დასაძლევად?

ნ.ყ. მიმდინარეობს კამათი, თუ რისი გაკეთება შეიძლება. ერთიანი, ბოლომდე ჩამოყალიბებული ხედვა ჯერჯერობით არ არსებობს. პირადად მე მიმაჩნია, რომ ქვეყანა-



ნას ყველაზე დიდ შედეგს მოუტანს რეფორმა, რომელიც ინვესტორებს მისცემს უფლებას, ფული საქართველოში დააბანდონ იმ ვალუტაში, რომელშიც მათ სურთ. ამ რისკის მოცილების შედეგად, საქართველოს მიმზიდველობა გაიზრდება. ინვესტორებს არ შეეშინდებათ იმის, რომ ფულს დაკარგავენ უბრალოდ კურსის ცვალებადობის გამო.

ამით ლარს არანაირი პრობლემა არ შეექმნება, რადგან ეს პროცესი ფაქტობრივად უკვე მომხდარია. ყველაფრის ფასი – ბინის, მანქანის და ასე შემდეგ, დოლარში ან ევროშია ნომინირებული. ლარი დარჩება მიმოქცევაში, ის გადაიქცევა მეორად ვალუტად და დროთა განმავლობაში შესაძლებელია საერთოდ ამოღებულიც კი იქნას მიმოქცევიდან.

ამ რეფორმის გატარებას საქართველოსა და აღმოსავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანას ურჩევს საერთაშორისო სავალუტო ფონდიც.

ლიბერალი რომელი რეფორმა იყო ეკონომიკის სფეროში ყველაზე მნიშვნელოვანი? შეჩერდა თუ არა ეს პროცესი და რატომ?

მ.წ. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ლიცენზიების და ნებართვების რაოდენობის შემცირება. მონაცემებით ჩანს, რა დიდი გავლენა იქონია ამ რეფორმამ სამშენებლო ბიზნესზე. ძალიან მნიშვნელოვნად ვთვლი საკუთრების რეგისტრაციის გამარტივების რეფორმას. მიმაჩნია, რომ პოლიციის რეფორმასაც აქვს ეკონომიკური მნიშვნელობა. ქუჩაში რომ არ გვაჩერებენ მანქანით მოძრაობისას და ქრთამს არ გვთხოვენ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ეს ყველაფერი კი აისახება ადამიანების გადაწყვეტილებებზე, აკეთონ თუ არა ბიზნესი საქართველოში, რაც, ცხადია, ეკონომიკაზე ახდენს გავლენას.

მიუხედავად იმისა, რომ შრომის კოდექსი “ყბადალებული” თემა გახდა, ვფიქრობ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ბიზნესებმა თავისუფლად მიიღონ გადაწყვეტილებები ადამიანების დაქირავებისა და გაშვების დროს. ეს ბიზნესს უფრო მოქნილს ხდის და საშუალება ეძლევა, უფრო ადვილად გადაიტანოს კრიზისი და ბუმის დროს უცბად გაიზარდოს. ჯანდაცვის რეფორმა ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ კარგად ვერ მიმდინარეობს. 100 საავადმყოფოს

პროექტი ძალიან კარგად იყო დაგეგმილი, მაგრამ შეფერხდა კრიზისის გამო. შეჩერებულია საპენსიო რეფორმაც.

სტატისტიკის რეფორმა შეჩერებულია მხოლოდ მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების გამო. ამას უკვე კანონპროექტის სახე აქვს მიღებული და ძალიან ეფექტური სტატისტიკის დეპარტამენტი შეიქმნება. საგრძნობლად იცვლება მენეჯმენტი და მიდგომა. კერძო ინტერესები შემოვა სტატისტიკის დეპარტამენტში და ვერავინ იმოქმედებს მათ მონაცემებზე. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ სტატისტიკის მონაცემებზე დაყრდნობით კეთდება დასკვნები.

ვფიქრობ, ჩატარებული რეფორმები უნდა შენარჩუნდეს, შეიძლება, რაღაც დეტალები შესწორდეს, მაგრამ

ჩატარებული რეფორმები უნდა შენარჩუნდეს, მაგრამ რებრანსი არ უნდა მოხდეს. ეს უკან გადაღებული ნაბიჯი იქნება.

რეგრესი არ უნდა მოხდეს. ეს უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება. ქვეყნის საერთაშორისო ინდექსებში წინსვლამ აჩვენა, რომ ჩატარებული რეფორმების შედეგად საქართველომ ნდობა უკვე მოიპოვა და ეს მიღწევები არ უნდა დავთმოთ.

ლიბერალი ახლა რის ხარჯზე შეიძლება რომ განვითარების ისეთივე მაღალი ინდექსი გაგრძელდეს, როგორიც აქამდე იყო? მაგალითად – 2007 წელს ეკონომიკაში 12-პროცენტითანი ზრდა დაფიქსირდა.

მ.წ. განვითარების მაღალი ინდექსი დამოკიდებულია იმაზე თუ რა პოლიტიკური პროცესები განვითარდება ქვეყანაში. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოხსენებაში ნათქვამია, რომ წელს საქართველოს ეკონომიკა მხოლოდ ერთი პროცენტით გაიზრდება. დღევანდელი პოლიტიკური პროცესების დიდ ხანს გაგრძელების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი გახდება მინუს 2 ან მინუს 5.

ლიბერალი რა სფეროების ხარჯზე შეიძლება, რომ გაიზარდოს განვითარების ინდექსი?

მ.წ. საქართველოს ეკონომიკა, საბედნიეროდ, არ არის დამოკიდებული ერთ ინდუსტრიაზე. რომ შევხედოთ მთლიანი შიდა პროდუქტის კომპონენტებს, თითოეული კომპონენტი იმდენად პატარაა, რომ ვერ ვიტყვით, რომ ის არის წამყვანი და ამას თუ განვავითარებთ, ეკონომიკას ეშველება და გადარჩება. ჩვენი ქვეყანა დამოკიდებული რომ ყოფილიყო ეკონომიკის ერთ სექტორზე, მაგალითად ღვინოზე, რუსეთის ემბარგოს გამო ძალიან დაზარალდებოდა.

ლიბერალი რაშია ქართული ეკონომიკის პოტენციალი – სრულ ლიბერალიზაციაში? სხვადასხვა ეკონომიკური დარგების განვითარებაში? სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციაში?

მ.წ. ვფიქრობ, ყველაფერში ერთად. ჩვენ უნდა ვიყოთ მაქსიმალურად რადიკალურები იმაში, რაც შეგვიძლია. თუ რისკები არსებობს, მათკენ უნდა მივმართოთ ყურადღება და ნაკლებად ჩავერიოთ კერძო სექტორის გადანყვტილებებში. დერეფნის ფუნქცია ძალიან მნიშვნელოვანია. თუ საქართველოში ინვესტიციების ჩადება უცხოურ ვალუტაში გახდება შესაძლებელი, ჩვენ მართლა შევასრულებთ სავაჭრო დერეფნის როლს.

ლიბერალი ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა მოიცავს საქართველოში თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნას – რა არის ამ პროგრამის პლუსები და მინუსები? რამდენად შედის ასეთი ზონის შექმნა საქართველოს ინტერესებში?

მ.წ. თავისუფალი ეკონომიკური ზონები ძალიან მნიშვნელოვანია. ეს ზრდის ეკონომიკურ აქტივობას. რაც უფრო მეტი ინტერესი იქნება ქვეყნის მიმართ, მით მეტად გაფართოვდება ბაზარი საქართველოში არსებული ბიზნესებისთვის. უარყოფითი შედეგების თვალსაზრისით – ევროკავშირი, პარტნიორობის სანაცვლოდ, როგორც წესი, რალაცებს მოითხოვს ხოლმე, მაგალითად, სურსათის უვნებლობაზე რეგულაციების გაფრთხილებას. თუმცა, ამ ხელშეკრულების დადებითი მხარეები გადანონის უარყოფითებს. ჩვენ ვმუშაობთ ამ საკითხებზე და ვფიქრობთ, ნელ-ნელა წინსვლა გვექნება. **■**

საქართველო

ახალი ამბების ანალიზი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ კარგად გახსოვს კონტექსტი და ისტორია. ვინცანებთ გასული 5 წლის მნიშვნელოვან თარიღებს, რომელმაც ძვეყანა და მისი ახალგაზრდა ხელისუფლება შეცვალა. ქრონოლოგიას თუ გაყვივებით, ნახავთ, რა გამოწვევების წინაშე იდგა, რისი გაკეთება შეძლო, რა შეცდომები დაუშვა და რა დათმო რეფორმატორების სახელით მოსულმა პოლიტიკოსთა ჯგუფმა. 2004-2008 წლების მოვლენების ინტერპრეტაციებისაგან დაცლილი ჩამონათვალი გეპრანირად შეიძლება წაიკითხო:

- როგორც ბრძოლა მშვიდობისთვის ან მზადება ომისთვის;
 - როგორც რადიკალური რეფორმების წყება ან არათანმიმდევრული კომპრომისების მონაცვლეობა;
 - როგორც ბრძოლა სამართლიანობისთვის ან ბრძოლა ძალაუფლებისთვის;
 - როგორც განვითარების შესნის დაკარგვის ან რეალური თავისუფლების მოპოვების ისტორია.
- 2009 წელი შესაძლოა გვის გასაყარი აღმოჩნდეს - ან გადავლახავთ წარსულს და გადავალთ შემდეგ ეტაპზე, ან დავბრუნდებით „ძველ სამართლებლოში“.



ახალი სამართლებლო 2004-2008

ფოტო: თემურ ბარბაქაძე

2004


4 იანვარი საქართველოში ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. „ვარდების რევოლუციის“ ლიდერმა მიხეილ სააკაშვილმა ხმების 96%-ით გაიმარჯვა. მისი წინასაარჩევნო პროგრამის პრიორიტეტებია: კორუფციასთან ბრძოლა, საჯარო სამსახურების რეფორმირება, ეკონომიკური რეფორმები, ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. წინასაარჩევნოდ გამართულ პარტიის ყრილობაზე სააკაშვილმა განაცხადა: „საქართველოში 4 იანვრიდან ახალი ეპოქა დაიწყება და ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით ჩვენ შევძლებთ ფსოუს ჩათვლით მოხდეს საქართველოს გამთლიანება“.

8 იანვარი თბილისის პროკურატურამ ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორის **ლევან მამალაძის** წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა და მასზე ძებნა გამოაცხადა. მას სახელმწიფო ქონების მითვისებაში ედება ბრალი. ლევან მამალაძე „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მოსკოვში წავიდა. მამალაძე პირველი იყო შვედრანდიის მთავრობის

20 დეკემბერი სამართალდამცავმა სტრუქტურებმა კანონიერ ქურდებთან კავშირის ბრალდებით 18 ეჭვმიტანილი დააკავეს. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილის თქმით, ამით საქართველოს „კრიმინალურმა სამყარომ“ უდიდესი დარტყმა განიცადა. „ეს დაპატიმრებული პირები ე.წ. ობშიაკის შეგროვებით იყვნენ დაკავებული... და ეს ობშიაკიც ამოვიღეთ“, — განაცხადა ვანო მერაბიშვილმა. თუმცა, არ დააკონკრეტა ამოღებული ე.წ. „ობშიაკის“ რაოდენობა.



2006



„რუსთავი 2“-ის საკონტროლო პაკეტის მფლობელი ქიბარ ხალვაში ხელს აწერს აქციების 78%-ის გაყიდვის დოკუმენტს.

12 თებერვალი სამხრეთ ოსეთში ერთმანეთის პარალელურად ორი არჩევნები ჩატარდა. ედუარდ კოკოითი ხელახლა აირჩიეს თვითგამოცხადებული რეგიონის ლიდერად, საქართველოს ხელისუფლების მიერ შექმნილი სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის მეთაური კი დიმიტრი სანაკოევი გახდა. სანაკოევის ინაუგურაციის ცერემონია 1 დეკემბერს სოფელ ქურთაში გაიმართა.

6 დეკემბერი რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ ორი განცხადება მიიღო, რომლებშიც რუსეთის პრეზიდენტს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის თვითგამოცხადებული რეგიონების აღიარებისკენ მოუწოდებს.

27 დეკემბერი პარლამენტმა მესამე მოსმენით დაამტკიცა საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელიც საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ერთდროულად 2008 წლის ოქტომბერში ჩატარებას ითვალისწინებს. ნაციონალური მოძრაობის წევრების თქმით, თარიღის გაზაფხულიდან შემოდგომაზე გადატანის მიზეზი რუსეთში დაგეგმილი არჩევნებია. მათი განმარტებით, „სერიოზული რისკი“ არსებობს, რომ რუსეთმა საქართველოს არჩევნებით მანიპულირება მოახდინოს ან „სერიოზული პროვოკაციები“ დაგეგმოს საქართველოში, საკუთარი საპრეზიდენტო არჩევნების წინ. ოპოზიცია საკონსტიტუციო ცვლილებების წინააღმდეგაა. საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ერთდროულად ჩატარების ინიციატივა პრეზიდენტს ეკუთვნის. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის ცნობით, 2006 წელს საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობა 2005

ნელს არსებული 450 მილიონი აშშ დოლარიდან 1.14 მილიარდ აშშ დოლარამდე გაიზარდა.

2009

ინვესარი საქართველოს მთავრობა აქვეყნებს პროგრამას, რომლის თანახმადაც, მომდევნო სამი წლის განმავლობაში ქვეყანაში 100 ახალი საავადმყოფო და ამბულატორია უნდა აშენდეს. მშენებლობისთვის 520 მილიონი ლარის ინვესტირება იგეგმება.

22 იანვარი იხსნება საპატრიარქოს ტელევიზია. „ეს არ იქნება პოლიტიკური ტელეარხი. ეს იქნება სუფთა ეროვნული, ზნეობრივი, აღმზრდელი არხი. აქ იქნება ყურადღება მიქცეული სულიერ და ეროვნულ ფასეულობებზე, რაც აუცილებელია ჩვენი ქვეყნისათვის და ჩვენი მომავლისთვის“, — განაცხადა კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ სიხშირის გადაცემის შეთანხმების დოკუმენტზე ხელმოწერის შემდეგ. ტელევიზიის წლიური ბიუჯეტი 200,000 ლარია.

01/ სააკაშვილის და პუტინის შეხვედრა 02/ აქცია ზარაკიძის გათავისუფლების მოთხოვნით 03/ თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი 04/ ციხის ბუნტი 05/ საპროტესტო აქცია

ფოტო (ცალკეა) ა. მარცხენა: მარცხენა: 01. REUTERS, 02/04/05 ზინიანი ნიკოლოზიძე, 03 მსოფლიო



3 თებერვალი ჟვანიას გარდაცვალების ორი წლის თავზე მისი ოჯახი გამოიძიება უნდობლობას უცხადებს. „ჩვენი მთავარი მოთხოვნა, რომ ჩამოეყვანათ უცხოელი ექსპერტები და ისინი ჩართულიყვნენ გამოძიებაში, დღემდე არ შესრულებულა. ამის შესახებ იყო დაპირება პრეზიდენტის მხრიდან, მაგრამ დაპირება, დაპირებად რჩება“, — აცხადებს ზურაბ ჟვანიას ძმა გოგლა ჟვანია. პრეზიდენტმა სააკაშვილმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა ჟვანიას ხსოვნას მის საფლავზე მისვლით მიაგეს პატივი.

14 თებერვალი რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ აფხაზეთში 11 თებერვალს ჩატარებული ადგილობრივი არჩევნები შეესაბამებოდა „საერთაშორისო საარჩევნო და დემოკრატიულ სტანდარტებს“. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსეთის ამ განცხადებას „ამორალურს“ უწოდებს.

16 თებერვალი პარლამენტმა ჩააგდო **ლუსტრაციის შესახებ** კანონპროექტი. უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა გიგა ბოკერიამ განაცხადა, რომ „ამ საკითხზე თვითონ უმრავლესობის შიგნით დისკუსია დამთავრებული არ არის. მე მგონია, რომ ეს კანონპროექტი ჩავარდება, თუმცა იმედი მაქვს, რომ ამ მოწვევის პარლამენტი მიიღებს კანონს საბჭოთა წარსულის შეფასების თაობაზე“, — აღნიშნა მან. მოგვიანებით, არასამთავრობო ორგანიზაციაში „თავისუფლების ინსტიტუტმა“ ლუსტრაციის საკითხთან დაკავშირებით საკუთარი ხედვა გამოაქვეყნა. პროექტის თანახმად, დღევანდელ სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირებს, დეპუტატებს ან კანდიდატებს, პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელებს, რომელთაც ჰქონდათ პირადი, სატელეფონო ან საფოსტო კომუნიკაცია იმ სახელმწიფოს მოქალაქეებთან, რომელთა: „შეიარაღებული ძალები იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფოს წების საწინააღმდეგოდ და მიზანია კონსტიტუციური წყობილების დამზოხა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, ეროვნული, კუთხური, ან რელიგიური შუღლის გაღვივებას“, მოუწევთ საქმიანობის ან კომუნიკაციის „სახის, შინაარსის და ვადების“ დეკლარირება. წინააღმდეგ შემთხვევაში დაეკისრებათ საჯარო არჩევითი და დანიშნითი თანამდებობის დაკავების 15-წლიანი აკრძალვის სანქცია. ლუსტრაციის კანონი პარლამენტს დღემდე არ მიუღია.

23 თებერვალი სააკაშვილი რუსეთის პრეზიდენტს **ისტორიულ ფიგურას** უწოდებს. საქართველოს პრეზიდენტის თქმით, პუტინმა „ისტორიული მნიშვნელობის როლი შეასრულა თანამედროვე რუსეთისთვის“. სააკაშვილმა განაცხადა, რომ ორმხრივ ურთიერთობებში გარკვეული „პოზიტიური ნიშნები“ შეიმჩნევა და ახლა საქართველო სოჭში ოლიმპიადის ჩატარებას უჭერს მხარს.

11 მარტი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, დაიბოძა ზემო აფხაზეთის (კოდორის) ტერიტორია. პრეზიდენტი სააკაშვილი აცხადებს, რომ ეს იყო პროვოკაცია, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს მშვიდობიანი განვითარების კურსიდან გადახვევას. რუსეთის საგარეო უწყებამ უარყო ინფორმაცია, რომ დაბომბვა რუსულმა ვერტმფრენმა განახორციელა, თუმცა განაცხადა, რომ ზემო **კოდორის ხეობაში** 11 მარტს მომხდარი ინციდენტი ლოგიკური შედეგია საქართველოს გადაწყვეტილებისა ხეობაში „აფხაზეთის ე.წ. ლეგიტიმური მთავრობის“ განთავსებისა და ქართული ძალების შეყვანის შემდეგ.

15 მარტი პარლამენტში დაგეგმილი გამოსვლის წინ მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ის დეპუტატებისადმი მიმართვის შემდეგ არ უპასუხებს მათ შეკითხვებს. ოპოზიციამ პროცედურაში შეტანილი ცვლილება იმით ასსნა, რომ პრეზიდენტი „გაურბის მათთან **საჯარო დიალოგს**“. პასუხად, ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ პრეზიდენტი „ტელევიზიით აუცილებლად მოისმენს ოპოზიციის კრიტიკულ შენიშვნებს“. ოპოზიცია მოითხოვს, რომ პრეზიდენტმა ისაუბროს პრივატის სახით პროცესზე, თბილისის აეროპორტის თემაზე, საკუთრების უფლებების დარღვევის ფაქტებზე, სასამართლო სისტემაზე და სანდრო გირგვლიანის და ამირან რობაქიძის საქმეების გამო მალაღწიონისების დაუსჯელობაზე. სააკაშვილმა მოხსენებაში სასამართლო რეფორმის „მეორე ტალღის“ დაწყებაზე ისაუბრა, რაც ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტის შემოღებას გულისხმობს.

19 მარტი თბილისის სააპელაციო სასამართლომ არასრულწლოვან პატიმარს **გიორგი ზერეკიძეს** განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლით 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მომდევნო დღეებში დაიწყო მოსწავლეთა გაფიცვა თბილისის რამდენიმე სკოლაში. ზერეკიძისთვის სასჯელის შემსუბუქების მოთხოვნით აქცია „ახალი მე-

მარჯვენების“ ორგანიზებით გაიმართა. 20 მარტს, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ნიკა გვარამიამ მედიის მიერ ამ თემის გაშუქება გააკრიტიკა: „ტელეკომპანიების უმეტესობამ არასრულწლოვანი გიორგი ზერეკიძის სასამართლო პროცესი და მის შემდეგ განვითარებული მოვლენები მიკერძოებულად გააშუქა“, განაცხადა გვარამიამ. მოგვიანებით, განცხადება გააკეთა გიგა ბოკერიამაც. მან ზერეკიძის საქმის კამპანიას „უპასუხისმგებლო“ უწოდა და განაცხადა, რომ ხელისუფლება გეგმავს კიდევ უფრო გაამკაცროს არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ზომები. გაეროს ბავშვთა ფონდმა UNICEF-მა გაავრცელა განცხადება, სადაც შემოთავაზებულია 14 წლის მოზარდისთვის 7- წლიანი პატიმრობის მისჯის გამო.

1 აპრილი საქართველოს პირველი პრეზიდენტის **ზვიად გამსახურდიას** ნეშტი მთანმინდის პანთეონში დაკრძალეს. პრეზიდენტ სააკაშვილის თქმით, მან განახორციელა ის, „რისი გადაწყვეტილებაც ჯერ კიდევ 2004 წელს იქნა მიღებული, რომ საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაკრძალვა მომხდარიყო მის სამშობლოში, საქართველოში“.


18 მაისი აჭარაში, ხელვაჩაურის რაიონის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა **ეკლესიის მშენებარე შენობა** დაანგრეს. მშენებლობა უკანონო იყო. ამ ფაქტს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი გამოეხმაურა: „ეს სამწუხარო ფაქტი... არ უნდა მომხდარიყო“, განაცხადა ილია მერემ. ოპოზიციური პარტიები ხელისუფლებას მართლმადიდებლური ტაძრის „ვანდალური“ განადგურების გამო აკრიტიკებენ. საპატრიარქოსა და ხელისუფლების წარმომადგენლების შეხვედრის შემდეგ გადმაცხადდა, რომ ეკლესია მაინც აშენდება.

26 მაისი დამოუკიდებლობის დღეს სამხედრო აღლუმზე მიხილ სააკაშვილი აცხადებს: „მე მინდა მივესალმო ჩვენ მოსახლეობას ცხინვალში, ზნაურში, ჯავაში, ახალგორში, დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში და მინდა ვუთხრა მათ, ... ჩვენ თქვენ გვიყვარხართ“.

22 ივნისი პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი „ქონების ლეგალიზაციის შესახებ“, რომელიც 2007 წლის 1 აპრილამდე შექმნილი **კერძო საკუთრებისათვის** სახელმწიფოს მხრიდან ხელშეუხებლობის დამატებით გარანტიებს ითვალისწინებს. ქონების ლეგალიზაცია მხოლოდ იმ ქონებას არ შეეხება, რომლის შექმნის საფუძვლის შესახებ სასამართლო დავა მიმდინარეობს. ოპოზიცია კანონპროექტს აკრიტიკებს, რადგან ის არ ითვალისწინებს ხელისუფლების მიერ უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნებას. ამ კანონპროექტის მიღებიდან ერთ თვეში თბილისის მერიამ დაიწყო **თავუკავშილის ქუჩაზე** საცხოვრებელი სახლის ნგრევა, ისე, რომ სახლის მაცხოვრებლებთან გამოსახლების შესახებ შეთანხმება არ იყო მიღწეული. მერიის განმარტებით, სახლის მშენებლობაზე ნებართვა უკანონოდ იყო გაცემული. სახლის ნგრევა, სახალხო დამცველის შეფასებით, „ბარბაროსული“ მეთოდებით მოხდა.

27 ივნისი ახალქალაქის **სამხედრო ბაზა** ოფიციალურად საქართველოს საკუთრება ხდება. რუსმა სამხედროებმა ბაზა დაცალეს და 2006 წლის სოჭის ხელშეკრულების თანახმად, დატოვეს ახალქალაქი. ამავე წელს, ნოემბერში, საქართველოს გადმოეცა ბათუმის სამხედრო ბაზაც, რომელიც რუსმა სამხედროებმა ვადაზე 1 წლით ადრე დაცალეს. ამით დასრულდა საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე რუსული ბაზების არსებობა, რომელიც აქ საბჭოთა ოკუპაციის დროს განთავსდა.

3 ივლისი სასამართლო დარბაზებში **ვიდეოგადღება** იკრძალება. კანონპროექტის განმარტებით დოკუმენტში ნათქვამია, რომ სასამართლო სხდომაზე ტელეკამერები „ხელს უწყობს პროცესის ანგაჟირებას და მხარეთა მიერ შეგნებულ პროვოკაციების მოწყობას“. სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა გააკრიტიკა ეს ინიციატივა, იმ მოტივით, რომ აკრძალვის დაწესება არასწორია იმ ქვეყნისთვის, სადაც სასამართლო სისტემა გარდამავალ პერიოდში იმყოფება და ამ სისტემას არ აქვს საზოგადოების ნდობა.



მიხილ სააკაშვილის გამოსვლა ნაციონალური მოძრაობის ყრილობაზე

2008 წლის 3 მაისი, თბილისი, საქართველო (ამონარიდი)

რაზე ატყდა შარჟან მთელი აგავი ნოემბერში? შარჟან გამოიყენეს საზოგადოების გაჭირვება.

ჩვენ ვითქვით, რომ საქართველოში ცხოვრების წესი მთლიანად შიცილვითა და ეს ღვივის საბაზი განლა. ქრთამის ალბა ქართული ტრადიცია არ არის. არც კორუფცია, არც გაუტანლობა და არც ერთმანეთის ძიშობა არ არის ქართული ტრადიცია. სწორედ გარე ძალა ამკვიდრებს ჩვენში ცხოვრების ასეთ წესს, რომელიც დაფუძნებულია პრინციპზე - გათიშე და იზატონე. ჩვენთვის მთავარი იყო ერთი რამ - არავის ალარ აელო ქრთამი.

ჩვენ ვითქვით, რომ მოძრაობის წესების დამრღვევს, რომორი ჯივისა და მერსედეისის მძღოლიც არ უნდა ყოფილიყო ის, ვატრული გააჩეჩებდა და დააჯარიმებდა კიდეც. ამ ფაქტს ზოგიერთმა ალფომთაშულმა კალადობა უწოდა.

ასევე ვითქვით, რომ ნარკოტიკების გამსალბელს დააპატიმრებენ, მას ვერც ტელეფონის ზარი გადაარჩინს და ვერც ვინმეს „პატივისცემა“, რადგან ის, ფაქტობრივად, ათასობით თანამოქალაქის მკვლეელია. დამნაშავე კანონის

მთელი სიმაკცრით აგებს პასუხს. ზოგიერთი ასეთი აღამიანის დაკავებასაც ქალაქობას უწოდებს.

ჩვენ ვითქვით, რომ ქათმის ქურდიც ქურდია, რადგან ის ქათამი და ქროხა, რომელიც გლეხს მოჰპარეს, შეიძლება ერთადერთი რამ არის, რითაც მოჯახი თავს ირჩენს. ამით გვერ მოჯახს არსებობის საშუალებას ართმევ და შიგშილით სიკვდილისათვის სწირავს. ქათმის ქურდის დაჭერას ის ხალხი ეწინააღმდეგება, რომელიც თბილისში ცხობრობს და ხუთი ან ათი ათასი აქვს შემოსავალი, მათთვის ამის თქმა ადვილია.

იმასაც ამოგან, რომ საქართველოში არის ქალაქობა. რეალურად, ბოლო სამი წლის განმავლობაში ქალაქობის ფაქტები საგჰირ შემცირდა. ამას ერთობლივად მივადვით. ყაჩაღებს და განდიტებს ბოლომდე ამოვკირკვავთ. ჩვენსა და ზოგიერთებს შორის დიდი განსხვავებაა - ჩვენ ვაპატიმრებთ დამნაშავეებს, ისინი კი ამოგან, რომ ყველას გამოვუშვებთო. გიც ვღებულო წერილებს ასეთი შინაარსით: გამოუშვით ესა და ის აღამიანი ცინიდან და მთელი სოფლის ხმებს თქვენ მოგცემთ. პრინციპები ფულზე არ იყიდება.

ჩვენ სახელმწიფო ვართ და საკუთარ უსაფრთხოებას არაფერზე არ გავცვლით. კომპრომისზე წასვლა საკუთარი თავის ხარჯზე შეიძლება და არა საზოგადოების კეთილდღეობის ხარჯზე. მსგავს კომპრომისზე არასდროს წავსულვართ და მოგავალშიც ამ პოლიტიკას გავაგრძელებთ.

გაკითხვებით, ვინ აღმოჩნდა მართალი - ის, ვინც ამოგანა, რომ ქარჩვენების თარიღის გამო შევქმნათ კრიზისი, თუ ჩვენ, რომლებიც ვაფრთხილებდით, რომ ყოველივე ეს საქართველოს ცუდად შემოუბრუნდებოდა? ეს ის შემთხვევაა, როდესაც დრო მთავარი მსაჯულია.

მსოფლიოში დღეს სიკეთისა და ბოროტების ბრძოლა მიმდინარეობს. ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ფრონტი საქართველოშია.

7ივლინი ჩატარდა 1500 საჯარო სკოლის დირექტორების პირველი არჩევნები. სკოლის მმართველობის ფორმის შეცვლა განათლების რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია.

25ივლინი მთავრობის სხდომაზე პრეზიდენტმა სააკაშვილმა ახალი პროგრამა წარადგინა — სახელმწიფო სანარმოების გახსნის გარანტიის სანაცვლოდ მიწებს გადასცემს ინვესტორებს, რის შედეგადაც ქვეყანაში **100 ახალი აგროსანარმო** უნდა გაიხსნას. ხელისუფლება მოსახლეობას ჰპირდება, რომ პროგრამის ამოქმედების შედეგად **100 ათასი ახალი** სამუშაო ადგილი შეიქმნება.

ნაგვისტო სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა დიმიტრი სანაკოევმა დაიწყო კამპანია რეგიონის დე-ფაქტო ლიდერის, ედუარდ კოკოითის წინააღმდეგ. კამპანია „**კოკოითი ფანდარასტ**“-ის პრეზენტაცია (კოკოითი, მშვიდობით) ყველა ნაციონალური ტელეარხის პირდაპირი ეთერით გადაიყვანა. სანაკოევის ადმინისტრაცია საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ფინანსდება.

7აგვისტო შინაგან საქმეთა მინისტრის ცნობით, რუსულმა მოიერიშე თვითმფრინავმა შიდა ქართლის რეგიონში **სოფელ წითელიუბანთან** მართავდი „ჰაერი-მინის“ ტიპის რაკეტა ჩამოაგდო, რომელიც არ აფეთქდა. რუსეთი უარყოფს თავდასხმას და რაკეტის ჩამოგდებაში საქართველოს აღანაშაულებს. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ქართულმა მხარემ ეს პროვოკაცია შერეული საკონტროლო კომისიის სხდომის ჩაშლისთვის მოახსო. ოპოზიციის ნაწილმა ინციდენტის მოწყობაში საქართველოს ხელისუფლება დაადანაშაულა. მოგვიანებით, შვედეთიდან, ლატვიიდან, ლიტვიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან წარგზავნილი სამხედრო ექსპერტებისგან შემდგარმა ჯგუფმა დაადასტურა, რომ 6 აგვისტოს ღამეს საქართველოს ტერიტორიაზე რუსული თვითმფრინავები შემოიჭრა.

8აგვისტო სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი ქართველ ჟურნალისტებს ინვესს და აცხადებს, რომ მას მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრა სურს. „ქართველი ერის პატივისცემით კიდევ ერთხელ მინდა განვაცხადო ჩემი მიზნის შესახებ — შევხვდე უმაღლეს დონეზე საქართველოს პრეზიდენტს იმისათვის, რომ მოგცეს **გარანტია**, როგორც ოს ისე ქართველ ერს, რომ საომარი მოქმედებები ჩვენს შორის აღარასოდეს განახლდება. ეს აუცილებელია“, განაცხადა კოკოითიმ. მისი წინადადება უპასუხოდ დარჩა.

სექტემბერი საბიუჯეტო ცვლილებების შედეგად, ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის უდიდესი წილი თავდაცვის სამინისტროზე ნაწილდება. შედეგად, **თავდაცვის დაფინანსება** 1,271 მილიარდ ლარზე მეტი გახდა, რაც ქვეყნის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის 22%-ია.

25სექტემბერი ირაკლი ოქრუაშვილი საკუთარი პოლიტიკური მოძრაობის პრეზენტაციაზე მიხეილ სააკაშვილს ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში და მკვლელობების, მათ შორის ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობის შეკვეთაში აღანაშაულებს. ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა **მტკიცებულებები** ვერ წარმოადგინა. ორი დღის შემდეგ მას საკუთარი პარტიის ოფისში სპეცოპერაციის შედეგად აკავებენ. ყოფილ თავდაცვის მინისტრს ბრალად გამოძალვა, ფულის გათეთრება და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ედება.

8ოქტომბერი ოქრუაშვილი ბრალდებას აღიარებს და პროკურატურას აღიარებით ვიდეოჩვენებას აძლევს. მას წინასწარი პატიმრობა 10 მილიონი ლარის ოდენობის გირაოთი შეეცვალა. ოქრუაშვილმა უარყო ყველა ის განცხადება, რომელიც 25 სექტემბრის შემდეგ გააკეთა: „მტკიცებულებები არ გამაჩნია და შესაბამისად განცხადება ემსახურებოდა პრეზიდენტ **საკაშვილის დისკრედიტაციას**“, — განაცხადა ოქრუაშვილმა. მისი თქმით, ის ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილთან შეთანხმებით მოქმედებდა. ერთ თვეში, გენერალური პროკურატურის განცხადებით, ირაკლი ოქრუაშვილი საქართველოს დატოვებს და სამკურნალოდ საზღვარგარეთ მიემგზავრება. ოპოზიციის წარმომადგენლები ამბობენ, რომ ხე-

ლისუფლებამ ყოფილ თავდაცვის მინისტრს საქართველო ძალით დაატოვებინა, რადგან 2 ნოემბერს რუსთაველის გამზირზე დაგეგმილ საპროტესტო აქციაში არ მიეღო მონაწილეობა.

ოქტომბერი გაერთიანებული ოპოზიცია რეგიონებში მართავს აქციებს და 2 ნოემბრისთვის ემზადება. **ბადრი პატარკაცივილი** აცხადებს, რომ მზადაა დააფინანსოს ოპოზიცია, რათა მათ „ცივილიზებულად გამართონ აქციები“. პატარკაცივილი ასევე განაცხადა, რომ ქვეყანაში არსებულმა „რთულმა სიტუაციამ“ შესაძლოა აიძულოს ის, პოლიტიკაში წავიდეს.

5 ოქტომბერი პრეზიდენტი სააკაშვილი აცხადებს, რომ ის „დღევანდელი დღიდან იწყებს ათვლას აფხაზეთში დასაბრუნებლად“. მისი თქმით, საქართველოს ხელისუფლებას ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მშვიდობიანი გზით სურს, მაგრამ „ჩვენი მოთმინება უსაზღვრო არ არის... ჩვენ დავბრუნდებით, საკითხი დგას მხოლოდ ასე — როდის? როდის და მალე — მტრის ჯინაზე და ჩვენს გასახარად!“ — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

11 ოქტომბერი ხელისუფლება პასუხობს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ოპოზიციის ბრალდებას **მედიაზე ზენოლის** შესახებ. „მე მინდა სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო და გარანტია მივცე ყველას, ჩემი და ხელისუფლების ნებისმიერი სხვა წარმომადგენლის სახელით, რომ ეს არის აბსურდი“, — განაცხადა გიგა ბოკერია, — „არანაირი საფრთხე არც სიტყვის თავისუფლებას და არც პატარკაცივილის ტელევიზიას არ ემუქრება“.

30 ოქტომბერი შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია, რომ აფხაზეთთან, **სოფელ განმუხურში** რუსმა სამხედროებმა პატრიოტთა ბანაკი დაარბიეს და ქართველ პოლიციელებს სცემეს და დაატყვევეს. ქართულმა მხარემ საბრძოლო მზადყოფნა გამოაცხადა. დღის ბოლოს ტელევიზიებით გავრცელდა კადრები, სადაც ჩანს, როგორ მიდის პრეზიდენტი სააკაშვილი ინციდენტის ადგილზე, უახლოვდება რუს სამხედროებს და ქართველი პოლიციელების გათავისუფლებას კატეგორიული ტონით თხოვს. „რა არის ეს? მე თქვენ გეკითხებით, რა არის ეს?“ — მიმართა სააკაშვილმა რუს ოფიცერს და ერთ-ერთ ნაცემ ქართველ პოლიციელზე მიანიშნა. მოგვიანებით, რუსული მხარე ინციდენტის სხვა ვერსიას ავრცელებს. მათი თქმით,



2007



01/ თაბუკაშვილის ქუჩის სახლის ნგრევა
02/ 03 რუსეთის ბაზების გასვლა
04/ ზვიად გამსახურდიას ნუკეარული ბაღოცხევი
05/ 7 ნოემბერი

ოქტომბერი ქართულ ღვინოზე რუსეთის მიერ გამოცხადებული ემბარგოს შედეგად რთველი ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის პოლიტიკური დაპირისპირების ნაწილი გახდა. ოპოზიცია ხელისუფლებას ადანაშაულებს, რომ მან ვერ შეძლო შესაბამისი ზომების მიღება ემბარგოს შედეგად **დაზარალებული მევენახეების** დასახმარებლად. ტელეკომპანია „იმედი“ ამზადებს მასალას, სადაც ნაჩვენებია, თუ როგორ ჩებავს კახელი გლეხი ვაზს იმის გამო, რომ ვერ შეძლო მოსავლის ხელსაყრელ ფასად ჩაბარება. ხელისუფლების წარმომადგენლები სიუჟეტს დადგმულ უწოდებენ და ამბობენ, რომ ეს „სპექტაკლი“ პატარკაცივილის მიერ დაფინანსებული პროპაგანდაა, რაც მოსახლეობაში „უიმედობის დათესვას“ ისახავს მიზნად. პრეზიდენტმა სააკაშვილმა ამ შემთხვევის გამო პატარკაცივილს ქვეყნის მოალაღატე უწოდა.

რუსმა სამხედროებმა მართლაც დააკავეს ქართველი პოლიციელები და მზად იყვნენ მათზე გაეშვათ ისინი, თუმცა ქართული მხარე ამ პროცესს 2 საათის განმავლობაში აფერხებდა იმისათვის, რომ პოლიციელების „გათავისუფლება“ პრეზიდენტ სააკაშვილის თანდასწრებით და მონაწილეობით მომხდარიყო.

2-6 ნოემბერი საპარლამენტო არჩევნების გაზაფხულზე ჩატარების მოთხოვნით პარლამენტის წინ ოპოზიციის მიერ ორგანიზებული მრავალათასიანი აქცია იმართება. აქციის მონაწილეები ირაკლი ოქრუაშვილის გათავისუფლებას ითხოვენ. მომდევნო რამდენიმე დღეში ოპოზიციის ლიდერებისგან ისმის **პრეზიდენტის გადადგომის** მოთხოვნაც. 2 ნოემბერს აქციაზე სიტყვით ბადრი პატარკაცივილიც გამოდის. „არ

არის იმაზე დიდი თანამდებობა, ვიდრე თანამდებობა, იყო რიგითი ჯარისკაცი შენი ქვეყნის მოსახლეობას შორის. მე არ მჭირდება არავითარი თანამდებობა ამ ქვეყანაში, გარდა ამისა“, განაცხადა პატარკაციშვილმა. პრეზიდენტმა სააკაშვილმა 4 ნოემბრის ტელეინტერვიუში აქციებს „ვარდების რევოლუციის“ იმიტაციის უნიჭო მცდელობა“ უწოდა და არჩევნების თარიღის შეცვლაზე უარი განაცხადა.

7 ნოემბერი პატრულის თანამშრომლებმა დილის 8 საათზე პარლამენტის წინ რუსთაველის გამზირის გახსნა სცადეს. ოპოზიციის მხრიდან წინააღმდეგობის განევის შემდეგ გზის გახსნის მცდელობა **დარბევაში** გადაიზარდა. „ღიახ, ჩვენ ხელი შევეშალეთ მათ, რომ თბილისი არ გადაქცეულიყო კარავების ქალაქად. 2 ნოემბრის შემდეგ არანაირი ლეგალური საფუძველი იმისა, რომ ტრანსპორტი რუსთაველის გამზირზე არ მოძრაობდეს, არ არსებობდა“, — განაცხადა თბილისის მერმა გიგი უგულავეამ. ოპოზიციის ლიდერებმა მხარდამჭერებს აქციაზე შეკრებისკენ მოუწოდეს, რის შემდეგაც საპატრულო პოლიციასთან ერთად რუსთაველის გამზირზე, შემდეგ უკვე რიყეზე და ავლაბარში აქციის მონაწილეებს სპეცდანიშნულების ნიღბიანი რაზმები არბევნ. გამოყენებული იყო წყლის ჭავლი და ცრემლსადენი გაზი. დარბევის შედეგად მძიმედ დაზავ-

ამავე დღეს, გენერალური პროკურატურა ფარული ვიდეო და აუდიო ჩანაწერების სერიას აქვეყნებს. ჩანაწერებზე დაყრდნობით პროკურატურამ ოპოზიციის რამდენიმე ლიდერი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში, კონსტიტუციური წყობილების ძალადობრივი შეცვლისაკენ მოწოდებასა და უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში დაადანაშაულა. მოგვიანებით, ფარული ჩანაწერები ქვეყნდება იმის დასასაბუთებლადაც, რომ ბადრი პატარკაციშვილი და მისი ტელეკომპანია „იმედი“ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში მონაწილეობდნენ. პრეზიდენტმა სააკაშვილმა ხალხისადმი საგანგებო მიმართვაში განაცხადა, რომ აქვს ინფორმაცია იმის დასადასტურებლად, რომ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა რუსეთიდან იმართებოდა და ალტერნატიული მთავრობა უკვე ჩამოყალიბებული იყო.

8 ნოემბერი ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები 5 იანვარს დაინიშნა. „მოითხოვთ ადრეული არჩევნები, მიიღეთ კიდევ უფრო ადრეული არჩევნები“, — განაცხადა სააკაშვილმა საგანგებო მიმართვაში. „მე, როგორც ამ ქვეყნის პრეზიდენტი, ვიღებ ამ გადაწყვეტილებას, რომ თქვენს სამსჯავროზე გამოვიტანო თქვენი ნდობა, ჩემი მანდატი და მივიღო თქვენგან სრულიად კონკრეტული მხარდაჭერა“, — აღნიშნა



და რამდენიმე ათეული ადამიანი. საღამოს 9 საათისთვის პირდაპირი ეთერის დროს სპეცდანიშნულების რაზმები შეიჭრნენ ტელეკომპანია „იმედი“-ს, იარაღის მუქარით გამოყარეს თანამშრომლები შენობიდან და გათიშეს მაუწყებლობა. მაუწყებლობა ასევე გაუთიშეს ტელეკომპანია „კავკასიას“. მოგვიანებით, ტელეკომპანია „იმედის“ ძალადობრივ გათიშვას ხელისუფლების წარმომადგენლები იმით ახსნიან, რომ ეთერიდან მთელი დღის განმავლობაში „ხელისუფლების დამოხობის მოწოდებები ისმოდა“. დღის ბოლოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი **საგანგებო მდგომარეობას** აცხადებს. 2 კვირით ჩერდება საინფორმაციო მაუწყებლობა ყველა სატელევიზიო ეთერში, გარდა საზოგადოებრივი არხისა. დროებით წყდება ოპოზიციის მანიფესტაციებიც. დარბევაში მონაწილე არც ერთი სპეცრაზმელის წინააღმდეგ საქმე არ აღძრულა.

მან. არჩევნების პარალელურად ჩატარდება პლემბისციტი საპარლამენტო არჩევნების გაზაფხულზე გადმოტანის შესახებ.

10 ნოემბერი ბადრი პატარკაციშვილი ლონდონიდან აცხადებს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში აპირებს მონაწილეობას. ამ განცხადებამდე ორი დღით ადრე, გენერალურმა პროკურატურამ ის ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულებაში ეჭვმიტანილის სახით დასაკითხად დაიბარა. ერთიანი ოპოზიციის კანდიდატი **ლევან გაჩეჩილაძე**, ასევე კენჭს იყრიან ლეიბორისტი **შალვა ნათელაშვილი** და **დავით გამყრელიძე** „ახალი მემარჯვენეებიდან“.

1260000 სკოლის დირექტორებთან და პედაგოგებთან შეხვედრაზე მიხილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ მასწავლებელთა ხელფასები 200 ლარამდე 1 იანვრის ნაცვლად 1 დეკემბრიდან გაიზრდება. ამავე დღეებში პრეზიდენტ სააკაშვილს შეხვედრები ჰქონდა სპორტსმენებთან, ბიზნესმენებთან, მასწავლებლებთან, ექიმებთან, მევენახეებთან, მეცნიერებთან და პენსიონერებთან. „**მინდა ბოდიშ მოგიხადოთ**, თუ ვერ შევძელით თქვენთვის რაიმეს გაკეთება. მაგრამ გპირდებით, რომ ყველაფერს გავაკეთებ ამ პრობლემების მოსაგვარებლად“, — უთხრა სააკაშვილმა შეკრებილ პენსიონერებს. პრეზიდენტის ყველა ეს შეხვედრა პირდაპირ ეთერში გადაიცემა.

160000 პრეზიდენტმა სააკაშვილმა პრემიერ-მინისტრად ლადო გურგენიძე წარადგინა. „მისი უზუნაესობა **ხალხის მესიჯი** მიღებული და გაგებული იქნა. ეს მესიჯი მდგომარეობს, პირველ რიგში, იმაში, რომ უფრო დიდი აქცენტი გაკეთდეს **სოციალურ პროგრამებზე** და ეს უნდა გასდევდეს ფონად რეფორმებს. აქცენტი ასევე გაკეთდება დასაქმებაზე და ახალ სამუშაო ადგილებზე“, — განაცხადა გურგენიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას.

წიგნები-წიგნები

წინასაარჩევნო კამპანია — კამპანიის ლოზუნგია „**საქართველო სიღარიბის გარეშე**“. პრემიერ-მინისტრი ლადო გურგენიძე აქვეყნებს ე.წ. 50-დღიან პროგრამას, რომელიც მიხილ სააკაშვილის გამარჯვების შემთხვევაში ამოქმედდება. ამ პროგრამის პრიორიტეტებია: 1. დასაქმება და ინვესტიციები; 2. სოფლის აღორძინება; 3. პენსიები, სოციალური დახმარება, განათლება (100 ახალი საავადმყოფო, იაფი სესხები 100 საუკეთესო ბიზნესპროექტს, საპენსიო რეფორმა, დევნილი მოსახლეობის შემწეობები, ა.შ.). მთავრობის განცხადებით, 2009 წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას გათვალისწინებული იქნება პენსიის 100%-ის ეკვივალენტამდე გაზრდა. საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ 50-დღიანი პროგრამა 50-თვიანად გადაკეთდა და საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილად იქცა.

ასევე, ამ პერიოდში პარლამენტმა მიიღო დადგენილების პროექტი, რომელიც ავალებს ადმინისტრაციულ და საგამოძიებო ორგანოებს შეწყვიტონ სახელმწიფოსა და კერძო მესაკუთრეებს შორის არსებული ქონებრივი დავები, გარდა იმ საქმეებისა, სადაც სახელმწიფოს განსაკუთრებული ინტერესი გააჩნია. უმრავლესობის წევრების თქმით, კერძო საკუთრებაზე არსებული დავების დაახლოებით 95% შეწყდება და მოხდება მათი ლეგალიზაცია. პარლამენტმა ასევე მიიღო კანონპროექტი, რომელიც 1200-მდე პატიმარს და 1000-მდე წინასწარ გამოძიებაში მყოფ პირს ათავისუფლებს. გამოცხადდა დასაქმების პროგრამა, რომლისთვისაც ბიუჯეტიდან 60 მილიონი ლარი გამოიყო. პროგრამა ითვალისწინებს 100,000 **უმუშევრისთვის** 200-ლარიანი სტიპენდიის გაცემას და მათ პროფესიულ გადაამზადებას.

40000 „ცხინვალის რეჟიმი არის მოყვანილობის, როგორც ამოსაღები კბილი და მე დარწმუნებული ვარ, რომ 5 იანვრის არჩევნების კარგად ჩატარების შემთხვევაში, ეს არის მართლა კვირების ან თვეების საკითხი. ამაში აბსოლუტურად ვარ დარწმუნებული. **ამაზე ზუსტი ინფორმაცია მაქვს**“, — განაცხადა პრეზიდენტობის კანდიდატმა სააკაშვილმა სტუდენტებთან შეხვედრისას.

250000 შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული

ბულ ფარულ აუდიოჩანაწერში **ბადრი პატარკაციშვილი** სპეცოპერატიული დეპარტამენტის უფროსს **ირაკლი კოდუას** ხელისუფლების დამხობის გეგმას აცნობს. მოგვიანებით, პატარკაციშვილმა განაცხადა, რომ ის მზად იყო კოდუასთვის გადაეხადა **100 მილიონი** დოლარი მხოლოდ იმისთვის, რომ ხელისუფლების ცვლა უსისხლოდ მომხდარიყო. ამ განცხადების შემდეგ ტელეკომპანია „იმედმა“ მათსეკვლობა შეაჩერა.

2008

100000 პრეზიდენტობის კანდიდატი მიხილ სააკაშვილი ზემო აფხაზეთში, სოფელ ჩხალთაში ჩადის და აფხაზებს მიმართავს: „ჩემო ძმებო და დებო: ნურაფრის გემინიათ. თუ თქვენ არ გამოგიშვებენ აქეთ მხარეს, ჩვენ სულ **მალე ჩამოგაკითხავთ** თქვენს სახლებში“.

50000 ჩატარდა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები. ცესკოს მონაცემებით, **მიხილ სააკაშვილმა** ხმების 53,4 პროცენტი, გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატმა **ლევან გაჩეჩილაძემ** კი 25,6 პროცენტი მოიპოვეს. ოპოზიციური პარტიები არჩევნებს გაყალბებულს უწოდებს და შედეგებს არ აღიარებს. საერთაშორისო დამკვირვებლების შეფასებით, ხმის მიცემის პროცესი აკმაყოფილებდა დემოკრატიული არჩევნების პრინციპებს, თუმცა დასკვნებში ასევე საუბარია საარჩევნო სისტემაში არსებულ სერიოზულ ხარვეზებზე.

90000 მიხილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ საქართველო ვალდებულია რუსეთთან ურთიერთობები ალაღვიანოს და დაიბრუნოს რუსული ბაზარი, სადაც ქართულ პროდუქციას ემბარგო 2006 წელს დაწესდა.

„მზად ვართ დავიწყოთ **რუსეთთან ურთიერთობა** სუფთა ფურცლიდან“, აცხადებს სააკაშვილი.

120000 ტელეკომპანია „იმედის“ წამყვანი და პოლიტიკური პროგრამების ხელმძღვანელი **გიორგი თარგამაძე** პოლიტიკურ პარტიას ქმნის და საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის სურვილს გამოთქვამს.

160000 მიხილ სააკაშვილი რუსეთის პრეზიდენტს ინაუგურაციის ცერემონიაზე იწვევს. ინაუგურაციას **ვლადიმერ პუტინის** ნაცვლად საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი ესწრება.

200000 ინაუგურაციაზე ხალხსადმი მიმართვაში მიხილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ უახლოესი 5 წლის განმავლობაში ახალი მთავრობის პრიორიტეტი ხალხის კეთილდღეობა იქნება. „**მე მთელი ერის პრეზიდენტი ვარ**“, განაცხადა სააკაშვილმა. ცერემონიის პარალელურად, ათასობით მოქალაქე იპოდრომზე შეიკრიბა. აქციის მონაწილეების განცხადებით, ისინი სააკაშვილს პრეზიდენტად არ აღიარებენ. ოპოზიცია სააკაშვილს „მარნეულის პრეზიდენტს“ ეძახის.

300000 თავდაცვის ყოფილ მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილს საფრანგეთის სასამართლომ წინასწარი პატიმრობა შინა პატიმრობით შეუცვალა. მოგვიანებით, საფრანგეთი ოქრუაშვილს **პოლიტიკურ თავშესაფარს** აძლევს.

310000 პარლამენტმა მთავრობის ხუთწლიანი პროგრამა

დამტკიცა. მთავარ პრიორიტეტებს შორისაა რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზება და შიდა სოციალური პრობლემების მოგვარება. დოკუმენტის მიხედვით, ბიუჯეტის 1/3 ნაწილი მიმართული იქნება **სოციალური პროგრამების** დაფინანსებაზე.

13 თებერვალი **ხადრი პატარკაციშვილი** ლონდონთან ახლოს, საკუთარ ვილაში გულის შეტევით გარდაიცვალა. 28 თებერვალს ის თბილისში, ყოფილი რიტუალების სასახლის ეზოში დაკრძალეს.

თებერვალი-მარტი გაერთიანებული ოპოზიციის მიერ ორგანიზებულ საპროტესტო აქციაზე, პარლამენტის წინ, ათასობით ადამიანი შეიკრიბა. ცხრა ოპოზიციური პარტიის კოალიცია ხელისუფლებას სამ კონკრეტულ მოთხოვნას უყენებს: 1. პოლიტპატიმრების გათავისუფლება, 2. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაყენება და ცესკოს დაკომპლექტება პარიტეტის საფუძველზე და 3. საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელის თამარ კინწურაშვილის გადაყენება. ოპოზიციის მოთხოვნებს ხელისუფლება მხოლოდ ნაწილობრივ ასრულებს. ოპოზიციის წარმომადგენლები პარლამენტის წინ და პარლამენტის შენობაში, თავმჯდომარის მისაღებში შიმშილობას იწყებენ. პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ **შიმშილობის აქციას** „მოულოდნელი სიურპრიზი“ უწოდა და ის ოპოზიციის მხარდამჭერების როლდენობის კლებით ახსნა. პოლიტიკოსებმა შიმშილობის აქცია 25 მარტს, საქართველოს პატრიარქის მოწოდების შემდეგ შეწყვიტეს.

8 მარტი პრეზიდენტი სააკაშვილი პედაგოგებთან საუბრისას მინისტრ ალექსანდრე ლომაიას დროს განათლების სფეროში გადადგმულ ნაბიჯებს აკრიტიკებს. სააკაშვილის თქმით, მასწავლებელთა ტესტირების პრაქტიკა გადამზადების პროგრამით შეიცვლება. ასევე, განახლება პედაგოგებისთვის ე.წ. **მეცამეტე ხელფასის გაცემა**.

3 აპრილი ბუქარესტის სამიტზე ნატო-მ **უარი უთხრა** საქართველოს წევრობის სამოქმედო გეგმის (მაპ-ის) მიღებაზე, თუმცა მისცა გარანტია, რომ ის აუცილებლად გახდება ნატო-ს წევრი.

16 აპრილი რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა დაავალა რუსეთის მთავრობას და სახელმწიფო სტრუქტურებს ოფიციალური ურთიერთობები დაამყარონ თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის შესაბამის ორგანოებთან. რუსეთის საგარეო უწყების ცნობით, ამ გადაწყვეტილების მთავარი მოტივი „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის, მათ შორის, იქ მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების **ინტერესებზე ზრუნვაა**“. საქართველოს პრეზიდენტმა რუსეთს მოსთხოვა ყველა იმ გადანყვეტილების გადახედვა, რომელიც „არღვევს საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას“. საერთაშორისო ორგანიზაციებმა დაგმეს რუსეთის გადანყვეტილება და მოსკოვს მისი შეცვლისკენ მოუწოდეს.

21 აპრილი პარლამენტის თავმჯდომარემ **ნინო ბურჯანაძემ**, საარჩევნო სიების წარდგენის ვადის ამონურვამდე ერთი სათით ადრე განაცხადა, რომ მიიღო გადაწყვეტილება — არ იყაროს კენჭი საპარლამენტო არჩევნებში. „ნაციონალური მოძრაობა“ და ნინო ბურჯანაძე საარჩევნო სიაში ადგილების რაოდენობაზე ვერ შეთანხმდნენ. „ნამდვილად არ ვაპირებ ოპოზიციაში წასვლას“, — განაცხადა ბურჯანაძემ.

29 აპრილი მიხეილ სააკაშვილი აფხაზ და ოს ხალხს ტელევიზიით მიმართავს და სილარბესთან ბრძოლაში გაერთიანებას სთავაზობს — „ჩვენ შეგვიძლია ერთად ვაშენოთ ჩვენი კეთილდღეობა... დღეს ერთი დიდი, **თავზეხელაღებული აგრესიული ძალა** აძლევს თავს უფლებას თქვენს მაგივრად მიიღოს გადანყვეტილებები. მას ფეხზეც კიდია რას

ფიქრობთ თქვენ საკუთარ თავზე და თქვენს მომავალზე ... რამდენადაც ჩვენ ვლაპარაკობთ მშვიდობაზე, იმდენად ეს ძალა ლაპარაკობს ომზე“, — განაცხადა სააკაშვილმა. პრეზიდენტი სამშვიდობო გეგმის შესახებ საუბრობს და თვითგამოცხადებულ რესპუბლიკებს ავტონომიის სტატუსს, ვიცი-პრეზიდენტის პოსტს და ეთნიკური და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების გარანტიებს სთავაზობს.

21 მაისი ჩატარდა **საპარლამენტო არჩევნები**. ცესკო-ს მონაცემებით, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 61.6, გაერთიანებულმა ოპოზიციამ 14.9, „ქრისტიან-დემოკრატიულმა მოძრაობამ“ კი 7.9 პროცენტი მოიპოვა. ცხრა პარტიისგან შემდგარი ოპოზიციური ბლოკის უმრავლესობა უარს ამბობს პარლამენტის ახალ მანდატებზე, მათი განცხადებით, არჩევნები „უპრეცედენტო ტერორის“ ქვეშ ჩატარდა.

26 მაისი ოპოზიციის მხარდამჭერები სპორტის სასახლესთან შეიკრიბნენ. ოპოზიცია 21 მაისის არჩევნებს არალეგიტიმურად აცხადებს და რეგარემუ საპარლამენტო არჩევნებს ითხოვს. აქციის მონაწილეები რუსთაველის გამზირისკენ დაიძრნენ, სადაც საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნად გამართული ალღუმი იმართება. აქციის მონაწილეთა გამოჩენამდე **ალღუმი დასრულდა**.

6 ივნისი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და რუსეთის ახალი პრეზიდენტი **დიმიტრი მედვედევი** ერთმანეთს სანკტ-პეტერბურგში ხვდებიან და ქვეყნებს შორის „დაგროვილი პრობლემების მოგვარების აუცილებლობაზე საუბრობენ“. „დღევანდელი სიტუაცია ხელოვნურია და ის ხელს არავის არ აძლევს“. — განაცხადა შეხვედრაზე მიხეილ სააკაშვილმა.

„მოსხარული ვარ თქვენთან შეხვედრის და ურთიერთობის შესაძლებლობით. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ თავად შეგვხვებს უნარი გადაწყვეტით ყველა ის საკითხი, რომელიც დღეს არსებობს, გადავლახოთ სირთულეები, რომელიც გვაქვს და მოვაგვაროთ ისინი დიდი ხნით“. — ამბობს პრეზიდენტი მედვედევი.

15 ივნისი თვითგამოცხადებული რეგიონების – სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ლიდერებმა ელჟარდ კოკოითამ და სერგეი ბალაფუმმა სოხუმში შეხვედრა გამართეს, სადაც საქართველოს მხრიდან **„მზარდი სამხედრო საფრთხის“** ფონზე კონფლიქტების მოგვარების საკითხებზე იმსჯელეს.

17 ივნისი გაერთიანებულმა ოპოზიციამ განაცხადა, რომ **საზაფხულო „ტაიმ-აუტს“** იღებს და სექტემბრიდან აპირებს აქტიური პოლიტიკური ბრძოლის გაგრძელებას „სააკაშვილის რეჟიმის დასასრულებლად და საქართველოში დემოკრატიის დამკვიდრებისთვის“.

1 ივლისი აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლებამ 1 ივლისს ჩაკეტა **დე-ფაქტო საზღვარი** საქართველოსთან. ამ გადაწყვეტილებას წინ უძღოდა ოთხი აფეთქება რეგიონში, რის შედეგადაც 12 ადამიანი დაშავდა.

3 ივლისი დიმიტრი სანაკოევის პრეს-სამსახურის ცნობით, სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის უფროსის ავტომანქანა „ოსური ბანდ-ფორმირებების მიერ დამონტაჟებული“ **ნაღმზე აფეთქდა**, შემდეგ კი მის კორტეჟს ავტომატური იარაღიდან ცეცხლი გაუხსნეს, რის შედეგადაც დაცვის სამი თანამშრომელი დაიჭრა. ინციდენტს სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო მთავრობამ ქართული მხარის მიერ დაგეგმილი უწოდა.

5 ივლისი ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლება აცხადებს, რომ თბილისს „სისრულეში მოჰყავს გეგმა რეგიონის ძალისმიერი გზით და-

ბრუნების თაობაზე“. განცხადებაში ნათქვამია, რომ თბილისის გეგმის მიხედვით, ნებისმიერი საბაზით უნდა მომხდარიყო ქართული ძალების ზრდა და სიმაღლეების დაკავება რეგიონში, რასაც მოწმობს ამ დღეებში „ქართული ძალოვანი სტრუქტურების მკვეთრი გაძლიერება სოფლებში — კოხათი, ერედვი, ფრისი, ავნევი, ერგნეთი, სვერი, კეხვი, ახალი პოსტი სოფელ სარაბუქთან“.

8 ივლისი საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ დაადასტურა, რომ გასულ ღამეს სამხრეთ ოსურმა მილიციამ ოთხი ქართველი სამხედრო დააკავა. სამხედროები რამდენიმე საათში გაათავისუფლეს.

8 ივლისი საქართველოს საპაერო სივრცე ოთხმა რუსულმა თვითმფრინავმა დაარღვია. რუსეთმა პირველად აღიარა, რომ თვითმფრინავებმა მართლაც იფრინეს სამხრეთ ოსეთის არაღიარებული რესპუბლიკის თავზე. „8 ივლისს სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონაში სერიოზულად დაიძაბა ვითარება. მოვიდა ინფორმაცია, მათ შორის სამშვიდობო ძალებიდან, ქართული ფორმირებების მიერ პირდაპირი შეჭრის შესაძლებლობის თაობაზე, ვითომდა ოსი სამართალდამცავების მიერ დაკავებული ოთხი სამხედროს გათავისუფლების მიზნით“. —

მილიარდი ლარი გახდება. დეპუტატებმა მმართველი პარტიიდან თავდაცვის დაფინანსების ზრდა გარე საფრთხეების არსებობით გაამართლეს, კერძოდ კი, „რუსეთის ქმედებით თვითგამოცხადებულ რეგიონებთან მიმართებაში“.

15 ივლისი სახალხო დამცველი პარლამენტში 2007 წლის მოხსენებით წარდგა. მოხსენებაში დიდი ადგილი დაეთმო 7 ნოემბრის მოვლენებს და ტელეკომპანია „იმედის“ დახურვას. სოზარ სუბარმა შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი დააყენა. პასუხად, უმრავლესობის წევრმა დეპუტატებმა მის ანგარიშს „პოლიტიკურად ანგაჟირებული“ და „არაკომპეტენტური“ უწოდეს.

17 ივლისი რუსეთი საქართველოს მოუწოდებს დე-ფაქტო რესპუბლიკებთან ძალის არგამოყენების თაობაზე შეთანხმების დადებისკენ. მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ ეს შეთანხმება „ხელოვნური თემაა“. „მთავარი პრობლემა დღეს არის არა ის, რომ ჩვენ საკუთარი მოქალაქეების მიმართ არ გამოვიყენოთ ძალა, ჩვენ არ გამოვიყენებია და არც ვაპირებთ, რომ გამოვიყენოთ,



01/ ბაღრი პატარაკაციშვილის დაკრძალვა
02/ გიორგი თარგამაძის პარტიის შექმნა
03/ 04/05 ავვისტოს მძი

ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში. ამ აღიარების საპასუხოდ, საქართველომ მოსკოვიდან ელჩი ეროსი კინმარიშვილი გამოიწვია და საერთაშორისო საზოგადოებას დახმარება სთხოვა „დაძაბულობის გამწვავების თავიდან ასაცილებლად“.

10 ივლისი „რუსეთის ჩრდილოეთ-კავკასიური სამხედრო ოლქი მზად არის საჭიროების შემთხვევაში დახმარება აღმოუჩინოს რუს სამშვიდობოებს აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში“, — განაცხადა რუსეთის სამხედრო მეთაურმა სერგეი მაკაროვმა.

15 ივლისი პარლამენტის გადანყვეტილებით, თავდაცვის სფეროს დაფინანსება 295 მილიონი ლარით გაიზარდება და 1.395

მთავარი პრობლემა არის, რომ მიდის საქართველოს ტერიტორიის ანექსიის ძალიან, ძალიან დაჩქარებული პროცესი“, — განაცხადა სააკაშვილმა.

25 ივლისი რუსმა სამშვიდობოებმა სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონაში საფრენი აპარატების სამი არასანქცირებული ფრენა დააფიქსირეს, აცხადებს თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტი.

28 ივლისი აფხაზეთის მთავრობის ცნობით, დე-ფაქტო რესპუბლიკაში 110,000 აფხაზური პასპორტი გაცადა.

ფოტო (ბოლონი) გახანდაზმებული 01 ჯურაგო უპრეკინიძე, 02 გიორგი პუხაძე, 03 ნუშაია მელიქიძე, 04/05 თბილისი პარკომპოზიცი

29 ივლისი ქართული მხარის ცნობით, სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონაში მდებარე ქართულ საგუშაგოებს 29 ივლისს ღამით და გამთენიისას სამხრეთ ოსურმა შეიარაღებულმა ნაწილებმა ცეცხლი გაუხსნეს. ამავე დღეს სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო თავდაცვის სამინისტრო აცხადებს, რომ ქართულმა მხარემ ცეცხლი გახსნა სამხრეთ ოსური სოფლების ანდისის და სარაბუკის მიმართულებით. თავის მხრივ, ქართულმა მხარემ უარყო, რომ მან პირველმა გახსნა ცეცხლი და სამხრეთ ოსური შეიარაღებული ნაწილები სარაბუკის სტრატეგიულ სიმაღლეებზე თავდასხმაში დაადანაშაულა.

1 აგვისტო შინაგან საქმეთა მინისტრის ცნობით, კონფლიქტის ზონაში 5 ქართველი პოლიციელი დაიჭრა.

2 აგვისტო ექვსი ადამიანი დაიღუპა და ოცდამდე სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონაში გამთენიისას მომხდარი ინტენსიური სროლების შედეგად. ოსურმა და ქართულმა მხარეებმა ცეცხლის გახსნაში ერთმანეთი დაადანაშაულეს. ჩრდილოეთ ოსეთის მეთაურმა თეიმურაზ მამსუროვმა სამხრეთ ოსეთს კონფლიქტის მოგვარებაში დახმარება აღუთქვა. ამავე დღეს განაცხადებას აკეთებს

4 აგვისტო სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რესპუბლიკიდან ჩრდილოეთ ოსეთში 500-მდე მშვიდობიანი მოსახლე, ძირითადად ქალები და ბავშვები გადაიყვანეს. სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული ადმინისტრაცია პროცესს „ევაკუაციას“ უწოდებს, ჩრდილოეთ ოსეთში კი ამბობენ, რომ ბავშვები გაცვლითი პროგრამით დასასვენებლად ჩაიყვანეს.

7 აგვისტო სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების განცხადებით, კონფლიქტის ზონაში შუალამისას და გამთენიისას მომხდარი ინტენსიური სროლების შედეგად თვრამეტი ადამიანი დაშავდა ოსური მხრიდან. საბასუხოვ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს ინფორმაციას, რომ 6 აგვისტოს საღამოდან ოსმა სეპარატისტებმა განახორციელეს სოფელ ერედვის, ფრისის, ავნევის, დვანის და ნულის დაბობმვა, დაჭრილია ორი ქართველი სამშვიდობო. პრეზიდენტმა სააკაშვილმა დაჭრილი სამხედროები მოინახულა და განაცხადა, რომ, მიუხედავად ქართულ სოფლებზე თავდასხმებისა, თბილისი „მაქსიმალურ თავშეკავებას“ იჩენს, „მაგრამ ჩვენ არავის არ ვურჩევთ რაიმე სახის პროვოკაციების გაგრძელებას“, — განაცხადა სააკაშვილმა. ამავე დღეს, ქართულ სოფელ ავნევის და ზნაურის რაიონის ოსურ სოფელ ხეთაგუროვოს სიახლოვეს ინტენსიური ბრძოლები მიმდინარეობს. დღის



რუსეთის საჰაერო-სადესანტო ძალების მეთაური ვალერი ევტუხოვიჩი: „რუსეთი არ დაუშვებს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები თავისი მოქალაქეების წყენინებას. რუსეთის საჰაერო-სადესანტო ძალები მზად არის, საჭიროების შემთხვევაში, წავიდეს და დაეხმაროს სამშვიდობო ძალებს კონფლიქტის ზონაში“.

3 აგვისტო სამხრეთ ოსეთში ფართომასშტაბიანი კონფლიქტის საფრთხე „სულ უფრო რეალური ხდება“, ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

4 აგვისტო კონფლიქტების დარგში პრეზიდენტის მრჩეველის თემურ იაკობაშვილის განცხადებით, რუსეთი ცდილობს „ოპიის ილუზია“ შექმნას.

ბოლოს პრეზიდენტი აცხადებს, რომ მან მიიღო გადაწყვეტილება ცეცხლის ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

გვიან ღამით ორმხრივი ცეცხლი კვლავ განახლდა. სამშვიდობო ბატალიონის მეთაური მამუკა ყურაშვილი აცხადებს: „ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება აღვადგინოთ კონსტიტუციური წესრიგი მთელს რეგიონში“. ქართული მხარის ცნობით, იბომბება ცხინვალის გარემო არსებული ყველა ქართული პოზიცია, მათ შორის სოფელი თამარაშენი, რომელიც ცხინვალის ჩრდილოეთით მდებარეობს. ოსური მხარე კი იტყობინება, რომ საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა ცხინვალის შტურმი დაიწყეს. რუსი სამშვიდობოების ცნობით, ორივე მხარე იყენებს მძიმე შეიარაღებას, ხოლო ცხინვალი იბომბება „გრადის“ ტიპის დანადგარებიდან.

8 აპრილი პრეზიდენტი სააკაშვილი აცხადებს, რომ ქართული შეიარაღებული ძალები ცხინვალს აკონტროლებენ. „ჩვენ მტკიცედ ვინარჩუნებთ ჩვენს პოზიციებს“, — განაცხადა მან. — „ეს იყო მძიმე და ძალიან რთული ბრძოლა თითოეული შენობისთვის. ჩვენმა ჯარისკაცებმა უზარმაზარი გმირობა გამოიჩინეს“. პრეზიდენტმა ასევე თქვა, რომ ბრძოლაში 30-მდე ქართველი დაიღუპა. მომდევნო რამდენიმე დღის განმავლობაში სამხრეთ მოქმედებებში ოფიციალური მონაცემებით საქართველოდან **154 სამხედრო და 155 სამოქალაქო პირი დაიღუპა**, საცხოვრებელი დაკარგა **26,000** ათასმა ადამიანმა. რუსეთის საპარო იერიშების სამიზმე გახდა სამხედრო ბაზები გორში, სენაკსა და ვაზიანში, ასევე ფოთის პორტი, საავიაციო სარადარო სისტემა თბილისში, კოდორის ხეობა და ქალაქ გორის ცენტრი, გადაიწვა 1100 ჰექტარი ტყე ბორჯომის ხეობაში. 12 აგვისტოს ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა მიიღეს უკან დახევის ბრძანება. ცეცხლის შეწყვეტა მხოლოდ საერთაშორისო ძალების ჩარევის შემდეგ მოხერხდა. საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნებში აღნიშნულია, რომ ქართული სოფლები ცეცხლის შეწყვეტის შემდეგაც უმოწყალოდ დაარბიეს პარა-მილიტარულმა დაჯგუფებებმა.

რამდენიმე დღიანი ომის შედეგად რუსეთმა მოახდინა **ახალგორის რაიონის და კოდორის ხეობის** ოკუპაცია. პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ ინიცირებული ექვს-პუნქტიანი დოკუმენტი დღემდე არ არის რუსეთის მხრიდან შესრულებული.

1 სექტემბერი ორგანიზაცია „ჰუმან რაიტს უოჩმა“ (Human Rights Watch) განაცხადა, რომ ქართულმა მხარემ საბრძოლო მოქმედებების დროს **კასეტური ბომბები** გამოიყენა. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ადასტურებს ასეთი ბომბების გამოყენებას როკის გვირაბთან, თუმცა კატეგორიულად უარყოფს მის გამოყენებას დასახლებულ პუნქტებში.

23 სექტემბერი „სეპარატისტული აფხაზეთის ტერიტორიაზე — გუდაუთაში და ოჩამჩირის პორტში — ორი ძირითადი **რუსული სამხედრო ბაზა** განთავსდება, ამასთან რუსული კონტინგენტი ჩადგება ზემო კოდორის ხეობაშიც“. — განაცხადა აფხაზეთის დე-ფაქტო ლიდერმა სერგეი ბაღაფშამ.

15 ოქტომბერი ჟენევაში დაგეგმილი **მოლაპარაკებები** არ შედგა. ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა საქართველოს კრიზისის საკითხებში პიერ მორელმა განაცხადა, რომ მოლაპარაკებები „პროცედურული სირთულეების წინაშე დადგა“ და მისი შეწყვეტის გადწყვეტილება ყველა მხარემ მიიღო.

4 ნოემბერი პირველად აგვისტოს ომის შემდეგ, საქართველოს **საპატრიარქოს დელეგაცია** რუსეთში გაემგზავრა პატრიარქ ალექსეი მეორესთან და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან, გრიგორი კარასინთან შესახვედრად. მოლაპარაკებების მთავარი თემა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კანონიკური იურისდიქცია იყო.

7 ნოემბერი პარლამენტის წინ, საპროტესტო აქციის დარბევის ერთი წლისთავი აღინიშნა. აქციის ორგანიზატორი 5 ოპოზიციური პარტიაა. ოპოზიციონერებმა განაცხადეს, რომ მათი მთავარი მიზანი 2009 წლის გაზაფხულზე **საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების** დანიშვნაა.

23 ნოემბერი პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე **ნინო ბურჯანაძე** პარტიას აფუძნებს. ამავე წელს პოლიტიკურ მოძრაობას ქმნის ყოფილი პრემიერ-მინისტრი **ზურაბ ნოღაიდელი**, რომელმაც თანამდებობა 2007 წელს დატოვა.


2 დეკემბერი კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ სტუდია „**მესტროს**“ ლიცენზირების მოდიფიცირება მოახდინა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების გაშვების უფლება მიანიჭა. დავა „მესტროსა“ და კომისიას შორის შეიძლება მეტ ხანს გრძელდებოდეს.

2 დეკემბერი ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრებმა ვერ მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოსთვის წევრობის სამოქმედო გეგმის (MAP) მინიჭებაზე. „თქვენ შეიძლება თქვათ, რომ MAP-ი **აორთქლდა**; [მაგრამ] MAP-ი ისევ აქ არის“, განაცხადა იაპ დე შოოპ სხეფერმა.

5 დეკემბერი პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, თავდაცვის მინისტრს დავით კეზერაშვილს მისი მოადგილე, ბათუ ქუთელია შეცვლის, საგარეო საქმეთა მინისტრად კი ყოფილი კულტურის მინისტრი გრიგოლ ვაშაძე ინიშნება. ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი აცხადებს, რომ თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს ყველა მოქმედ ელჩს, მათ შორის **ირაკლი ალასანიასაც**, რომელმაც ცოტა ხნით ადრე გადადგომის შესახებ განცხადება გააკეთა. ამავე საკადრო ცვლილებების შედეგად განათლების მინისტრად ნიკა გვარამია დაინიშნა. „ჩვენ ვფიქრობთ, რომ ლიბერალური ფასეულობები, რომელიც არის დანერგილი განათლების სისტემაში, ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ასევე ძალიან მნიშვნელოვანია და ვფიქრობთ, რომ გავაძლიეროთ ეროვნული ფასეულობები, რომელსაც დაეფუძნება ქართული განათლების სისტემა“, — განაცხადა გვარამიამ.

ქართული მხარის ცნობით, იზომება ცხინვალის გარშემო არსებული ყველა ქართული პოზიცია, მათ შორის სოფელი თამარაშენი. ოსური მხარე კი იტყობინება, რომ საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა ცხინვალის გარშემო არსებული ყველა პოზიცია დაიკავეს.

24 დეკემბერი ირაკლი ალასანია თბილისში ჩამოვიდა და გადადგომის შემდეგ პირველი პრესკონფერენცია გამართა. მისი თქმით, **თანამდებობის დატოვების** მიზეზი მისი და პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ საქართველოს განვითარების და კონფლიქტების მოგვარების გზების „ძირეულად განსხვავებული“ ხედვაა.

30 დეკემბერი გაზეთ „ნიუ იორკ თაიმსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში მიხეილ სააკაშვილი ამბობს: „უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ჩვენ საქართველო თანამედროვე სახელმწიფოდ ვაქციეთ; მომდევნო ხუთ წელიწადში მას თანამედროვე საზოგადოებად ვაქცივთ — **100%-ით თანამედროვე საზოგადოებად**“. 

/33 ერთი სამუოგლოს ორი ისტორია **/36** გზა თავუესაუკიდან სსსლაჟა **/37** ჩისკის ზონაში **/39** სტრაბეგიული პაკბნიორკების უთანსემა



ფოტო: ლაითი მისი

ჯავახეთი ერთი სამუოგლოს ორი ისტორია

ჯავახეთის სომხური მოსახლეობა მიიჩნევს, რომ ერევანიდან სხარობოვანეროების პაოტ-ტანის პაზოლერით, თბირისი სერიოტს რა-პიონერი სომხეთის ისტორიის სწავრებას ხერი პეაპაროს. >>

ოლესია ვართანინი, თბილისი, ნინოწინდა / რიტა კარაპეტინი, ერევანი

ჯავახეთის სომხური სკოლების რამდენიმე ათეული მოსწავლე მაისის ბოლოს ახალქალაქში სომხეთის ისტორიის შესახებ ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად შეიკრიბება.

მეოთხე წელია ადგილობრივი საზოგადოებრივი

ორგანიზაციები ამ ტიპის ოლიმპიადებს მართავენ, რათა რეგიონის სკოლებში სომხეთის ისტორიის სწავლება წახალისონ.

კონკურსის ერთ-ერთი ორგანიზატორი, სომხური ორგანიზაციების რეგიონული საბჭოს წევრი მელს ტორო-

სიანი ამბობს, რომ ჯავახეთის სკოლებში სომხეთის ისტორიის საფუძვლიანი შესწავლისთვის პირობები არ არსებობს.

„ეს საგანი ფაკულტატურია და არა სავალდებულო, სპეციალისტებიც ცოტანი არიან“.

ჯავახი პედაგოგები მთავარ პრობლემად საქართველოს განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებას მიიჩნევენ, რომლის მიხედვითაც, მეზობელი ქვეყნიდან სომხეთის ისტო-

რიის სახელმძღვანელოების საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანა შეიზღუდა, რის გამოც ამ საგნის სწავლება გართულდა.

10 წლის განმავლობაში ჯავახეთის სკოლებს სხვადასხვა საგნების სახელმძღვანელოებს სომხური მხარე საჩუქრად უგზავნიდა.

როგორც საქართველოს განათლების უწყებაში აცხადებენ, 2004 წელს მხარეებმა სიტყვიერ შეთანხმებას მიაღწიეს, რომლის მიხედვითაც, სომხურ მხარეს ჯავახეთში

სომხეთის ისტორიის და გეოგრაფიის სახელმძღვანელოები არ უნდა შემოეტანა.

საქართველოს განათლების უწყებაში ამბობენ, რომ პირველ ხანებში ოფიციალური ერევანი ამ შეთანხმებას არღვევდა. დაწესებული შეზღუდვის მიუხედავად, სომხეთ-საქართველოს საზღვარს წიგნებით დატვირთული მანქანები უპრობლემოდ კვეთდნენ. მას შემდეგ კი, რაც სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე „ნესრიგის დამყარება“ მოხერხდა, ისტორიის წიგნებს სპეციალური საშვის გარეშე აღარ ატარებენ.

მაისის ოლიმპიადისთვის ნინოწმინდის ნომერ პირველ სომხურ სკოლაშიც ემზადებიან. ზოგიერთ კლასში აქ რამდენიმე ათეულ მოსწავლეს 2-3 სახელმძღვანელო აქვს. ნინოწმინდის ამ სკოლაში, ისევე როგორც რეგიონის სხვა სასწავლო დაწესებულებებში, სომხეთის ისტორია ფაკულტატური საგანია და კვირაში ერთი საათი ეთმობა. დღეს რამდენიმე სომხურ სკოლაში სომხეთის ისტორიის გაკვეთილს სახელმძღვანელოს გარეშე, სალექციო კურსის სახით ატარებენ.

ნინოწმინდის ნომერ პირველი სკოლის დირექტორი ტიგრან პოლოსიანი ამბობს, რომ „სომხეთის ისტორიას აქ მხოლოდ იმიტომ არ სწავლობენ, რომ ეთნიკური სომხები არიან“.

მისი თქმით, სკოლადამთავრებულთა დიდი ნაწილი უმაღლესი განათლების მისაღებად სომხეთში მიდის, რადგან ქართულ ენას სათანადო დონეზე არ ფლობენ. სომხეთის უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებლად კი ისტორია ერთ-ერთი სავალდებულო საგანია.

„ჯერ იყო და, მხოლოდ კვირაში ერთ

საათს ვუთმობდით ამ საგანს, ახლაც სახელმძღვანელოების პრობლემა დაგვემატა“, — ამბობს პოლოსიანი.

ამ პრობლემამ თავი 2007 წლის ზაფხულში იჩინა. მაშინ სომხეთის ისტორიის სახელმძღვანელოებით დატვირთული მანქანა რამდენიმე საათი იდგა საქართველო-სომხეთის საზღვართან ჯავახეთში. მანქანა უკან, ერევანში გაბრუნდა მას შემდეგ, რაც მძღოლმა საბოლოო პასუხი მიიღო — სომხეთის ისტორიის სახელმძღვანელოების საქართველოში შემოტანაზე ნებართვა გაცემული არ არის.

მაშინ ამ ფაქტს ცოტა ვინმემ მიაქცია ყურადღება. იგივე შემდგომ ზაფხულსაც განმეორდა. 2008 წელს ქართველმა მესაზღვრეებმა საქართველოს ტერიტორიაზე გამოატარეს სომხეთიდან გამოგზავნილი ყველა სახელმძღვანელო, გარდა სომხეთის ისტორიისა.

„ვინმემ ახსნას, ეს რა აკრძალული ლიტერატურაა?!“ — ამბობს ჯავახეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის „ვირქის“ წევრი დავიდ რსტაკიანი.

მესაზღვრეების ოფიციალური პასუხი ლაკონური იყო: სომხეთის ისტორიის სახელმძღვანელოების შემოტანის შესახებ თბილისიდან ნებართვა არ არის გაცემული.

80-იანი წლების ბოლოს, როცა ჯავახეთში ნაციონალური მოძრაობის ტალღა აგორდა, სომხეთის ისტორიის სწავლება ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა იყო. მაშინ ბევრმა ადგილობრივმა სკოლამ ეს საგანი საკუთარი ინიციატივით შეიტანა სასწავლო პროგრამაში.

ჯავახეთში სომხეთის ისტორიის სწავლებას ერევანში ბევრი პოლიტიკურ თემად განიხილავს, ამ საკითხის გარშემო წარმოქმნილ პრობლემებს კი, — ოფიციალური თბილისის მხრიდან ადგილობრივი სომხების შევიწროებად.

„თბილისი ჯავახეთში ძალიან უცნაურ პოლიტიკას ატარებს, რომლის მიზანი სომეხი მოსახლეობის ასიმილაციაა... საქართველოს ხელისუფლება სომხურ სკოლებს სთავაზობს წიგნებს, სადაც ისტორია სრულიად დამახინჯებულია. სომეხი ახალგაზრდები ამ სახელმძღვანელოში კითხულობენ, რომ თურმე ყარაბაღი, სიუნიკი, ლორი — სომხური ტერიტორიები არ არის...“ — ამბობს საზოგადოებრივი ორგანიზაციების კავშირის „ერკირის“ ხელმძღვანელი რობერტ თათოსიანი, რომელიც ერევანში რეპატრიაციის საკითხებზე მუშაობს.

ეთნიკური სომხების ქართულ სახელმწიფოში ინტეგრაციის ხარისხზე მსჯელობისას, საქართველოში აღნიშნავენ, რომ სომხეთის ისტორიის სწავლება რეგიონში სეპარატისტულ განწყობებს აღვივებს და ხელს უშლის ადგილობრივ მოსახლეობას გახდნენ საქართველოს სრულფასოვანი მოქალაქეები.

ოთხი წლის წინ საქართველოს განათლების სამინისტრომ ახალი სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შემუშავება დაიწყო. ახალი წიგნები საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების მშობლიურ ენებზეც გადაითარგმნა. ამ წიგნებმა თანდათან სომხეთიდან საჩუქრად გამოგზავნილი სახელმძღვანელოების ადგილი დაიკავა.

ეთნიკური სომხების ქართულ სახელმწიფოში ინტეგრაციის ხარისხზე მსჯელობისას, საქართველოში აღნიშნავენ, რომ სომხეთის ისტორიის სწავლება რეგიონში სეპარატისტულ განწყობებს აღვივებს.



ფოტო: სპეციალური მუშა

რეფორმის შემდეგ, საქართველოს განათლების სამინისტრო თავად განსაზღვრავდა რამდენი სახელმძღვანელო უნდა შემოსულიყო სომხეთიდან ჯავახეთში. საზღვარზე მხოლოდ იმ წიგნების გამოტარება შეიძლება, რომლებიც უშუალოდ განათლების სამინისტროს მიერ არის შეკვეთილი.

სომხეთის ისტორიის სახელმძღვანელოებით ჯავახეთის სკოლების მობარაგების საკითხი აქტუალური მას შემდეგ გახდა, რაც ქართველმა და სომეხმა ისტორიკოსებმა საჯარო კამათი დაიწყეს. როგორც აღმოჩნდა, ერთი და იგივე ისტორიული მოვლენა საქართველოს და სომხეთის ისტორიის სახელმძღვანელოებში განსხვავებულად არის აღწერილი.

მაგალითად, სომხეთის ისტორიის მე-8 კლასის სახელმძღვანელოში ჯავახის მოსწავლეები კითხულობენ, რომ მათი მშობლიური მხარე 1918 წელს სომხეთის შემადგენლობაში შედიოდა და რომ საქართველომ გადანყვიტა ეს რეგიონი თავის საზღვრებში მოექცია, რის გამოც დაიწყო ომი ერევანთან.

უკვე შემდგომ წელს იგივე მოსწავლეები საქართველოს ისტორიის მე-9 კლასის სახელმძღვანელოში ნაიკითხვენ, რომ 1918 წელს საქართველოსთან ომი სომხეთმა იმიტომ დაიწყო, რომ საქართველოს ტერიტორიის ნაწილი — ჯავახეთი მიეთვისებინა.

შეუთავსებლობების აღმოსაფხვრელად მარტივი გზა მოიძებნა — სომხეთის ისტორიის სახელმძღვანელოების საქართველოში შემოტანაზე ნებართვა არ გაიცემა.

საქართველოს საგანმანათლებლო უწყებაში აცხადებენ, რომ სომხურ სკოლებს უფლება აქვთ ისწავლონ სომხეთის ისტორია როგორც ფაქტურად სატურის საგანი. თუმცა, სახელმძღვანელოების დეფიციტის პრობლემასა და ორი ქვეყნის ისტორიის წიგნებში შინაარსობრივი წინააღმდეგობების პრობლემაზე რეალურად არავინ მუშაობს.

ერევანში აცხადებენ, რომ ქართულ მხარეს აღნიშნული პრობლემების აღმოსაფხვრელად სომხეთის განათლების სამინისტროსთან მუშაობა არ უცდია.

„უარს ნამდვილად არ ვიტყვით. ყოველ შემთხვევაში, დავსხდებით და ამ საკითხზე ვიმსჯელებდით მაინც“, — ამბობს სომხეთის განათლების სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელი ნუნე ვარდანიანი.

როგორც საქართველოს განათლების

სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ხელმძღვანელი სიმონ ჯანაშია ამბობს, განათლების სამინისტრომ ორჯერ სცადა ისტორიის სახელმძღვანელოებში შინაარსობრივი წინააღმდეგობების პრობლემის გადაჭრა, თუმცა, ორივე ცდა უშედეგოდ დასრულდა.


რამდენიმე წლის წინ განათლების სამინისტრომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას სპეციალური კომისიის შექმნა შესთავაზა. კომისიის ფარგლებში ქართველ და სომეხ ისტორიკოსებს ერთად უნდა ემუშავათ და სადავო ისტორიულ მოვლენებზე საერთო პოზიცია ჩამოეყალიბებინათ.

ხუთი ქართველი ისტორიკოსისგან დაკომპლექტებული კომისია შედგა. თუმცა, ეს ინიციატივა მალევე და უშედეგოდ დასრულდა ისე, რომ ქართველი ისტორიკოსები სომეხ კოლეგებს არც შეხვედრიან.

შემდგომ ამისა, ჯანაშიას თქმით, საქართველოს განათლების სამინისტრო კიდევ ერთი ინიციატივით გამოვიდა, რომლის მიმართაც სომეხურმა მხარემ ინტერესი არ გამოიჩინა: სომხეთის განათლების უწყებასთან ერთად უნდა შექმნილიყო სომხეთის ისტორიის ერთობლივი სახელმძღვანელო, სადაც ამა თუ იმ სადავო ისტორიული მოვლენის ყველა ვერსია მოხვედებოდა.

„თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენთვის სომხეთის ისტორიის ადაპტირებული სახელმძღვანელოს შექმნა პირველად საჭიროებას არ წარმოადგენდა“, — აცხადებს ჯანაშია. „ჩვენ, პირველ რიგში, უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ რეგიონის მოსახლეობას ქართული ენა ვასწავლოთ“.

ვიდრე თბილისი და ერევანი ზოგიერთი ისტორიული მოვლენის გამო დაობენ, ჯავახეთში სომხეთის ისტორიის ყოველწლიური ოლიმპიადისთვის ემზადებიან.

28 მაისს, სომხეთის დამოუკიდებლობის დღეს, ახალქალაქის ყველაზე დიდ სააქტო დარბაზში ჯავახის მოსწავლეები და მათი მასწავლებლები შეიკრიბებიან. ოფიციალური თბილისის პოლიტიკის მიმართ პროტესტის ფონზე გამარჯვებულებს წიგნებსა და სხვა საჩუქრებს გადასცემენ. გამოსაშვები კლასის ერთ-ერთ მოსწავლეს კი ყველაზე მეტად გაუმართლებს — იგი უფასოდ ისწავლის ერევნის ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის ისტორიულ ფაკულტეტზე. 



ფოტო დავით ბოსო

ჯავახეთში სომხეთის ისტორიის სწავლას ეკეპანე პოლიტიკურ თეად განიხილავენ. ამ საკითხის გარშემო წარმოქმნილ პრობლემებს კი ოფიციალური თბილისის მხრიდან აღვილობრივი სომხების შევინსროებად.

ღვინილაკი

გზა თავშესაფრიდან სახლამდე

წარმოვანი-ხაზვარდითი-ბერბუკი-წიფიანყვარი-კვინნათი-ბაზარითი
სასხოვრებელი ვირობების გააჯოგებასი მინაბეზვარ, ღვინილაკისთვის
საზოგადოებაში თავის ენაგვირება ჯარ კიღვ ურობრება, >>

პაა ჟითანაბა, თემურ ბარძიმაშვილი

ქუჩების ნაცვლად, აქ დანომრილი რიგებია. ამ რიგებში ჩამწკრივებულ ერთ-სართულიან სახლებს კი ნომრებით თუ განასხვავებთ ერთმანეთისაგან. სიმეტრიულად განლაგებული შენობები მყვირალა ფერებშია შეღებილი. ზოგან მომჟავო მწვანე, ზოგან კრემისფერი ან ღია წითელი სახლები მათ გარშემო გადაჭიმული მიწისფერი ტრამალისა და რუხი სოფლების ფონზე შორიდანაც კი მკვეთრად მოჩანს.

ეს აგვისტოს კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებებია. დაახლოებით 11 ათასი დევნილი ძირითადად ქართლის, მცხეთა-მთიანეთის და ქვემო ქართლის 38 დასახლებაში, 3979 კოტეჯში ცხოვრობს.

„ჩვენ აქ კონცლაგერში ვართ“, – ამბობს ხურვალეთის დასახლების ერთ-ერთი მაცხოვრებელი დათო კუდუხოვი. აგვისტოს კონფლიქტის დროს მან სოფელ ქსუისში 1.5 ჰექტარი ხეხილის ბაღი დაკარგა, ახლა კი სახლის წინ ასიოდე კვადრატულ მეტრ ფართობზე მხოლოდ ხახვი და ნიორი მოჰყავს და ვერც სხვა სამსახურს შოულობს.

დასახლებების საკონცენტრაციო ბანაკთან შედარება, რა თქმა უნდა, გადაჭარბებულია. მაგრამ საცხოვრებლად ნორმალური გარემოს შესაქმნელად მხოლოდ მატერიალური პრობლემების მოგვარება არ კმარა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა საქმეების უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელის კრისტოფ ბირვირთის შეფასებით, ამჯერად, დღის წესრიგში გრძელვადიანი საკითხები უნდა დადგეს“. ასეთი საკითხებია საინფორმაციო ვაკუუმის შეესება და დასაქმება.

საინფორმაციო ვაკუუმი

აჩაბეთიდან დევნილი 49 წლის ლიმიერი ჭულუხიძე ბერბუკის დასახლებაში მეულღესთან და 23 წლის შვილთან ერთად ცხოვრობს. მათი სახლის ფანჯარაზე მიკრულ მუყაოზე კალმით წერია: „არაყი“. ოჯახი თბილისში წაყიდი კახური არყის გაყიდვით ირჩენს თავს. „დღეში ერთ-ორი ლიტრი იყიდება, ლიტრი ოთხი ლარი ღირს... მაგრამ ეს არ გვეყოფინს“. ჭულუხიძე უკმაყოფილოა იმის გამო, რომ მეზობლად მცხოვრები დევნილებისგან



წარმოვანის ღვინილაკი დასახლება. 2009

**როსა ღვინილაკი
ხლები, კარბავ არა
მარტო მამარილაურ
ქონებას, ამავე
დროს კარბავ
ყველაფერს, რას
საზოგადოებაში
შენს ადგილს
განსაზღვრავდა.**

განსხვავებით, 104-ლარიანი დახმარება არ მიუღია და არც ის იცის, თუ ვისგან იღებს დახმარებას.

ნახსენებ „104 ლარში“, სავარაუდოდ, UNHCR-ის მიერ დანიშნული ერთჯერადი 100-ლარიანი დახმარება იგულისხმება. დევნილების პრობლემებზე 93 საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაცია მუშაობს და ამიტომ ლიმერის მსგავსად, ბევრ დევნილს არა აქვს წარმოდგენა არც ფულადი და ჰუმანიტარული დახმარების წარმომავლობაზე და არც საკუთარ უფლებებზე. არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა

საქართველოს“ ანალიტიკოსი ტილ ბრუკენერი იხსენებს: „იყო შემთხვევა, როცა მსოფლიოს სასურსათო პროგრამის მიერ დარიგებული ფქვილისგან საქმელად უვარგისი პური გამოცხვია... დევნილები მთავრობას აბრალებდნენ შეცდომას, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციამ დაუშვა, რადგან არ იცოდნენ, რომ პასუხისმგებელი მთავრობა არ იყო. ჩემი აზრით, ეს თვითონ სამინისტროსთვისაც ართულებს მუშაობას“.

ბრუკენერის აზრით, არასამთავრობო ორგანიზაციები კოორდინირებულ მუშაობას ვერ ახერხებენ, რაც ხშირად ერთი და იმავე დასახლების მაცხოვრებლებს არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს.

დასაძმება

ბერბუკელ დევნილ ლიმიერი ჭულუხიძეს სხვის კმაყოფაზე ცხოვრების შეგრძნება არ ასვენებს. „იქ ყველაფერი გვექონდა, აქ კი დახმარებაზე ვართ დამოკიდებული... ეს მთავრობა როდემდე შეგვინახავს?!“ – ამბობს ის.

კოლორადოს უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის მეცნიერებთა დოქტორი ელიზაბეთ დანი, რომელიც ამჟამად დევნილების საკითხზე მუშაობს, ამბობს, რომ დაუსა-

ფოტო: თემურ ბარძიმაშვილი

ქმელობა დევნილებისთვის პრობლემას წარმოადგენს არა მარტო იმიტომ, რომ ოჯახების რჩენა უჭირთ, არამედ იმიტომაც, რომ საზოგადოებაშიც ვერ ახერხებენ თავის დამკვიდრებას. „როცა დევნილი ხდები, კარგავ არა მარტო მატერიალურ ქონებას, ყანას, საქონელს ან სახლს, ამავე დროს, კარგავ ყველაფერ იმას, რაც საზოგადოებაში შენს ადგილს განსაზღვრავდა“, — აღნიშნავს ელიზაბეთ დანი.

მინისტრ კობა სუბელიანის თქმით, დონორ ორგანიზაციებთან ერთად საქართველოს მთავრობა მუშაობს პროგრამაზე, რომლის მიზანი დევნილების მინათმობედეგებისა და მესაქონლეობის კუთხით დასაქმება იქნება. უმრავლესობას უკვე დაუროგეს ნახევარი ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა, რომლის დამუშავებაც მთავრობამ ითავა. ზოგი მოსახლე უკმაყოფილოა მიწის დამუშავების ხარისხით, ზოგიერთ დევნილს მოუწია ტრაქტორის საკუთარი ხარჯით დაქირავება, რომ არასაკმარისად დამუშავებული მიწა გაეფხვიერებინა და სათესად გამოსადეგი გაეხადა.

წეროვანში, სადაც 6000-ზე მეტი დევნილი ცხოვრობს და ინფრასტრუქტურაც უფრო სწრაფად ვითარდება, ერთი შეხედვით, დასაქმების მეტი შესაძლებლობაა. მიუხედავად იმისა, რომ დასაქმებულების ოფიციალური სტატისტიკა სამინისტროს არა აქვს, წეროვანში ვიზიტის დროს მაინც თვალსაჩინო ხდება, რომ ცხოვრება სხვა დასახლებებთან შედარებით იქ უფრო დინამიურად ვითარდება. იქაურებს აქეთ სა-

თბურები, სასურსათო ჯიხურები, მუშაობს ასევე დევნილებით დაკომპლექტებული ახალგორის სასწრაფო დახმარების ბრიგადა და პოლიციის განყოფილება, სადაც ძველი თანამშრომლები ასევე დევნილები არიან. წეროვანში შენდება სკოლა, ბაგაბალი და ადგილობრივი გამგეობის განყოფილება. თუმცა, მიმდინარე მშენებლობები დევნილების დასაქმებას ხელს ვერ უწყობს. ვახტანგ ბერიკაშვილის თქმით, რომელიც სამშენებლო სამუშაოებს ზედამხედველობს, სკოლის მშენებლობაზე ოთხმოცი მუშახელიდან მხოლოდ ხუთია დევნილი. სამშენებლო კომპანიებს, ძირითადად, თავიანთი მუშახელი მოჰყავთ და ადგილობრივების დაქირავებას ერიდებიან. ახალგორიდან დევნილი, 32 წლის ზაზა იმნაძე იმ მცირერიცხოვან ადამიანთა კატეგორიას მიეკუთვნება, ვისაც გაუმართლა და დასაქმება მოახერხა. პირადი ნაცნობობის წყალობით, ახლა წეროვანში აფთიაქის მშენებლობაზე მუშაობს და თვეში სამას ლარს იღებს: „დახმარება რას მეყოფოდა, სამსახური რომ არ მქონდეს“, — აღნიშნავს იგი.

შინ

მიუხედავად იმისა, რომ ზაზა არც საცხოვრებელ პირობებს უჩივის და ხელფასიც მისთვის საკმარისია, თავს მაინც წეროვანის დროებით მაცხოვრებლად აღიქვამს: „ჩემს სოფელში ერთი პატარა სახლი რომ მქონდეს, ის მირჩევნია აქაურ ლამაზ შენობებს.“

UNHCR-ის იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელ კრისტოფ ბირვინტის თქმით, „ახლა მთავარი ამოცანაა ამ დასახლებების სიცოცხლით სავსე სოფლებად და შენობების ნამდვილ სახლ-კარად გადაქცევა“. ის იხსენებს: „ზოგი კოტეჯის წინ, რომელიც ჩვენ მოვიწახვლეთ, მცენარეები იყო დარგული, სამზარეულოდან წვნიანის სუნი გამოდიოდა, შიგნით ოჯახური გარემო იგრძნობოდა. ზოგან, კი, ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს დროებით საცხოვრებელში იმყოფები“.

ადამიანებს, რომლებმაც ერთხელ უკვე დაკარგეს სახლ-კარი, ქონების ხელახლა დაგროვება უნევთ. ბევრ დევნილს დაბრუნების იმედი კიდევ აქვს, თუმცა ეს იმედი მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე სხვადასხვანაირად აისახება. არაერთგვაროვნად ხვდებიან ისინი მთავრობის ახალ ინიციატივას, რომლის მიხედვითაც, მაისის ბოლომდე ყველა დევნილს კოტეჯები მუდმივ საკუთრებაში გადაეცემა. წმინდანყლის დასახლების ერთ-ერთი მამასახლისის თქმით, მას არც კი უნდა, რომ კოტეჯი საკუთრებად დაუმტკიცონ, რადგან მერე „იქ“ სახლს აღარავინ ალუდგენს. მის მსგავსად, ზოგიერთი ცხოვრობს ისე, თითქოს გამგზავრებას ყოველდღე აპირებს და ბარგიც გამზადებული აქვს. სხვები კი, ცდილობენ, „იქაური“ ცხოვრება ახალ რეალობაში გადმოიტანონ. წეროვანში ერთ-ერთი კოტეჯის წინ დარგული ყვითელი შროშანები ამის ნათელი მაგალითია. ■

გარემო

რისკის ზონაში

საჩინო ზონაში მცხოვრები ოჯახები რაეუონებში უსაფრთხო აპირას გადარსდნა ითხოვენ. >>

რეზო გათიხაშვილი

1987 წლიდან მოყოლებული საქართველოში ბუნებრივი კატასტროფების გამო 400 ადამიანი დაიღუპა. ამავე პერიოდში ძირითადად სვანეთიდან და მთიანი აჭარაიდან, ეკომიგრანტების სტატუსით 50 ათასამდე ოჯახი გაიყვანეს. ათეულობით სოფელი მთლიანად დაიცალა.

დღეს, გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, სტიქიური ზონები თანაბრად ყველგანაა: მთაშიც, მთისწინეთშიც და ზღვისპირეთშიც. ანუ მეტ-ნაკლები სიმძაფრით, საფრთხის წინაშე საქართველოს ყველა რეგიონი დგას.

ცაგერის რაიონის 58 სოფლიდან 57 რისკის ზონაშია მოქცეული. ლეჩხუმე-

ლები ამბობენ, რომ სტიქია მათ სახლში, მათ სოფელში, ან მათი სოფლის თავზე ცხოვრობს, ყოველ გაზაფხულზე და შემოდგომაზე სოფელში ჩამოდის და რამდენი სახლი და კარ-მიდამოც მოეპრიანება, იმდენი მიაქვს. რაიონში მცხოვრები 900 ოჯახი აუცილებლად უსაფრთხო ადგილას უნდა გადასახლდეს. ყოველწლიურად ინგრევა სახლები, გზები და ხიდები. სტიქისგან დაზარალებულ სოფელს დიდხანს ძებნა არ სჭირდება, შეგიძლიათ ნებისმიერში შეჩერდეთ.

„ცხენისწყლის პირას სახლები ყოველ გაზაფხულზე და შემოდგომაზე იტბორება. გუმარემის ლელე ქვალორლით ივსება და

ნაპირზე გადმოდის. 15-მდე ოჯახს წელიწადში ორჯერ სახლის დატოვება გვინევს“, — ამბობს ბარდნაღელი გოჩო ხეცუერიანი, რომელიც, ათასობით ლეჩხუმელის მსგავსად, სტიქიას მარტო უმკლავდება.

წელს სტიქია ლეჩხუმში ნაადრევად დაიწყო. სოფელ ლარჩვალში მენყერის გააქტიურების მიზეზი თებერვლის დასაწყისში ტემპერატურის სწრაფი მატება, კოკისპირული წვიმები და თოვლის სწრაფი დნობა გახდა.

„20 წელია, რაც აქ ჩავსახლდით და ჩავთვალეთ, რომ უსაფრთხო ადგილი ვიპოვეთ. თითქოს, ყველაფერი კარგად მიდიოდა, უკვე სახლის მოწყობაზე ვფიქრობდით. ახლა კი, მოულოდნელად მენყერი წამოვიდა და ყველაფერი წაილო. ჩვენი მეზობელი ზალი ხეცუერიანის სახლი მთლიანად დაანგრია, ცოლ-ქმარი და ბავშვი ნათესავებს შეეხიზნენ. ახლა სამი სახლია რიგში. არ ჩერდება, ოღონდ არც არსად ეჩქარება, ნელ-ნელა მოდის

და ანგრევს,“ – ამბობს ლარჩვალელი ამირან მუშკუდიანი, რომელსაც მოულოდნელად წამოსულმა მენყერმა ოჯალემისა და ცოლიკაურის ვენახი, 1 ჰექტრამდე კარ-მიდამო, ნარგავები და დაშხმარე ნაგებობები წაართვა. მუშკუდიანები, სამ მეზობელ ოჯახთან ერთად, 1200 მეტრი სიგრძის, 750 მეტრი სიგანის და 10 მეტრამდე სიმაღლის ლარჩვალის მენყერზე ცხოვრობენ.

„ასეთ დროს მხოლოდ გადარჩენაზე ფიქრობ, დღიდან დღემდე რომ თავი გაიტანო და ცოცხალი დარჩე. ყოველ 20 წელიწადში სახლს ვანგრევთ და ვაშენებთ“, – ამბობს ამირან მუშკუდიანი.

ლექსუმის სტიქიებს ორგვარი მიზეზი აქვს. აქ მიწების სიმცირის გამო მოსახლეობა ძირითადად მთისწინეთში, ანდა ხეობებში სახლობს, სადაც დაბალი მდგრადობის ქანებია და ადამიანები ბუნების საქემში რომც არ ჩაერიონ, მენყერული პროცესები ისედაც მიმდინარეობს.

თუმცა, სტიქიის გამომწვევი მიზეზი ძირითადად მაინც ადამიანური ფაქტორია: ადგილობრივები უკვე წლებია, ჩეხავენ ტყეებს, ციცაბო ფერდობებზე სტიქიურად ამუშავებენ მიწას. საფრთხეს ზრდის ფართომასშტაბიანი მშენებლობები. სარისკო ზონებში დაუშვებელია რკინაბეტონის მასიური შენობების აგება, რაც ლექსუმში ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ააგეს, გზების გასაყვანად კი ხელოვნურად ჩამოჭრეს ფერდობები. როგორც ექსპერტები აცხადებენ, ლაჯანურჰესის მშენებლობისას დაშვებული საპროექტო შეცდომების გამო ლაჯანურის კალაპოტში წყლის ნიშნულებმა 3-4 მეტრით აიწია. ამ ყველაფრის შედეგს კი ადგილობრივები ახლა ყოველდღიურად იკიან.

პოტენციური სიზნებები

გარემოს ეროვნული სააგენტოს ბოლო ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა ასეთია: ლექსუმის დაზარალებული მოსახლეობა „ექვემდებარება უპირობო გადაყვანას გეოლოგიურად მდგრად ტერიტორიაზე. მენყერული პროცესის გააქტიურება მოსალოდნელია ფერდობის ქვედა ნაწილშიც, რის შედეგადაც მაღალი საშიშროების რისკის ზონაში დამატებით 11 ოჯახი მოექცევა“.

გეოლოგების განცხადებით, ლარჩვალელების 4 ოჯახი აუცილებლად გასასახლებელია, 11-ს კი ჯერ კიდევ შეიძლება რამე ეშველოს, თუ ფერდობზე დაუყოვნებლივ მოაწყობენ სადრენაჟო არხებს, ამოავსებენ და მოტკეპნიან მენყერულ ფენებს, დარგვენ მრავალწლიან ნარგავებს და აღარ დაუშვებენ მიწის ტიპის მშენებლობებს.

ამასთან, სოფელი გეომონიტორინგული დაკვირვების ქვეშ უნდა მოექცეს, რომელიც წელიწადში 2-ჯერ მაინც ჩატარდება. თუმცა, ამ ყველაფერს, არხების გაყვანისა და მონიტორინგის ჩათვლით, საგანგებო ბიუჯეტი სჭირდება. იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამული მონიტორინგისთვის 2009 წლის ბიუჯეტში თანხები არ გაუთვალისწინებიათ, გეოლოგების რეკომენდაციების განხორციელება არარეალურია. შესაბამისად, მინიმუმ 2010 წლის ბიუჯეტის ფორმირებამდე ლარჩვალელებს ვერაფერს უშველიან.

კატასტროფების სტატისტიკა

სტიქიების სტატისტიკას მხოლოდ ნახევარი საუკუნის განმავლობაში რომ გავყვეთ, ასეთ სურათს მივიღებთ: 1967-87 წლების განმავლობაში დასავლეთ საქართველოში 5 ათასამდე მენყერული სხეული გააქტიურდა. მათ 560 ათასი ჰექტარი ფართობი დაფარეს. დაზიანდა 10 ათასამდე საცხოვრებელი სახლი.

სტიქიური პროცესების ახალი აფეთქება 2001 წლიდან დაიწყო. 2003-2005 წლებში პროცესმა მეტ-ნაკლები ინტენსივობით ქვეყნის მთელი ტერიტორია მოიცვა. მდგომარეობა უკიდურესად გამწვავდა სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის, მთიულეთის, აჭარის, კახეთის მთიან რეგიონებში. საფრთხე დაემუქრა მესხეთისა და გურიის რეგიონებს, სამეგრელოსა და იმერეთის მთისწინეთს. საშუალო რისკის არეალში კი შიდა და ქვემო ქართლის ტერიტორიები მოექცა. თუნდაც გარდაბნის შარშანდელი ღვარცოფები გავიხსენოთ, რომელიც მსხვერპლით დამთავრდა.

საერთო ჯამში, 2006 წლის ჩათვლით, საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირებულია 53 000-მდე მენყერული სხეული, რომელთა საერთო ფართობი 1,5 მლნ ჰა-ს აღემატება. მათი 70% ურბანიზებულ ტერიტორიებს მოიცავს. დაზიანებულია დიდი წყალსაცავების ნაპირების 25, ხოლო ქვეყნის საავტომობილო გზების 30 პროცენტი. ადამიანებისთვის საშიშ ზონად კი შესაძლოა, 3 000-მდე დასახლებული პუნქტი განვიხილოთ. 3 ათასი დასახლებული პუნქტი – ეს თითქმის მთელი საქართველოა.

კატასტროფული ბიუჯეტი

კატასტროფული სტატისტიკა ათწლეულების განმავლობაში ქვეყანას თითქმის შეუფასებელ ზარალს აყენებს. 1987-1989 წლების სტიქიების დროს ზარალმა მილიარდ დოლარს გადააჭარბა, 1991-1992 წლების სტიქიებით მიყენებული ზარალის

ლიკვიდაციას კი 10 მილიარდი დოლარი დასჭირდა.

საქართველოს გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები თავადვე აღიარებენ, რომ გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავების გარეშე არაფერი გამოვა. ამის გარეშე შეუძლებელია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პაკეტის შემუშავება, მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სასოფლო-სამეურნეო მიწების დეგრადაციის შეჩერება, ასევე სტრატეგიული ობიექტების (ნაბუკო, ხუდონი) მშენებლობა და არსებული (ყულევი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი) საიმედო ფუნქციონირება. საქართველოს გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიური სამიშროების და გეოლოგიური გარემოს მართვის დეპარტამენტის უფროსი ემილ წერეთელი აცხადებს, რომ „საჭიროა ობიექტური ინფორმაცია სტიქიის ფაქტობრივ მდგომარეობაზე და დინამიკაზე. ამის ერთადერთი საშუალებაა კი რეგიონალური მონიტორინგია, რაც 2004 წლიდან აღარ ხორციელდება“.

2004 წლიდან რეგიონალური მონიტორინგი და, შესაბამისად, საშიში ბუნებრივი პროცესების მართვა სახელმწიფოსთვის არაპრიორიტეტული გახდა. მართალია, 2008 წელს საკითხი შეიტანეს ძირითადი მიმართულებებისა და მონაცემების დოკუმენტში, რომელში აღნიშნულ საკითხებსაც წლიური ბიუჯეტის დადგენისას ითვალისწინებენ ხოლმე, მაგრამ სასიცოცხლო მნიშვნელობის სამუშაოები 2009 წლის ბიუჯეტის ფორმირებისას მაინც არ გაუთვალისწინებიათ. არადა, სწორედ იმ დღეებში, როდესაც პარლამენტი 2009 წლის ბიუჯეტზე მსჯელობდა, სტიქიების გამო საქართველოში 20-მდე ადამიანი დაიღუპა.

სახელმწიფო, სტიქიის პრევენციის დაფინანსებაზე უარის თქმით, საკუთარ ფუნქციად მხოლოდ შემოსულ ინფორმაციაზე რეაგირებას თვლის. სახელმწიფო მიიჩნევს, რომ სტიქიასთან გამკლავება მხოლოდ ბიუჯეტის სარეზერვო ფონდებითაც შეიძლება. სწორედ ამ ფონდებიდან 2009 წელს მდინარეების ნაპირების გასამაგრებლად 9 მილიონი ლარი გამოიყო. თუმცა, სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ როდესაც სიტუაციის კომპლექსური მონიტორინგი არ ხდება, მდინარეების ნაპირების გასამაგრებლად გამოყოფილი თანხაც კი შეიძლება წყალში გადაყრილი იყოს. ■

კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელი CENN ცაგერო-თბილისი

აფხაზეთი

სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმება.

სომხებსა და მოსკოვს შორის გაფორმებული სასაზღვრო შეთანხმება პეიზაჟოთაბერიც, რაგან მოკავშირე აფხაზური მხარე არ ჩანს >>

ასლან კობახია, აფხაზეთი

ფოტო REUTERS

**■ აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვარი**

30 აპრილს მოსკოვში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა და აფხაზეთის პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა ხელი მოაწერეს „შეთანხმებას სახელმწიფო საზღვრის დაცვის სფეროში ერთობლივი ძალისხმევის შესახებ“. დოკუმენტში მკაფიოდ არის განსაზღვრული რუსეთის ფუნქციები, მაგრამ არაფერია ნათქვამი, რა ევალუბათ აფხაზებს.

მიუხედავად სიტყვა „ერთობლივისა“, რომელიც დოკუმენტის სათაურშივე ფიგურირებს, შეთანხმება ცალმხრივია.

თავად განსაჯეთ, პრეზიდენტ ბაღაფშს, რომელიც დოკუმენტს აწერს ხელს, არ აქვს უფლება, საგუშაგოზე მივიდეს და დააკვირდეს, როგორ იცავენ მესაზღვრეები აფხაზეთის საზღვარს. ყველაფერი საგუშაგოს რუსი უფროსის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული — ისურვებს ბაღაფშის შეშვებას, ჰო კარგი, თუ არადა, უკან გააბრუნებს.

ნონსენსი არ არის, სახელმწიფოს პირველ პირს სახელმწიფო საზღვრის შემომხმება რომ არ შეუძლია?

ძნელი სათქმელია, რა მიზანი ამოძრავებდა რუსეთს, ან რას ფიქრობდნენ ისინი, ვინც ხელს აწერდა დოკუმენტს აფხაზეთის მხრიდან, მაგრამ ფაქტია, რომ ეს შეთანხმება აფხაზეთის სახელმწიფოებრივ ინტერესებს არ პასუხობს.

თხუთმეტი წლის განმავლობაში, ჩვენ, აფხაზები, ავად თუ კარგად, თავად ვიცავდით ჩვენს საზღვრებს. ჩვენთვის დამოუკიდებლობა არაფის გადმოუცია საჩუქრად. შეიძლება, ვინმე შეცდომით ფიქრობს, რომ ჩვენ იგი გასული წლის 26 აგვისტოს მივიღეთ. ასეთებს კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რომ დამოუკიდებლობა ბევრად ადრე — 1993 წლის 30 სექტემბერს მოვიპოვეთ შეიარაღებულ დაპირისპირებაში, სადაც ათასობით ჩვენი მოქალაქე დაიღუპა.

რა თქმა უნდა, სისულელეა იმის მტკიცება, რომ რუსეთის სამხედრო ძალების ადგილი აფხაზეთში არ არის; ჩვენს ტერიტორიაზე მათი ყოფნა ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს ყოფნა ღირსეული უნდა იყოს. მათ თავიანთი ინტერესები აქვთ, მაგრამ ჩვენც გვაქვს ჩვენი ინტერესები.

ვფიქრობ, აფხაზეთის სახელმწიფო საზღვრის დაცვა, პირველ რიგში, სწორედ აფხაზების ინტერესია. არაფერი დაშავდებოდა, თუ საგუშაგოზე, სადაც 35-40 მესაზღვრე მსახურობს, რუსული ქვედანაყოფის რიგებში აფხაზი მესაზღვრეებიც იქნებოდნენ; თუნდაც, ხუთი ჯარისკაცისა და ერთი ოფიცრის შემადგენლობით. მაგრამ ამას შეთანხმება არ ითვალისწინებს. გამოდის, საგუშაგოზე აფხაზეთის დროშა არ იქნება? თუ იქ აფხაზი მესაზღვრეები არ

დგანან, მაშასადამე, იქ არც აფხაზეთის დროშა იქნება.

დღეს ჩვენ რუსეთის ფედერაციასთან პრობლემები არ გვაქვს, მაგრამ არც იმის გარანტია არსებობს, რომ მომავალში რუსეთში ახალი „კოზირეები“ არ გაჩნდებიან.

არაფერი დაშავდება, ეს შეთანხმება ხუთის ნაცვლად ასი ან ორასი წელი გაგრძელდეს, მაგრამ ერთი პირობით — მოდით, ერთობლივად, რეალურად ერთობლივად დავიცვათ საზღვარი. მესაზღვრეთა კონტინგენტი ისე უნდა განისაზღვროს, რომ მასში 15-20 პროცენტი მაინც ჰქონდეს აფხაზურ მხარეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩნდება კითხვა: მაშინ, სად არის აფხაზეთის მოქალაქეების ფუნქცია სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხში? ჩვენი ახალგაზრდები ჯარში უნდა მსახურობდნენ, თუ მხოლოდ სასკოლო სამხედრო კურსის გავლით დაკმაყოფილდნენ?

ვითარება რომ შეიცვალოს? მაშინ ჩვენ ისეთივე მოუმზადებლები შევხვდებით მტერს, როგორც 1992 წელს.

არსებობდა მოლოდინი, რომ რუსეთის მიერ აფხაზეთის აღიარების შემდეგ ორი სტრუქტურა — სახელმწიფო უშიშროების სამსახური და თავდაცვის სამინისტრო ერთიანდებოდა და მათ ბაზაზე შეიქმნებოდა ეროვნული უშიშროების სამინისტრო, რომელიც ქვეყნის საზღვარს რუსეთთან ერთად დაიცავდა. მოსკოვში ხელმოწერილი შეთანხმებით კი აფხაზ მესაზღვრეებს ფუნქცია დაეკარგათ.

აფხაზეთის ერთადერთი სტრატეგიული პარტნიორი დღეს და შორეულ პერსპექტივაშიც რუსეთია, თუ, რა თქმა უნდა, იგი თავად არ იტყვის უარს ჩვენზე. აფხაზეთი სხვა ვარიანტი ვერ ხედავს. სხვა ვარიანტი არ არის და არც შეიძლება იყოს. მაგრამ, რუსეთთან ურთიერთობები გამართულად უნდა ავანყოს.

დავაკვირდეთ ჩეჩნეთს. ჩეჩნეთის პრეზიდენტმა კადიროვმა, ავად თუ კარგად, რესპუბლიკაში გარკვეული ნესრიგის დამყარება შეძლო. მცირდება ფედერალური ჯარების რაოდენობა. სისხლისმღვრელი ომის შემდეგ, მოკლე დროში ასეთი პროგრესის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა, მოსკოვს ფსონი თავის არმიაზე რომ დაე-

დო და არა თავად ჩეჩნებზე. ახლა იქ მშვიდობაა. ჩეჩნეთში ახალი ცხოვრება დაიწყო.

კადროვის ჰყავს ქვედანაყოფები, რომლებიც, რუსეთის ფედერაციის სახელით, სხვადასხვა ქვეყანაში სამხედრო მისიას ახორციელებენ. ასე იყო, მაგალითად, ლიბანში, სადაც ჩეჩნური ქვედანაყოფები სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობდნენ; ან სამხრეთ ოსეთში, სადაც ჩეჩნურმა ბატალიონმა რთულ ამოცანებს გაართვა თავი.

ჩეჩნეთი ხომ რუსეთის ფედერაციაში შედის? ჩვენ კი დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსი გვაქვს. მამ, რა გვიშლის ხელს, ეფექტური ძალოვანი სტრუქტურები შევქმნათ? აფხაზეთსაც შეუძლია ჰყავდეს განსაკუთრებული რეაგირების ბატალიონი, რომელიც რუსეთის ფედერაციასთან ერთად მსოფლიოს ნებისმიერ ნერტილში რთულ ამოცანებს გაუმკლავდებოდა. სწორედ ამას ნიშნავს სიტყვა „მოკაეშირობა“.

ჩვენ რომ გამართული სტრუქტურები გვექნოდა, ასეთ შეთანხმებას არ დავდებდით. მოვრჩეთ საკუთარი თავის მოტყუებას, ნუ გამოგვყავს თავი გმირად. ყველამ იცის ჩვენი პრობლემები. ყველამ იცის, როგორ მიმდინარეობდა კოდორის ოპერაცია და რის ხარჯზე მივალნიეთ შედეგს. დღეს კი ამ ოპერაციისთვის მედლებს ვარიგებთ. ეს მათი დაცინვაა, ვინც წელიწადი და ორი თვე დაულაღავად იბრძოლა, მინას ჭამდა და სამშობლო გაანთავისუფლა. სიმართლე უნდა ვთქვათ. და, პირველ რიგში, ეს სიმართლე საკუთარ თავს არ უნდა დაუშალოთ. მოსკოვთან გაფორმებული შეთანხმება ძალიან ცუდია.

ნურავინ ეცდება ამ სტატიის ავტორი რუსეთის სანინალმდეგო განწყობებში დაადანაშაულოს. ჩემი აზრით, აფხაზეთში ანტირუსულ განწყობებს დაუნდობლად უნდა ვებრძოდეთ, რუსოფობია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ხარისხში უნდა ავიყვანოთ.

მაგრამ, რუსულმა მხარემაც უნდა გაიგოს, რომ აფხაზეთისთვის დამოუკიდებლობა მას არ უჩუქებია. ჩვენ იგი თავად მოვიპოვეთ. მოსკოვმა ჩვენი დამოუკიდებლობა პირველმა აღიარა. ჯერ კიდევ 1999 წელს, ელცინის მმართველობის ბოლოს, პრემიერ-მინისტრად დანიშნულმა ვლადიმერ პუტინმა თავიდანვე გაიანზრა, რომ აფხაზებს დამოუკიდებლობის გზაზე ვერაფერი შეაჩერებდა. სწორედ ამ პერიოდთან დაიწყო აფხაზეთის მიმართ შემწყნარებლობის პოლიტიკა, რომელიც საბოლოოდ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებით დასრულდა. როგორც ჩანს, აღიარების შემდეგ პუტინის გუნდმა აფხაზეთის საკითხზე მუშაობას თავი დაანება,

თორემ ასეთ დოკუმენტს არ მივიღებდით.

თუ ვინმე ფიქრობს, რომ ამ დოკუმენტით რუსეთის მხარე იხიერებს, ძალიან ცდება. აფხაზეთში რუსეთის დასაყრდენი პატრიოტები უნდა იყვნენ. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს მოსკოვი აფხაზეთში ძლიერი პოზიციების შენარჩუნებას. ხოლო, მსგავსი შეთანხმებების შემოთავაზებით, მოსკოვი უბრალოდ დაკარგავს აფხაზეთში თავის პოზიციებს.

გარდა ამისა, მიუხედავად დიდი პატივისცემისა ოსი ხალხის მიმართ, არასწორია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ერთ სიბრტყეში განხილვა. ორივე რესპუბლიკისთვის ერთნაირი შეთანხმება დაინერა, მათ შორის განსხვავება არავის გაუთვალისწინებია.



■ დივანქათო ლიფიაჩიის შიხაჰარა კრამლში, რუსეთის პრეზიდენტთან

ასეა თუ ისე, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს განსხვავებული ამოცანები და მიზნები აქვს. ოსი ერი — ორად გაყოფილი ერია და საესეებით გასაგებია მისი სწრაფვა გაერთიანებისკენ. მაგრამ ჩვენ ჩვენი გზა გვაქვს. ჩვენ თავიდანვე ვაცხადებდით, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოს ვაშენებთ. ვლადისლავ არძინბამ ბევრი დოკუმენტი დაგვიტოვა — დანყებულნი 1994 წელს მიღებული კონსტიტუციით. ჩვენ ამ დოკუმენტების მიხედვით უნდა გავაგრძელოთ ქვეყნის შენება.

მოსკოვში ხელმოწერილ დოკუმენტში ნებისმიერი ოურისტი აღმოაჩენს ათობით ნინალმდეგობას აფხაზეთის კონსტიტუციასთან. პრეზიდენტ ბალაფუს უნდა ესმოდე, რომ ჩვენ ხელი არ უნდა მოვანეროთ იმას, რაც ჩვენი ქვეყნის მთავარ კანონს ეწინააღმდეგება. ყოველთვის იქნებიან ზიუგანოვები და ჟირინოვსკები, რომლებიც ხვალ ან ზეგ იტყვიან (ზოგიერთი მათ-

განი დღესაც ამბობს), რომ რეფერენდუმი უნდა ჩატარდეს და აფხაზეთი რუსეთის შემადგენლობაში შევიდეს. ჩვენ უკვე ჩავატარეთ რეფერენდუმი, სადაც აფხაზმა ხალხმა ერთხელ და სამუდამოდ აირჩია გზა და არავითარი სხვა რეფერენდუმები არ გვჭირდება. არ ვაპირებთ მუდმივად მუხლმოდრეკას და ღრეჯას. ღირსეულად უნდა მოვიქცეთ, რომ სხვამ პატივი გვცეს.

გამომდინარე მოსკოვში ხელმოწერილი დოკუმენტიდან, დღეს, როცა აფხაზეთი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ემზადება, ჩნდება კითხვა: გვჭირდება კი მმართველობის საპრეზიდენტო ფორმა?

გაუგებარია, რატომ მოხდა სასაზღვრო შეთანხმების საიდუმლოდ შემუშავება? ნუთუ, არავინ იფიქრა, რომ ქვეყნისთვის ასეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი აუცილებლად პარლამენტში უნდა განხილულიყო, საზოგადოების სამსჯავროვო გამოსულიყო და ყველას ერთად მიგველო გადაწყვეტილება. დღეს იგი უკვე ხელმოწერილია და მასში ცვლილებებს ვერ შევიტანთ.

საკუთარ თავს სიმართლე უნდა ვუთხრათ — სახელმწიფოს ასე შენება არ შეიძლება! დიას, ჩვენ ველოდით, რომ რუსეთთან ერთად დამოუკიდებელ სახელმწიფოს ავაშენებდით, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ დღეს ჩვენ ანკლავს ვაშენებთ.

პრეზიდენტ მედვედევისა და პრემიერ პუტინის მმართველობისას აფხაზეთს არაფერი ემუქრება. მაგრამ, რა იქნება ხვალ, არავინ იცის. ცოტა ხნის წინ, ჩვენს მეზობლად — სოჭში კინაღამ ნემცოვი აირჩიეს მერად. ნემცოვი — ნაძირალა, რომელიც ელცინის დროს აფხაზეთის წინააღმდეგ სანქციების დანესების მომხრე იყო.

სად არის გარანტია, რომ მომავალში „ნემცოვები“ რუსეთის ხელისუფლებაში არ მოვლენ, სამ დღეში ჩვენი ტერიტორიიდან რუსეთის ჯარებს არ გაიყვანენ და ჩვენს მტერთან პირისპირ არ დაგვტოვებენ? რა უნდა ვქნათ ასეთ შემთხვევაში?

მოსკოვში ხელმოწერილი დოკუმენტი ჰგავს მამის დამოკიდებულებას თავისი უკანონო შვილის მიმართ. ასეთ შეთანხმებას სტრატეგიულს ვერ ვუნოდებთ. სტრატეგიული პარტნიორები ასეთ შეთანხმებებს არ აფორმებენ. ■

სტატია დაბეჭდილია გაზეთ „ჩეგემსკაია პრავდაში“, რომელიც სოხუმში გამოიცემა. ასლან კობახია — აფხაზეთის გმირი, 1992-1993 წლების ომის დროს ხელმძღვანელობდა აფხაზეთის არტილერიას, შემდგომ წლებში კი სახელმწიფო საბაჟო კომიტეტის თავმჯდომარე იყო.

/41 პოლიტიკა კანონის წინააღმდეგ **/44** შეწყალვის სივრცე **/45** სილაჩივის ზღვარს მიღვა
/46 ვინააღმდეგ ვართ **/49** ახგაგა გორი დიღია... **/50** ზაკალი როგორც ფულით არ იწოდება
/52 შენაშენე კოპანიათა სტრატეგია - პოლონი **/54** ქართული მუსიკა



ფოტო: პეტრე ბაქრაძე

სამართალი **პოლიტიკა კანონის წინააღმდეგ**

თუ პრაქტიკულად საპროტესტო აქციებთან დაკავშირებული ყველა ინიციატივას განაგრძობს, ეს იქნება მთლიანი მხარდობის პოლიტიკური გზით განაგრძობს საქონის, რომლებსაც მხოლოდ კანონი უნდა აკავშირებდეს. >>

ოლენია ვარდანანი

ოპოზიციის ლიდერებთან შეხვედრის შემდეგ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ მზადაა მიიღოს პოლიტიკური გადაწყვეტილება და საპროტესტო აქციებთან დაკავშირებული ყველა ინიციატივის გამოძიება შეაჩეროს. ამ დრომდე უცნობია, რა

გაგრძელება ექნება სააკაშვილის ინიციატივას. არ არის გამორიცხული, პრეზიდენტმა მართლაც მოანერგოს ხელი სპეციალურ ბრძანებას. ადამიანის უფლებათა დამცველი ინსტიტუტები პრეზიდენტის ამ გადაწყვეტილებას აკრიტიკებენ და აცხადებენ, რომ გამოძიება უნდა გაგრძელ-

დეს. პოლიტიკოსების ყურადღებისა და განხილვის საგანი ეს ინიციატივა არ გამხდარა. სახალხო დამცველის ოფისის და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაცემებით, საპროტესტო აქციების ერთთვიანი პერიოდის განმავლობაში 30-მდე ადამიანი ნაცემი.

■ აშტია თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოსთან 2009 წ. 6 მაისი

ინციდენტების უმრავლესობა მთაწმინდის რაიონში მოხდა. ამ რაიონის პოლიციის სისხლის სამართლის განყოფილებაში, მიტინგებთან დაკავშირებულ დაახლოებით 30 საქმეზე წინასწარი გამოძიება მიმდინარეობს. მათ შორისაა ის 14 საქმეც, რომელიც სახალხო დამცველისა და არასამთავრობო ორგანიზაციების სიაში ფიგურირებს. აქედან ორი მათგანს დასაწყისში მას შემდეგ აღიძრა, რაც განყოფილებას ოფიციალური წერილით



სოზარ სუბარმა მიმართა. „არასაკმა-
რისი მტკიცებულებების“ გამო სისხლის
სამართლის არც ერთ ამ საქმეზე ექვმი-
ტანილი დაკავებული არ არის.

საპროტესტო აქციების დროს მომხდარი
ძალადობის ფაქტები პოლიტიკური სპე-
კულაციის თემაა როგორც ოპოზიციის,
ისე ხელისუფლების მხრიდან.

ოპოზიციის ზოგიერთი ლიდერი ამბობს,
რომ ერთთვიანი პერიოდის განმავლობა-
ში 80-მდე აქტივისტია ნაცემი. თუმცა,
ამ შემთხვევების შესახებ კონკრეტუ-
ლი ფაქტების მოძიება ვერ ხერხდება.
ხშირად, ოპოზიციის მონათხრობებში
ფიგურირებენ ნილბიანი ადამიანები,
რომელთაც მალალი თანამდებობის
პირებთან აქვთ კავშირი.

სახალხო დამცველისა და არასამთავ-
რობო ორგანიზაციების ნუსხაში არსე-
ბული ინციდენტებიდან შინაგან საქმეთა
სამინისტრომ ამ ხნის განმავლობაში
მხოლოდ ორის შესახებ გაავრცელა ინ-
ფორმაცია. ორივე შემთხვევაში საუბარ-
ია იმაზე, რომ ოპოზიციის აქტივისტებმა
ცრუ ჩვენება მისცეს, ან პოლიციასთან
თანამშრომლობაზე უარი თქვეს.

შსს-ს მიერ გავრცელებული ინფორმაცი-
ის დიდი ნაწილი ოპოზიციისა და მომიტ-
ინგეთა დისკრედიტაციას ახდენს. მაგ-
ალითად, ის, რომ ოპოზიციის ლიდერები
აქციის მონაწილეებს ფულს უხდინან; მთ-
ვრალი ან ნარკოტიკების ზემოქმედების
ქვეშ მყოფი აქტივისტები ერთმანეთში
გარჩევებს აწყობენ.

პოლიტიკური პრევენცია

პროტესტის დანყებად, როგორც
ოპოზიცია, ისე ხელისუფლება ერთ-
მანეთთან თანამშრომლობის სისტემის
ჩამოყალიბებას ცდილობდა, რათა სა-
პროტესტო აქციების მსვლელობისას
კრიმინალური შემთხვევები აეცილები-
ნათ თავიდან. ინციდენტების ერთობლივ
გამოძიებაზე საუბარი არ ყოფილა.

თანამშრომლობის ზოგადი კონტურების
შესათანხმებლად გიორგი ბარამიძე და-
ვით უსუფაშვილს თბილისის ცენტრში,
ერთ-ერთი სასტუმროს კაფეში შეხვდა.
შინაგან საქმეთა სამინისტროში ადას-
ტურებდნენ, რომ მიტინგების ორგანი-
ზატორებთან თანამშრომლობის სისტე-
მა არსებობდა. თუმცა, „ოპოზიციის
ლიდერთა თხოვნით“, მის გახმაურებაზე
უარს ამბობენ.

საპროტესტო აქციების დანყებად
რამდენიმე დღით ადრე, ირაკლი ალა-
სანიამ განაცხადა, რომ აქციის ორგა-
ნიზატორებს რამდენიმე ათეული დამ-
კვირვებელი ეყოლება. მისი თქმით,



ფოტო: შსს-ს პრესსამსახური

■ ოპოზიციის დაზარალებული აქტივისტი. 2009 წ. 6 მაისი

„დამკვირვებლები და პოლიციელები
ტელეფონის ნომრებს გაცვლიან“, მუდ-
მივ კავშირს შეინარჩუნებენ, რათა ინცი-
დენტების შემთხვევაში ერთად მოახდი-
ნონ რეაგირება. ოპოზიციის ლიდერების
დონეზე შინაგან საქმეთა სამინისტრო-
სთან კონტაქტი იმთავითვე გამოირიცხა.
თუ ეს ხელისუფლებასა და ოპოზიციას
შორის პოლიტიკურ შეთანხმებაზე და-
ფუძნებული ერთადერთი მექანიზმი იყო,
მას არ უშუშავია.

თითოეულმა მხარემ, ინციდენ-
ტის დაფიქსირების და შემდეგ მისი
გამოძიების საკუთარი მიდგომა აირ-
ჩია. ოპოზიცია დიდწილად არასამთავ-
რობო სექტორს დაეყრდნო, რომელიც
წარმოდგენილი იყო რამდენიმე ადვო-
კატითა და ვიდეოკამერით აღჭურვილი
დამკვირვებლით. ხელისუფლება ბევრად
უფრო მომზადებული გამოჩნდა.

ყველგან, სადაც პოტენციურად საპრო-
ტესტო აქციები შეიძლებოდა გამართუ-
ლიყო, შსს-მ სათვალთვლო კამერები
დაამონტაჟა. ვიდეოთვალიდან მიღე-
ბულ კადრებს დღე-ღამის განმავლობაში
აკვირდებიან სამინისტროს შენობაში
ჩიტაძის ქუჩაზე, სადაც საბჭოთა დროს
უშიშროება ფუნქციონირებდა.

დიდ ოთახში, სადაც ოდესღაც სუკ-ის
გენერლები თათბირებს მართავდნენ,
დღეს მიტინგებზე დაკვირვების შტა-
ბი მუშაობს. სიძველისგან გაშავებულ
კედლებზე თანამედროვე მონიტორებია
დამაგრებული, სადაც ყველა ვიდეო-
თვალიდან მიღებული გამოსახულება
იყრის თავს. ორი მონიტორი „კავკასიას“
და „მავსტროს“ უჩვენებს. გამოსახულე-
ბას თვალს გამუდმებით სამინისტროს

თანამშრომლები ადევნებენ.
გვერდით ოთახში, სადაც ოდესღაც
ლავერენტი ბერიას სამუშაო კაბინეტი
იყო, აბრა ჰკიდა: „შინაგან საქმეთა მინ-
ისტრი ივანე მერაბიშვილი“. მაგიდაზე
რამდენიმე ათეული დიდი ფოტო დევს.
ყველა ფოტო სხვადასხვა დღეს, დღის
სხვადასხვა მონაკვეთშია გადაღებული.
მათზე ხელისგულივით ჩანს პარლამენ-
ტის შენობის წინ მოედანი. ამ ფოტოებს
სპეციალური კამერით იღებენ. შორ ხე-
ლებზე, სამინისტროს თანამშრომლები,
როგორც წესი, მომიტინგეებს სათითა-
ოდ ითვლიან.

საპროტესტო აქციების პირველ დღეს,
მინისტრმა მერაბიშვილმა ინტერვიუ-
ში აღნიშნა, რომ თვალთვალის ასეთი
სისტემით, შესაძლებელია, დროულად
მოხდეს რეაგირება ვითარების დაძაბ-
ვის შემთხვევაში, და ასევე „ინციდენ-
ტების პრევენცია“. „დამონტაჟებული
კამერები შეაჩერებს მას, ვისაც ბოროტ-
მოქმედების ჩადენა უნდა“, — ამბობს
მერაბიშვილი.

თუმცა, საპროტესტო აქციების დანყე-
ბიდან უკვე მესამე დღეს მისი გათვლები
არ გამართლდა.

11 აპრილი

11 აპრილს, დაახლოებით 23 საათზე,
როცა ოპოზიციის ლიდერებმა სააღდ-
გომო დღესასწაულების გამო აქციების
გამართვის დროებით შეწყვეტის შეს-
ახებ გამოაცხადეს, პარლამენტის წინ
მოედანზე უცნობ ადამიანთა ჯგუფი
მივიდა. მათ დაახიანეს ტექნიკური აღ-
ჭურვილობა, მოანგრის სცენასთან
ლობე და ჩამოხიეს პლაკატები. ამ დროს

იქ მერიის დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებიც იმყოფებოდნენ.

რამდენიმე წუთში ადგილზე გაჩნდნენ ოპოზიციის ლიდერები. მათ დაუძახეს ჟურნალისტებს და რამდენიმე ევროპულ ელჩს.

„გიჟები, სულელები! მათ უნდოდათ გააკეთებინათ იგივე, რაც 7 ნოემბერს გააკეთეს“, — ინგლისურად უყვიროდა ნინო ბურჯანაძე სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს პიტერ სემნების.

ოპოზიციის რამდენიმე ლიდერი ირწმუნება, რომ საკუთარი თვალთ ნახა ხელკეტიანი ადამიანები, რომლებიც მათ ცემას ცდილობდნენ. ადამიანთა ეს ჯგუფი ოპოზიციამ მალევე „კოლუას ბანდად“ მონათლა. თუმცა, ოპოზიციამ ვერ შეძლო დამოუკიდებელი მონშეების დასახელება, რომლებიც მომხდარის შესახებ მოჭყვებოდნენ.

იმ საღამოს ოპოზიციის ლიდერებმა განაცხადეს, რომ ხელისუფლებასთან, რომელიც პროვოკაციებს აწყობს, არავითარი დიალოგი არ შედგება. მათ ვიდუოთვალთ გადაღებული კადრების გამოქვეყნება მოითხოვეს.

გვიან ღამით, შსს-მ მართლაც გაავრცელა კადრები, სადაც ასახულია დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებსა და რამდენიმე სხვა ადამიანს შორის შეხლა-შემოხლა. ინციდენტი წარმოადგინეს, როგორც ჩვეულებრივი არეულობა.

ამ კვალიფიკაციამ დიდი პროტესტი გამოიწვია როგორც ოპოზიციაში, ისე საზოგადოებაში. 13 აპრილს ოპოზიციის მიტინგზე აქციის სხვა დღეებთან შედარებით რეკორდული რაოდენობის ადამიანი მივიდა. ოპოზიციის შეფასებით, — რამდენიმე ათეული ათასი, შსს-ს მონაცემებით — 7 ათასი.

„მათ ვიდუოჩანანერის მხოლოდ ბოლო ნაწილი გამოაქვეყნეს, რა ხდებოდა მანამდე, უცნობია“, — განაცხადა ბურჯანაძემ 12 აპრილს.

იმავ დღეს შსს-ს წარმომადგენელმა შოთა უტიანშვილმა განაცხადა, რომ ვიდუოთვალთ გადაღებული მასალა რვა-საათიანია და „ტელევიზიით მისი სრულად ჩვენება შეუძლებელია“. მან ასევე აღნიშნა, რომ „შსს მზადაა ვიდუოჩანანერი აჩვენოს ყველა დაინტერესებულ პირს, მათ შორის, ოპოზიციას“.

„არ ვაპირებ მათთან მისვლას და იქ ყურებას“, — განაცხადა ბურჯანაძემ შს სამინისტროს ამ შემოთავაზების პასუხად. დღემდე ოპოზიციის არც ერთ წარმომადგენელს არ მიუმართავს შსს-სთვის არსებული ვიდუოჩანანერის

ჩვენების მოთხოვნით.

11 აპრილს მომხდარის გამო მთანმინდის პოლიციის სისხლის სამართლის განყოფილებამ ორი მიმართულებით დაიწყო საქმის გამოძიება. როგორც ამ განყოფილების ხელმძღვანელი კოტე ანანიაშვილი ამბობს, საქმე აღძრულია დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებთან ჩხუბისა და ასევე ოპოზიციის ინვენტარის დაზიანების გამო.

„ლიბერალს“ პარლამენტთან დამონტაჟებული სამი კამერის მიერ გადაღებული ვიდუომასალა აჩვენეს (ვიდუოჩანანერის ნაწილი განთავსებულია www.youtube.com -ზე).

კადრებში ჩანს დასუფთავების სამსახურის რამდენიმე მანქანა, რომელიც პარლამენტის მოპირდაპირე მხარეს, ტროტუართან ჩერდება. ორიოდე წუთში, პარლამენტის წინ უკვე თითქმის ცარიელ მოედანზე შავ ტანსაცმელში ჩაცმული 34 ადამიანი ჩნდება. მათი ნაწილი ჩიტაძის ქუჩიდან ჩამოდის.

ისინი ანგრევენ სცენის წინ დამონტაჟებულ ლობეს. ამ დროს პარლამენტის შენობის წინ საპატრულო პოლიციის მანქანა მოძრაობს. მოგვიანებით, კადრებზე ჩანს, რომ ამ ადამიანთა ნაწილი ადის სცენაზე და პლაკატების ჩამოხვევას იწყებს. კადრებზე არ ჩანს, შევიდნენ თუ არა ისინი კარავში, სადაც აპარატურა ინახებოდა.

ამ დროს დასუფთავების სამსახურის მანქანები უახლოვდებიან პარლამენტის წინ მოედანს, სადაც რამდენიმე შავ ტანსაცმელში გამოწყობილ ადამიანთან ერთად იწყებენ დამტვრეული ლობისა და ჩამოხვეული პლაკატების ალაგებას. შავებში ჩაცმული ადამიანების მეორე ნაწილი ნაჩქარევად ადის ჩიტაძის ქუჩაზე.

დაახლოებით 10 წუთში პარლამენტთან ჩნდებიან ადამიანები, რომლებიც იწყებენ ხელჩართულ ჩხუბს დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებთან და რამდენიმე შავებში ჩაცმულ ადამიანთან. სწორედ ამ დროს მოდიან ოპოზიციის ლიდერებიც.

ანანიაშვილის თქმით, საქმის გამოძიებას ის ართულებს, რომ იმ საღამოს, შსს-მ მიიღო გადაწყვეტილება, პარლამენტთან არ გაეგზავნა თავისი წარმომადგენლები, რათა „ვითარების შემდგომი დაძაბვა აერიდებინა თავიდან“.

„დაზიანებული ნივთების ექსპერტიზა არ ჩატარებულა“, — ამბობს ანანიაშვილი, — „ინციდენტის შემდეგ ჩვენთან არავინ მოსულა და არ განუცხადებია თუ რა დაზიანდა. საქმის გამოსაძიებლად მასალა ცოტა გვექონდა“. მისი თქმით,

ასევე უშედეგოდ იძებნებოდა ოპოზიციის აქტივისტი, რომელიც იმ საღამოს პარლამენტთან სცემეს და შემდეგ საავადმყოფოში წაიყვანეს.

აღნიშნული ვიდუოკადრები გადაღებულია შორიდან. შავებში ჩაცმული ადამიანების არც სახეები ჩანს და არც მათი ჩაცმულობის დეტალები. არ ჩანს ისიც, ჰქონდათ თუ არა მათ ხელკეტები. თუმცა, ამ ვიდუოჩანანერების ნახვის შემდეგაც ცხადი ხდება, რომ იმ საღამოს შსს-მ მიიღო გადაწყვეტილება გამოექვეყნებინა ვიდუომასალის მხოლოდ ის ნაწილი, სადაც ოპოზიციის მომხრეთა ბრალეულობა იკვეთება. თუმცა, შანსი, დაემტკიცებინა თავისი სიმართლე, ოპოზიციამაც არ გამოიყენა.

საპროტესტო აქციები თვეზე მეტია გრძელდება და არეულობებში მონაწილეობისთვის მხოლოდ სამი ახალგაზრდა აქტივისტი დააკავეს. მათ ტელეკამერების წინ ჟურნალისტი ნიკა ავალიანი სცემეს. დაკავებიდან ერთი დღის შემდეგ, პოლიტიკური გადაწყვეტილების შედეგად — ისინი გაანთავისუფლეს.

ინციდენტიდან რამდენიმე დღეში, სამივე აქტივისტი და ნიკა ავალიანი თავჩაქინდრულები იდგნენ სამების ტაძარში და ლოცვა-კურთხევას ისმენდნენ პატრიარქისგან. როგორც პატრიარქმა აღნიშნა, მას იმედი აქვს, რომ კანონდამრღვევთა განთავისუფლების ეს ფაქტი პრეცედენტი არ გახდება. ■

**საპროტესტო
აქციების
ადგილებში
დამონტაჟებული
ვიდუოკამერებიდან
მიღებულ კადრებს
დღე-ღამის
განმავლობაში
აკვირდებიან შს
სამინისტროს
შენიშნავი**



სამართალი

შენწყალბის სიები

პატიმართა შეწყალბის პროცესის საზოგადოებრივი და გამჭვირვარი სარკობა.


ნიკო ბაქიშვილი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტს აქვს ერთპიროვნული უფლება შეწყალბოს ნებისმიერი მსჯავრდებული, მიუხედავად მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მოხდელი სასჯელის ვადისა.

2005 წელს „კანონში შეწყალბების შესახებ“ შეტანილი შესწორების თანახმად, „საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია, შეწყალბების შუამდგომლობის (თხოვნის) განხილვის ნებისმიერ სტადიაზე და/ან ამ დებულებით დადგენილი მოთხოვნების დაუცველად მიიღოს გადაწყვეტილება პირის შეწყალბების თაობაზე“. ეს ცვლილება პრეზიდენტს საშუალებას აძლევს გადაწყვეტილება შეწყალბების კომისიისგან დამოუკიდებლად მიიღოს.

მე-15 წელია მუშაობს „შეწყალბების საკითხთა კომისია“, რომლის შემადგენლობაში შედიან სახალხო დამცველი, პარლამენტის წევრები და საზოგადოების წარმომადგენლები. ამ შემადგენლობას თავად პრეზიდენტი ამტკიცებს. კომისიის თავმჯდომარე უკვე ოთხი წელია ელენე თევდორაძეა. კომისიის არსებობის მთავარი არსი შეწყალბების პროცესში, ერთი მხრივ, საზოგადოების ჩართულობა გახლდათ, მეორე მხრივ კი, კომისიის მუშაობა ამ მნიშვნელოვან პროცესს გამჭვირვალეს ხდიდა.

პატიმართა შეწყალბების საკითხებზე საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაშიც მუშაობენ. შეწყალბების მსურველთა საქმეებს იურისტი მზექალა ჭინჭარაული განიხილავს. ის ამბობს, რომ საპატრიარქოში დაწვრილებით სწავლობენ კონკრეტულ საქმეებს და მხოლოდ ამის შემდეგ აღძრავენ შუამდგომლობას საქართველოს პრეზიდენტის სახელზე. მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდლები სასჯელალსრულების ადგილებში დადიან, პატიმრებს ხვდებიან და პირადად ეცნობიან. საპატრიარქო სწორედ მოძღვრების რეკომენდაციებს ითვალისწინებს. თუმცა ამ რეკომენდაციებისგან დამოუკიდებლად სავალდებულო მოთხოვნა ორია: პატიმარი მართლმადიდებელი უნდა იყოს და საკუთარ დანაშაულს უნდა იზანიებდეს. თუმცა არსებობს ხუთი სახის დანაშაული, რომელსაც საპატრიარქო



თავიდანვე არ განიხილავს. ესენია: გაუპატიურება, ანგარების მიზნით ადამიანის გატაცება, დამნაშავეთა სამყაროსთან კავშირი, მკვლელობა და ნარკოტიკების გასაღება. საპატრიარქო აღარ ამოწმებს, თუ ვინ შეიწყალბა პრეზიდენტმა მისი წარდგენილი სიიდან, რადგან ამას სახელმწიფოს საქმეში ჩარევად მიიჩნევენ. საპატრიარქოს მიერ წარდგენილი სიები, როგორც ელენე თევდორაძემ განაცხადა, შეწყალბების კომისიაში არ შედის, პირდაპირ პროკურატურას გადაეცემა. მაგრამ, ამას გარდა, თევდორაძის თქმით, შესაწყალბებელ პატიმართა სიები არაოფიციალურად პროკურატურიდან ფარულად შედის პრეზიდენტთან, რაც პროცესის მონიტორინგს შეუძლებელს ხდის.

თუმცა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსის, ხათუნა იოსავას ინფორმაციით, პროკურატურაში „ამგვარი არაფერი ხდება და მათ ამ სიებთან კავშირი არა აქვთ“, მისი თქმით, ბრალდება იმდენად არასერიოზულია, რომ კომენტარს ამ საკითხზე იუსტიციის სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირები არ გააკეთებენ.

ელენე თევდორაძე ამბობს, რომ შეწყალბება პრეზიდენტის უფლებამოსილებაა და ის, როგორც მისი დანიშნული კომისიის თავმჯდომარე, ვერანაირ პრეტენზიას ვერ წაუყენებს პრეზიდენტს. მაგრამ თვლის, რომ ის სისტემა, რომელიც 2005 წლამდე მოქმედებდა, ნაკლებ გაუგებრობებს იწვევდა: „საათობით ვკამათობთ, თითოეულ

საქმეს ძალიან დიდი ყურადღებით ვსწავლობთ, მხოლოდ ამის შემდეგ ვაყენებთ საკითხს კენჭისყრაზე. ახლა, სააღდგომოდ, 23 ქალ პატიმარს ვაუწნიეთ რეკომენდაცია, აქედან პრეზიდენტმა მხოლოდ 7 შეიწყალბა. რატომ არ დააკმაყოფილა დანარჩენები, არ ვიცი. ბევრი კითხვის ნიშანი ჩნდება. მაგალითად, მკვლელობის მუხლით გაათავისუფლეს ადამიანი, ვისი მამაც კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის მოადგილეა. რა უნდა ვიფიქროთ, რახან თანამდებობა აქვს, მის შვილს ეკუთვნის შეწყალბება და სხვას არა? მაშინ, როცა მხოლოდ ჩვენი კომისია მუშაობდა, იმასაც კი ვადვენებდით თვალს, ჩვენი რეკომენდაციით შეწყალბებულებიდან ვინმე ბრუნდებოდა თუ არა ციხეში“.

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში მითითებულია, რომ 2005 წლის ცვლილების შემდეგ შეწყალბების პროცესი იმდენად გაუმჭვირვალე გახდა, რომ მის აპარატსაც კი უჭირს ინფორმაციის მიღება იმის შესახებ, თუ რამდენი პატიმარია შეწყალბებული. სახალხო დამცველის მოადგილე, გიორგი ჩხეიძე ამბობს, რომ პრეზიდენტი ძალიან არათანაბარ და უსამართლო გადაწყვეტილებებს იღებს — ხშირად მძიმე დანაშაულში ბრალდებულები, მაგალითად, ნარკოტიკების გამსაღებლები და მკვლელობასა და გაუპატიურებაში ბრალდებულები შეწყალბებას ექვემდებარებიან და სხვები, ბევრად უფრო მსუბუქ დანაშაულში ბრალდებულნი, რომელთა საკი-

ფოტო: ს. ჯაფარიძე

თხეხსაც შეწყალების კომისია შეისწავლის და რეკომენდაციას აძლევს — არა. მაგალითად, მსჯავრდებულ ირაკლი ბ.-ს, წარსულში წასამართლევს განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის 2008 წლის 7 აპრილს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლით; მსჯავრდებულ ირმა ხ.-ს 2007 წლის 8 მაისს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 23 წლით. მან აზერბაიჯანში უკანონოდ შეიძინა განსაკუთრებით დიდი ოდენობით (40.909 გრ.) „ჰეროინი“ და საქართველოში შემოიტანა; 2008 წლის 17 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტმა ისინი, ორივენი შეიწყალა. მათ საქმეებზე შუამდგომლობა არ გაუწევია არც საპატრიარქოს და არც შეწყალების კომისიას. ამგვარი ფა-

ქტები დანვრელებითაა აღწერილი სახალხო დამცველის 2008 წლის მეორე ნახევრის ანგარიშში.

სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა საქართველოს პრეზიდენტს შეწყალების საკითხებთან შექმნილი სიტუაციის გამო წერილით მიმართა. მასში ნათქვამია, რომ „პატიმართა შეწყალების სფეროში შეიქმნა სრული განუკითხაობა და ქაოსი. არსებული შეწყალების კომისია გადაიქცა სრულ ფიქციად. განუკითხაობისა და ქაოსის გამო ამ სფეროში ფეხი მოიკიდა როგორც ჩვეულებრივმა, ისე პოლიტიკურმა კორუფციამ. დამკვიდრდა პრაქტიკა, რომელიც, გარდა იმისა, რომ უსამართლო და ამორალურია, აშკარად დანაშაულებრივ ხასიათს ატარებს“.

სოზარ სუბარის აზრით, საჭიროა ისეთი შეწყალების კომისიის შექმნა, რომელსაც პრეზიდენტი თავის უფლებამოსილებას გადასცემს და პრეზიდენტივე დააკომპლექტებს იმ ადამიანებისგან, ვისაც თავად ენდობა და ვის აზრსაც ითვალისწინებს.

„ასეთ შემთხვევაში ნათელი და გამჭვირვალე იქნება სახელმწიფოს და პრეზიდენტის პოლიტიკა მსჯავრდებულთა შეწყალების სფეროში, შეწყალების კომისიას კი დაეკისრება რეალური პასუხისმგებლობა საზოგადოებისა და კანონის წინაშე“. — წერს სახალხო დამცველი პრეზიდენტს, რომელსაც საგანგებო მიმართვა 2 თვის წინ გაუგზავნა, თუმცა პასუხი ჯერ არ მიუღია. **□**

სოციალური სახმორისი

სიღარიბის ზღვარს მიღმა

სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი 80 აქტიური მოსახლის მხარდაჭერით

კომპლექსური მუშაობა და სახმორისი ფიქსირდება >>

რუსუდან ფანოზიშვილი



ფოტო: მარიკა მორიანი

■ სოციალური სახმორისი მუშაობის მხარდაჭერით

ვარკეთილი-2-ის დასახლებაში, მაღალ კორპუსებს შორის ახლად ჩადგმული ნივთიერი აგურის 4 სახლი ისე გამოიყურება, თითქოს, უბანში ახალი, ელიტური სამეზობლო გაჩნდა. არადა, ამ ორსართულიან და კომფორტულ სახლებში სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ადამიანები ცხოვრობენ.

„სოციალური სახმორისი კეთილგანწყობილ გარემოში“ — ასე უწოდებს თბილისის მერიისა და შვეიცარიის განვითარების ფონდის მიერ ერთობლივად განხორციელებულ პროექტს, რომელზე მუშაობაც 2007 წელს დაიწყო. შესახლების პროცესი „ვარკეთილი ორის“ დასახლებაში, 4 ორსართულიან სახლში 5 მაისს დასრულდა.

სოციალური სახმორისი — ეს არ არის ინიციატივა, რომელიც სოციალურად დაუცველ ადამიანებს სამუდამოდ

გადაუჭრის თუნდაც საკუთარი საცხოვრებელი ადგილის პოვნის საკითხს. შვეიცარიის განვითარების ფონდის კავკასიის რეგიონის ხელმძღვანელი ერნესტო მოროსინი პროექტის მიზანს ასე განსაზღვრავს — სოციალურად დაუცველ ფენას განვითარების შანსი ექნება, ისინი თავს დაცულად იგრძნობენ და საკუთარი თავის წარმოჩენაზე დაინტერესდებიან.

ახალ დასახლებაში მარტოხელა დედებიც ცხოვრობენ, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებიც და დევნილებიც. თითოეულ მაცხოვრებელთან ბინების მფლობელობაზე თბილისის მერია 3-თვიან კონტრაქტს დებს. ორ მათგანს კი განსაკუთრებულ უფლებამოსილებას ანიჭებს. ესენი ე.წ. „მასპინძელი ოჯახები“ა. მაცხოვრებლებს შორის სპეციალურად ამორჩეული ორი ოჯახი მერიის თანამშრომლებთან და სოციალურ მუშაკებთან ითანამშრომლებს და საცხოვრისის ყოველდღიურ პრობლემებს მოაგვარებს. ამ ოჯახების წარმომადგენლებს — ნინო ბართაშვილსა და ანჟელა მამულას სახელმწიფო ხელფასსაც გადაუხდის — თვეში 350 ლარს.

ვიდრე საცხოვრებლად აქ გადმოვიდოდა, ანჟელა ქმართან და ექვს შვილთან ერთად 7 წლის განმავლობაში ნუცუბიძეზე, ლტოლვილებისთვის გამოყოფილი საერთო საცხოვრებლის ერთ დიდ ოთახში ცხოვრობდა.

„პირველად სოციალური მუშაკი რომ მოვიდა ჩვენი საცხოვრებელი პირობების დასათვალისწინებლად, აბაზანაში შესვლა მთხოვა“, — იხსენებს ანჟელა, — „მაგრამ აბაზანა არ გვექონდა და მის მაგივრობას ერთი ვედრო გვინევდა“. სტუმრსაც მეორე სადარბაზოს მესამე სართულზე მოუწია ასვლა და საპირფარეოს რიგში დგომა. „მგონი ამან დიდი წვლილი შეიტანა იმაში, რომ ამ სიაში ჩავსვდეს“. — ამბობს ანჟელა.

საცხოვრებლების აშენება და მათი საჭირო პირობებით უზრუნველყოფა მთლიანად შვეიცარიის ფონდმა დააფინანსა. ბინებში შესულებს ავეჯიც დახვდათ, გათბობაც და გაზიც. პროექტის ამ ნაწილზე ერთი მილიონი შვეიცარიული ფრანკი დაიხარჯა. პროექტის მეორე ეტაპი — შესახლება, მოსახლეების ცხოვრებაზე დაკვირვება — თავის თავზე მერიამ აიღო.

ახალ საცხოვრისში დაახლოებით 80 ადამიანი შესახლდა. თბილისში კი, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან არსებული სუბსიდიების სააგენტოს შარშანდელი მონაცემებით, დაახლოებით 135 000 სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ადამიანი ცხოვრობს. ყოველ ორშაბათს მერიას საჩივრით უამრავი ადამიანი აკითხავს, რადგან ზოგიერთი ამტკიცებს, რომ შერჩევა არაობიექტურად მოხდა.



■ ბიორაბი. 80-100 სკოლის ინტეგრირებული კლასი

ზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვისთვის ინდივიდუალურად დგება. პედაგოგებს ერთდროულად ორი ამოცანა შექონდათ – ერთი და იგივე გაკვეთილი ცალკე კლასისთვის უნდა დაეგემათ და ცალკე ამ კლასში მჯდომი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვისთვის. თანაც ისე, რომ 25-30 მონაფიდან მხოლოდ ორი შეიძლება ყოფილიყო შეზღუდული შესაძლებლობებით.

ბევრ სკოლაში მასწავლებლებს სასწავლო გეგმებით მუშაობა დღემდე უჭირთ. გლდანის 160-ე სკოლის პედაგოგის მალვინა სანოძესთვის ინკლუზიური კლასი ფორმალურაა. „ასეთი ბავშვები კლასის მასალას მაინც ვერ ძლევენ. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქვს, მაგრამ დამატებითი მეცადინეობები მაინც სჭირდებათ. ჩემი აზრით, ამ პროექტს უფრო სოციალური დატვირთვა აქვს, ვიდრე საგანმანათლებლო. ბავშვები ერთმანეთს უახლოვდებიან და სწავლობენ, რომ ნაკლის გამო ერთმანეთს არ უნდა დასცილონ“.

მე-60 საჯარო სკოლა ერთ-ერთია იმ სკოლებს შორის, რომლებშიც ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს სრულფასოვნად იყენებენ. კლასის პედაგოგები, სპეციალურ პედაგოგებთან და ფსიქო-

პირველ ეტაპზე ინკლუზიური განათლების პროექტი სიბნელეში სვავდა. სკოლის პედაგოგებისთვის ინკლუზიური განათლების იდეა უხსო და მიუღებელი იყო.

ლოგებთან ერთად, თითოეული ბავშვის დიაგნოზის გათვალისწინებით ადგენენ გეგმებს, ამზადებენ თვალსაჩინოებებს და სასწავლო გეგმებს ყოველ სემესტრში ბავშვების განვითარების დონის მიხედვით აახლებენ.

ამ სკოლაში ინკლუზიური განათლების მოდელი თუ სრულყოფილად მუშაობს, ეს სწორად დაკომპლექტებული გუნდის დამსახურებაა. სკოლას შტატში ჰყავს ფსიქოლოგი, სპეციალური პედაგოგი და ინკლუზიური განათლების კოორდინა-

ტორი, რომლებიც მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების სწავლასა და ინტეგრაციაზე ზრუნავენ. ვარკეთილის 180-ე საჯარო სკოლაში კი ამ გუნდის მუშაობაში სკოლის ლოგოპედიც მონაწილეობს.

სრულყოფილი გუნდი დამატებით სახელფასო ბიუჯეტს ნიშნავს. პროექტის მიხედვით, თითოეულ სკოლას თვითონ უნდა მოეძია თანხები სპეციალური პედაგოგებისა და ფსიქოლოგების დასაქირავებლად, თუმცა, ეს ყველამ ვერ შეძლო. 3 ინკლუზიურ სკოლაში, იმის გამო, რომ სპეციალური პედაგოგის აყვანა ვერ მოახერხეს, პატარებს კლასის მასალის დაძლევაში მხოლოდ ფსიქოლოგები ეხმარებიან. გაკვეთილების შემდეგ ან პარალელურად ისინი ბავშვებს რესურსოთახში ამეცადინებენ.

სკოლებში, სადაც ინკლუზიის სქემა სრულფასოვნად არ მუშაობს, მდგომარეობა ზოგჯერ სახიფათოც ხდება. 21-ე საჯარო სკოლაში მეორეკლასელი გუგა ერთხელ მესამე სართულის ფანჯრიდან ხტებოდა, მასწავლებელმა შემთხვევით მიუხსრო. ამ ამბის შემდეგ, გუგას დედა მთელ დღეს სკოლაში ატარებს. გაკვეთილების დროს დერეფანში იცდის, შესვენებებზე შეიღს არ სცილდება, რომელსაც



ნინო. დიღმის 130-ე სკოლა

ფოტო მარიაა ქორიანაშვილი

ხან ფანჯრის რაფასთან აჩერებენ და ხან – კიბის მოაჯირთან.

მე-60 და 180-ე სკოლების დირექტორების აზრით, გამოსავალი შეიძლება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისთვის ვაუჩერის გაზრდა იყოს, რადგან რეალურად ამ ბავშვებზე ზრუნვას დანარჩენებთან შედარებით მეტი ფინანსები სჭირდება. თუ ბიუჯეტი გაიზრდება, მაშინ ყველა სკოლა შეძლებს სპეციალური გუნდის აყვანას, ასევე ეტლიანი ბავშვებისთვის ტრანსპორტის, პანდუსის და ლიფტის პრობლემის გადაჭრას.

სკოლის ინფრასტრუქტურა და ტრანსპორტი – ეს ინკლუზიურ პროექტში მონაწილე სკოლების მნიშვნელოვანი კომპონენტია. რამდენიმე სკოლას პანდუსის, საპირფარეოს და ტრანსპორტის პრობლემა აბსოლუტურად მოგვარებული აქვს, თუმცა, 3 სკოლაში პანდუსი დამზადებიდან მალევე დაზიანდა, ერთ-ერთ სკოლაში კი ეტლიანი ბავშვებისთვის გამოყოფილ მიკროავტობუსს სანგავისთვის საჭირო თანხის უქონლობის გამო ვეღარ იყენებენ.

დღეს ინკლუზიური განათლების თბილისური პროექტი უკვე დასრულებულია. სკოლებმა ინკლუზიური პროექტის განვითარება ახლა დამოუკიდებლად უნდა შეძლონ. თბილისის მსგავსად, ნორვეგიელებთან ერთად განათლების სამინისტრო ექსპერიმენტის დანერგვას საქართველოს ათ რეგიონში დაიწყებს. სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის წევრის, მაია ბაგრატიონის თქმით, რეგიონულ პროექტში ჯერ საგანმანათლებლო გარემოს მოამზადებენ და

შემდეგ დაიწყებენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ჩართვას სკოლებში. ინფრასტრუქტურის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, ახალ პროექტში სარემონტო თანხებს სკოლებს აღარ გადასცემენ და შერჩეული სკოლების ფიზიკური გარემოს ადაპტაციას თვითონვე უხელმძღვანელებენ. რეგიონულ პროექტში გაითვალისწინებენ იმასაც, რომ ყველა რაიონის სკოლას უნდა ჰყავდეს თითო სპეციალური პედაგოგი მაინც.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პატარებს განათლების ოდნავ სახეცვლილ შანსს არასამთავრობო ორგანიზაცია „პირველი ნაბიჯი“ მისცემს. მათი მიდგომა ეტაპობრივი ინკლუზიაა, რომელსაც ინტეგრირებულ კლასს უწოდებენ. ვიდრე ბავშვებს საერთო სასწავლო პროცესში სრულყოფილად ჩართვებზე, ჯერ სასკოლო გარემოს აჩვენებენ და შესაბამის უნარებს უფითარებენ. ინტეგრირებული კლასი „პირველმა ნაბიჯმა“ მესამე საჯარო სკოლაში გახსნა. ამ კლასში მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები სწავლობენ და დანარჩენ სკოლელებს შესვენებებზე, მუსიკის და ხატვის გაკვეთილებზე ანდა სკოლის სტადიონზე თამაშის დროს ხვდებიან. „პირველ ნაბიჯში“ აცხადებენ, რომ ასეთი კლასები ბავშვებს ნელ-ნელა დაახლოებს ერთმანეთთან, სკოლის პედაგოგებს კი მისცემს დროს, ინკლუზიური განათლების სიახლეს ეტაპობრივად შეეგუონ.

ახლა „პირველი ნაბიჯის“ ინტეგრირებულ კლასში გაკვეთილები ერთად უტარდებთ 6 წლის გიორგისაც და 14 წლის ნინოსაც. მათი განვითარების დონე განსხვავებულია. ნინო უკვე მეოთხე წელია ამ კლასში დადის, გიორგი კი წელს მივიდა. ნინო უკვე ორმოცდაათამდე ითვლის, გიორგიმ კი სულ ცოტა ხანია, რაც სკამზე წყნარად ჯდომა ისწავლა. მათ ჩვეულებრივ კლასებში მხოლოდ მას შემდეგ შეიყვანენ, როცა პედაგოგები მიხვდებიან, რომ პატარები ამა თუ იმ საგნის დაძლევის შედეგად

„ინკლუზია ამართლებს რაც უფრო ადრეული ასაკიდან იწყება“. — ამბობს მაია ბაგრატიონი. ამიტომ პროექტის თანამშრომლები გეგმავენ, ინკლუზიური განათლება პირდაპირ საბავშვო ბაღიდან დაიწყონ. მშობლებმა უნდა იცოდნენ, რომ მათ შვილებს სკოლამდელი და სასკოლო განათლების მიღება უკვე არა სპეციალურ ინსტიტუციებში, არამედ ჩვეულებრივ ბაღებსა და სკოლებში შეუძლიათ.

ფოტო მარიაა ქორიანაშვილი

დღეს ინკლუზიური განათლების თბილისური პროექტი უკვე დასრულებულია. სკოლებმა განვითარება ახლა დამოუკიდებლად უნდა შეძლონ.

ნინო. მაისა სკოლის ინტეგრირებული კლასი





ინიხიაჰივა

პატარა გორი დიდია...

რა ვაყვით სტალინის ძეგლს? >>

ავტორი: შოთა გაბაიანი

აგორდა ინფორმაციული კამპანია სტალინის ძეგლის გარშემო. გამოიკვეთა 3 ძირითადი, ასე თუ ისე თანაბრად აქტუალური პოზიცია:

1. სტალინის ძეგლი გორში არ უნდა იდგეს, ძეგლის არსებობა მორალური დანაშაულია, ჩადენილი რეჟიმის მსხვერპლთა ნათესაების, პროდასავლური კურსის ან, უბრალოდ, ყველა ქრისტიანის მიმართ.

2. ძეგლი უნდა იდგეს, რა აზრი აქვს საკუთარ წარსულზე უარის თქმას. ბევრი თაობა აღიზარდა „ბელადი ცოცხლობს“ ტიპის ლოზუნგებზე და ამ ადამიანებისთვის სტალინის მითის დანგრევა მამის მოკვლის ტოლფასია.

დაბოლოს, ჩემთვის, როგორც ამ ქვეყნის ერთ-ერთი, მართალია, ლიბერალი, მაგრამ მაინც — შეილისთვის, ყველაზე მიზიდველი მოსაზრება:

3. სტალინის ძეგლის არსებობაში საგანგაშო არაფერია, თუ ეს ძეგლი საკრალისტური ხასიათის არ იქნება. თუ ის იქცევა ჩვეულებრივ, ტურისტულ ობიექტად, ისევე, როგორც ბევრ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში.

სტალინის პიროვნების ბნელ და ნათელ მხარეებზე საუბარი მონტეფიორესთვის მიმინდვია. არ აქვს მნიშვნელობა, ეს კერპი სტალინის იქნება გორში, არმაზის — მცხეთაში, ლენინის — თავისუფლების მოედანზე თუ იმავე პედესტალზე აღმართული წმინდა გიორგი.

სტალინის ძეგლის ჩამოგდება ცვლის რამეს? დანგრევა სტალინი, როგორც მენტალური პრობლემა, თუ ამჯერადაც მხოლოდ მისი დასკლინისტული მონუმენტის ჩამოგდება შემოვიფარგლებით? ან საერთოდ არსებობს სტალინი, როგორც მენტალური პრობლემა? თუ უკვე მოხდა მისი დეკონსტრუირება და შედეგად წარმოშობილი იდეოლოგიური ვაკუუმის სხვა ტოტემით ამოვსება?

ვერ გეტყვით. სამაგიეროდ, გეტყვით ერთ იდეას, რომელიც სამივე პოზიციას შეარიგებდა. ამ ქვეყანაში არსებობს ბევრი

მღვიმე და გამოქვაბული, რომელთაგანაც უმრავლესობას არანაირი კულტურულ-ისტორიული ღირებულება არ გააჩნია. მოვკრიფოთ ეს ჩვენი ძველი დიდების ნაშთები ქუთაისიდან, ტყიბულიდან, გორიდან და შევარჩიოთ რომელიმე გამოქვაბული, როგორც საექსპოზიციო სივრცე კონცეფციით: გამოქვაბული, როგორც პრეისტორიული ნაშთი, თანაც, სამარხი. წარმოიდგინეთ, ირგვლივ ველური ბუნება, ახლოს — კარგი, ნახევრადცივილური ქართული რესტორანი, ზევით ცა, ქვემოთ ბალახი. თუ ცუდი ამინდია, დარბაზში შეხვალთ, დაბალ მაგიდებთან დასხდებით. მწვადი, ხაჭაპური, ხინკალი, რესტორნის საფირმო „ბლუდა“ ბელადის მიერ აგერეგ დაფასებული „ჩქმერული“. ირგვლივ სუვენირები — ჩიბუხი, მისანებებელი უღვამები, კაკლის მურაბა. ოცდაათიანი წლების ბოლოს, ჯერ „პრავდაში“, მერე ყველა საბჭოურ ჟურნალ-გაზეთში იყო გამოქვეყნებული ფოტო სახელწოდებით „სვეტლანას უყვარს მურაბა“. მშვენიერი ეტიკეტია. მუზეუმის სახელწოდება — კერპების გამოქვაბული. გაგიჟდებიან ტურისტები! გასასვლელზე დაწერ love ideals, not idols ან რამე სხვა პოპულისტურ კალამბურს.

ან უკეთესი! სტალინის ის პატარა ქოხი შევადგოთ თვითმფრინავში და ჰაიდა კომუნისტურ ჩინეთში. ერთი თვე დადგამ პეკინში. შესვლა — ლარი. მერე შანხაიში, ფასი იგივე და ასე, მოვატაროთ მთელი ჩინეთი. ეგეც შენი პროფიციტული ბიუჯეტი.

მოკლედ, მგონი მსგავსი გადმონაშთების პროფანიზება და კომერციალიზებული „ხუმრობანი“ მათი დესაკრალიზაციის საუკეთესო და ყველაზე მიზანშეწონილი ხერხია. დანგრევის მსურველებიც გაიხარებენ და მონინალმდეგეებსაც არ ვაწყენინებთ. პატარა, ოთხკუთხედ, ნაცრისფერ ქალაქში ამ ძეგლის არარსებობა კი, უფრო კონტრასტული და დამთრგუნველი იქნება, ვიდრე პატარა რემინისცენცია, რომელიც პატარა სოსოს, პატარა ოინებს მოგვაგონებს. ბოლოს და ბოლოს, პოსტ მოდერნის ეპოქაში ვცხოვრობთ.



გარიგე

ზარალი, რომლის ფულით არ იზოვება

ავვისტოს თვის ერთს ბაჩანილი ხანძარი ჯერ არს სახარტიეროვნად შეაფასებენ და არს გარემოზე ზემოქმედების კითხვით >>

ნინო რობაქიძე



ფოტო: თინათინ მარსია

■ ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკი ომის ვაჟაძე.

ომის დროს რუსული სამხედრო თვითმფრინავები ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკსა და ატენის ტყეებს მორიგეობით უკიდებდნენ ცეცხლს. ტყეები 25 დღე იწვოდა და მთლიანად 1100 ჰექტარზე მეტი განადგურდა. ეს ტერიტორია საქართველოს ტყეების მხოლოდ 0,04 პროცენტია, მაგრამ ის რეგიონის ეკოსისტემისთვის, მცენარეთა და ცხოველთა ჯიშების მრავალფეროვნებისთვის უმნიშვნელოვანესია. ბორჯომის, ატენის, სურამის, კოჯრის, ხარაგაულის, ხაიშის ტყეებში ხანძარმა გაანადგურა იშვიათი მცენარეები, რომლებსაც ლოკალური კლიმატის ფორმირებისთვის განსაკუთრებული ფუნქცია აქვს. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, რომელიც ორ წელზე მეტია მსოფლიო მნიშვნელობის PAN Park-ების ქსელის ნაწილია, ყველაზე მეტად დაზარალდა. ხანძრის სამი კერა ნაკრძალის

ტერიტორიაზე იმდენად ძლიერი იყო, რომ განადგურდა არამარტო ხეები, არამედ ნიადაგიც, რის აღდგენასაც ნახევარ საუკუნეზე მეტი დასჭირდება. დასახლებულ პუნქტებთან ტყის განადგურებას ნიაღვრებისა და ზეგვების გახშირება შეიძლება მოჰყვეს. განსაკუთრებით საშიშია წალვერის მონაკვეთი. ამიტომაც გაჩნდა ეკომიგრაციის რეალური საფრთხე წალვერის და ლიკანის პოპულარული საკურორტო ტერიტორიებიდან. დღეს დამწვარი ტყის მასივების განსაკუთრებით რთული უბნები ხელუხლებელია, რადგან არ არსებობს კვალიფიციური რეკომენდაციები რეაბილიტაციის პროცესის დასაწყებად. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო დეტალურ საექსპერტო შეფასებას და კონკრეტულ რეკომენდაციებს შემდეგი მოქმედებებისთვის ავსტრიელი ექსპერ-

ტის ჰელმუტ შტიანენდერისგან ერთ თვეში ელოდება. დამოუკიდებელი ექსპერტი საქართველოში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის გოგა ხაჩიძის ინიციატივით სწავლობდა დამწვარი ტყეების მდგომარეობას ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკის ტერიტორიაზე. „ჩვენ დარწმუნებულეები უნდა ვიყოთ, რომ რასაც ვაკეთებთ, სწორია“. — თქვა მინისტრმა. ამასობაში გამწვანების აქციები პერიოდულად ტარდება დამწვარი ტყეების იმ უბნებში, სადაც ხანძარმა ბოლომდე ვერ გაანადგურა მცენარეული საფარი და ნიადაგი. ომის დასრულების შემდეგ მინისტრები და პარლამენტარებიც მორიგეობით ჩადიოდნენ ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკში და ხეებს რგავდნენ. თუმცა, ექსპერტების მოსაზრება მაშინვე ცალსახა იყო. ისინი მიიჩნევდნენ,

რომ ხანძრით დაზიანებულ ტერიტორიაზე დაუშვებელი იყო არაპროფესიონალთა თვითნებური ჩარევა. საჭირო იყო მდგომარეობის მეცნიერული შესწავლა და სწორი სტრატეგიის შემუშავება.

სექტემბრის ბოლოს ომის დროს გადამწვარი ტყეების შესახებ ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი გამოქვეყნდა. კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელმა CENN ხანძრის შედეგად საქართველოს გარემოსთვის მიყენებული ზიანის წინასწარი შეფასებები მოამზადა. ოქტომბრის დასაწყისში კი უთოსა და გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის სპეციალურმა მისიებმა წარმოადგინეს შექმნილი სიტუაციის ერთობლივი მიმოხილვა და რეკომენდაციები.

ორივე დოკუმენტის მიხედვით, ზარალი, რომელიც საქართველოს ბუნებას აგვისტოს ომის დროს მიაღწა, ძალიან მნიშვნელოვანია არამარტო ლოკალური თვალსაზრისით. ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკისა და დაბა ბორჯომის მიმდებარე დასახლებული პუნქტების: ლიკანისა და ნალერის ტყეების დანგმამ, უიშვიათესი მცენარეებისა და ცხოველების განადგურებასთან ერთად, რეგიონის ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების შესწავლიც შეამცირა. ადგილობრივი მოსახლეობის 90%-ის შემოსავლები მთლიანად ტურიზმზე იყო დამოკიდებული. ბორჯომის რაიონის მუნიციპალიტეტის წინასწარი მონაცემებით კი, რეგიონისათვის ხანძრით მიყენებული ზარალი 30 მილიონამდე აღწევდა.

ცეცხლის ჩაქრობის შემდეგ აქტიურად ცდილობდნენ, დამწვარი ტყეების ზარალი ფულად ერთეულში შეეფასებინათ. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს პირველადი მონაცემებით, ზარალი მილიარდ ევროს აღემატებოდა. მოგვიანებით ეს ციფრი ხან გაიზარდა და ხან შემცირდა, თუმცა დღეს სამინისტრო აცხადებს, რომ ძნელია ზარალის ზუსტი გამოსახვა ვალუტით. ექსპერტების აზრით, დამწვარი ტყის მასივების მნიშვნელობა ეკოლოგიური და ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით იმდენად დიდია, რომ თავისუფლად შეიძლება ზარალი შეუფასებლად ჩაითვალოს.

ამიტომაც საერთაშორისო ორგანიზაციებისა და არასამთავრობო სექტორის რეკომენდაციებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მათ შესრულებას ნაწილობრივ მაინც უნდა გაენიჭებინათ ტყეების ხანძრის შედეგები. თუმცა CENN-ის ორგანიზებით მომზადებულ დოკუმენტშიც და უთოსა და გაეროს მოხსენების რეკომენდაციების ნაწილშიც საუბარია ძირითადად

იმაზე, თუ მომავალში როგორ ავიცილოთ თავიდან ბუნებრივი კატასტროფები. როგორ უნდა შემუშავდეს ტყის ხანძრებზე რეაგირების გეგმა, რომელშიც დეტალურად იქნება გათვლილი პასუხისმგებლობები. ტყეებში გაჩენილი ხანძრის შემდეგ ყველამ დაინახა, რომ ქართული მხარე ასეთი მასშტაბის საფრთხეზე ეფექტური რეაგირებისთვის აბსოლუტურად მოუმზადებული იყო. ბორჯომის ტყის დაცვა კი ჩვენს ქვეყანას იმ საერთაშორისო ბუნებისდაცვითი კონვენციებთანაც ევალება, რომლის მონაწილეც არის.

უკვე გადამწვარი ტყეები სამართლებრივადც განიხილეს. ყოველგვარი წინასწარი შეფასებების გარეშე, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 2008 წლის 23 სექტემბერს, გაეროს გენერალური

ეკოციფიზა საუბარი საქართველოს მთავრობისთვის პოლიტიკური ბრძოლის ნაწილი უფრო იყო. აგვისტოში გადაწვარი ტყეების სახველად მთავრობა რეკომენდაციებს ჯერ კიდევ ელოდება.



ფოტო: დავით მუსაი

ასამბლეის 63-ე სხდომაზე ხანძარს ეკოციფი უწოდა: „დღეს, როდესაც მთელი მსოფლიო აცნობიერებს კლიმატური ცვლილებებითა და ეკოლოგიური რღვევით გამოწვეულ საფრთხეს, საქართველოში მოწმე ვართ ეკოციფის საზიზღარი კამპანიისა, რომელიც რუსეთის აგრესიის ნაწილია. მე მჯერა, რომ ეს არის ჩვენი საერთო პასუხისმგებლობა, შესაბამისი პასუხი გავცუთ ამგვარ ქმედებებს“. იმავე პერიოდში კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის ექსპერტები საქართველოს მთავრობას ურჩევდნენ, ეჭვქვეშ დაეყენებინა რუსეთის წევრობა საერთაშორისო გარემოსდაცვით კონვენციებსა და ორგანიზაციებში. საქართველომ კამპანია რუსეთის წინააღმდეგ მაშინვე წამოიწყო. ჰააგის საერთაშორისო სასამართლოში შეტანილი სარჩელი და ბუნების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში რუსეთის მხილება ამ კამპანიის ნაწილი იყო.

ეკოციფი არის: ბუნების მასობრივი განადგურებისთვის ბირთვული, ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის გამოყენება, სტიქიური უბედურებების გამოწვევის მცდელობა, ტყის მასივების განადგურება კლიმატის შეცვლის და ამ გზით ეკომიგრანტების გაჩენის მიზნით. ეკოციფს არც სამხედრო-სტრატეგიული მიზნები ამართლებს, რადგან, როგორც გენოციდი, ეკოციფიც არის დანაშაული კაცობრიობის წინაშე.

ეკოციფი უმეტეს შემთხვევებში შეიარაღებულ კონფლიქტებს უკავშირდება, მაგრამ ამ დანაშაულის დამტკიცებაც პროცედურულად რთულია და წლები სჭირდება. ვიეტნამის ომის დროს ამერიკის მიერ განხორციელებულ ეკოლოგიური განადგურების სტრატეგიას ვიეტნამის ტერიტორიის 20%-ზე მცენარეული საფარის სრული განადგურება მოჰყვა, რაც გენოციფის ტოლფასი იყო და მაშინაც კი ამერიკა მხოლოდ გააკრიტიკეს და მისი ნამოქმედარისთვის ეკოციფის შეფასება არ მოუციათ.

საერთაშორისო თანამეგობრობისთვის საქართველოში ეკოციფის ფაქტის დამტკიცება, მთავრობის მცდელობის მიუხედავად, ვერ მოხერხდა. ეკოციფზე საუბარი საქართველოს მთავრობისთვის პოლიტიკური ბრძოლის ნაწილი უფრო იყო. აგვისტოში გადამწვარი ტყეების სახველად კი მთავრობა კონკრეტულ რეკომენდაციებს ჯერ კიდევ ელოდება. ჰარალეულურად, ხან უცხოელ სტუმრებთან და ხან სხვადასხვა ორგანიზაციასთან ერთად, დამწვარი ტყეების ფერდობებზე გამწვანების აქციები გრძელდება. ■



ფოტო: მარინა უროლაშვილი

უკრაინი ქონების ბაზარი

მენაშენე კომპანიების სტრატეგია - პოლოდინი

კრიზისი ქართული უძრავი ქონების ბაზარზე საშენებლო საქმეების არასწორი ფინანსური მენეჯმენტის პრაქტიკა. >>

ნათია ახალავილი

2007 წელი და 2008 წლის პირველი ნახევარი ქართული დეველოპერული და სამშენებლო კომპანიებისათვის საუკეთესო პერიოდი იყო. ეს ის დროა, როდესაც თბილისის ყველა უბანში აღმართული ამნეები შეუჩერებლად მუშაობდნენ, ახალი კარკასები კი თითქმის ყოველდღიურად მიიწევიდა ზევიტ. მაშინ მშენებლობები რეგიონებშიც დაიწყო. თვითონ კომპანიების წარმომადგენლები აღიარებენ, რომ 2007-08 წლები მათი ზრდისა და წარმატების პიკი იყო.

დღეს სამშენებლო სექტორში კრიზისია. მენაშენეები აღნიშნავენ, რომ შარშანდელთან შედარებით გაყიდვები 75-80 პროცენტით შემცირდა. უძრავი ქონების ბროკერები კი უფრო მძიმე სურათს ხატავენ და აცხადებენ, რომ დასრულებულ სახლებზე მოთხოვნა 90

პროცენტით შემცირდა, ხოლო მშენებარე სახლებზე – თითქმის აღარ არსებობს.

ბინათმშენებლობის სექტორში პრობლემების მთავარი გამომწვევი მიზეზი გაყიდვების მკვეთრი შემცირებაა, რაც რამდენიმე ფაქტორმა გამოიწვია:

მსოფლიოში მიმდინარე ფინანსური კრიზისის გამო ქვეყანაში მკვეთრად შემცირდა უცხოური ინვესტიციების შემოსვლა, რის გამოც, შეჩერდა სხვადასხვა ტიპის პროექტები და, შესაბამისად, საქართველოს მოსახლეობაში შემცირდა გარე-ინვესტიციებიდან მისაღები პირდაპირი ან არაპირდაპირი შემოსავლები.

მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა დიდი გავლენა იქონია საზღვარგარეთ მომუშავე საქართველოს მოქალაქეების შემოსავლებზე. უცხოეთში და-

საქმეული ქართველების მიერ გამოგზავნილი თანხებით შექნილ უძრავ ქონებას საკმაოდ დიდი წილი ეკავა.

ამას თან დაერთო ჯერ აგვისტოს ომი, შემდეგ კი ქვეყნის შიგნით დაძაბული პოლიტიკური ვითარება. ქვეყანაში გაიზარდა უმუშევრობა და, პარალელურად, ბანკებისგან იპოთეკური სესხების მიღებაც გართულდა. ამ ყველაფრის ფონზე კი მენაშენე კომპანიებმა უკვე წამოწყებული სამშენებლო პროექტების დაფინანსება ვეღარ შეძლეს, რადგან მშენებლობის პროცესის დიდი ნაწილი ძირითადად ამ ორი წყაროდან ფინანსდებოდა: ე.წ. ფართების წინასწარი გაყიდვებით და საბანკო თუ სხვა საფინანსო ინსტიტუტებიდან მიზიდული რესურსებით.

მშენებლობის პროცესის დაფინანსების შეწყვეტამ გამოიწვია ის, რომ ახლად წამოწყებული მშენებლობების ნაწილი საერთოდ დაკონსერვდა, ზოგის დასრულების ვადა კი გადაინია.

პირველ რიგში, კრიზისი მაღალი კლასის მშენებლობებზე აისახა. პირ-

ველი ა+ კლასის მრავალფუნქციური (საოფისე და სავაჭრო) კომპლექსის „პიქსელ 34“-ის დეველოპერ კომპანია „ტრანსინვესტ კაპიტალ ჯორჯიაში“ აცხადებენ, რომ გაყიდვების კლება ბაზარზე ომამდე დაიწყო, ომის შემდეგ კი, უფრო შემცირდა.

„შენობის დიდი ნაწილი 2008 წლის აგვისტომდე უკვე გაყიდული გვექონდა, მაგრამ დარჩენილია ფართები, რომელთაგანაც ომის შემდეგ სულ რამდენიმე გაიყიდა. ჩვენი პროექტი ექსკლუზიურია, ცოტა ძვირია და ცხადია, ეს ფაქტორიც მოქმედებს“, – აცხადებს „ტრანსინვესტ კაპიტალ ჯორჯიაში“ გენერალური დირექტორი ირაკლი ქათამაძე.

„ცენტრ პოინტი ჯგუფს“ 30 მიმდინარე პროექტი აქვს. კომპანია ერიდება დაკონსერვებული მშენებლობების ზუსტი რიცხვის დასახელებას, მაგრამ აღიარებს, რომ რამდენიმე მათგანი შეჩერებულია; მაგალითად – ქობულეთის პროექტი. თუმცა ის მცირეოდენი მყიდველები, რომელთაც თანხები უკვე გადახდილი ჰქონდათ, კომპანიამ სხვა პროექტებში გადაიყვანა – ბათუმსა და ლიკანში.

„დეველოპერული პროექტები, რომელთა არქიტექტურული ბაზაც უკვე მოგვარებული იყო და სამშენებლო ნებართვებიც არსებობდა (სასტუმრო კომპლექსი მარნეულში, ლაგოდეხში) ამ ეტაპზე დროებით დაკონსერვებულია. თუმცა, ეს დროებით უკვე ნთვზე მეტია გრძელდება“. – აცხადებს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი თიკა რუხაძე.

კომპანიაში აცხადებენ, რომ გაყიდვები 2008 წლის აგვისტოდან შემცირდა, მაგრამ განსაკუთრებით იკლო 2009 წლის თებერვლის ბოლოდან. თიკა რუხაძის თქმით, წლევანდელი გაყიდვები 2007 წლის ამავე პერიოდის გაყიდვების მხოლოდ 20 პროცენტს შეადგენს.

კომპანია „აქსისში“ აცხადებენ, რომ წინა წლის პირველ კვარტალთან შედარებით, გაყიდვები ამ წლის პირველ კვარტალში 70 პროცენტითაა შემცირებული. მაშინ, როცა „აქსისი“ თვეში 3 ათასი კვ.მ.-ის ფართს ჰყიდდა, 2008 წლის ნოემბერში კომპანიამ მხოლოდ ერთი ბინა გაყიდა. ნოემბერი „აქსისისთვის“ ყველაზე ცუდი თვე იყო. დეკემბრიდან მდგომარეობა ოდნავ შეიცვალა, მაგრამ კრიზისი არ დასრულებულა. „აქსისში“ აცხადებენ, რომ

მათი პროექტები ყველგან გრძელდება, თუმცა, შენედა ტემპი. კომპანია მინიმუმ 6 თვის დაგვიანებით შეძლებს სახლების ჩაბარებას.

„ჩვენი მუშაობის სტრატეგია ასეთია — კომპანიას აქვს რესურსი, რომ რაღაც პერიოდს გაუძლოს. დღეს არსებული რესურსით ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ წელიწად-ნახევარზე, შესაძლოა მეტზეც. ამის გარდა, გვაქვს კიდევ დამატებითი რესურსებიც, რომელიც ჯერ არ გამოგვიტანია გასაყიდად. ვცდილობთ, დრო გავწყოთ“, – აცხადებს „აქსისის“ მარკეტინგის მენეჯერი რევაზ ნიჭარაძე.

„აქსისში“ ფიქრობენ, რომ კრიზისიდან გამოსასვლელად ლოდინის გარდა ვერაფერს გააკეთებენ. საჭიროა დაცვა, ვიდრე ეკონომიკის სხვა დარგები არ ამუშავდება. „მშენებლობა და დეველოპმენტი ფაირით არის ეკონომიკაში, კრიზისის პირველი დარტყმა ყოველთვის მას ხვდება. მაგრამ მხოლოდ დეველოპმენტი ვერ გამოასწორებს სიტუაციას. ყველაფერი იწყება ბანკიდან, იმ შემთხვევაში, თუ ბანკს არ აღუდგა წრებრუნვა, ჩვენ ვერაფერს გავხდებით“, – ამბობს რევაზ ნიჭარაძე.

დამოუკიდებელი ანალიტიკოსი დემურ გიორხელიძე ფიქრობს, რომ უძრავი ქონების ბაზარზე შექმნილი კრიზისის არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზია სამშენებლო სექტორის არასწორი ფინანსური მენეჯმენტიც. სწორი მენეჯმენტის შემთხვევაში, კომპანიებს უნდა შეძლებოდათ, პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, რამდენიმე თვის მარაგით მუშაობა. „კომპანიები, წესით, ასე ერთი ხელის დარტყმით წარმოქმნილ პრობლემებს გაცილებით უფრო გრძელვადიან პერსპექტივაში უნდა უმკლავდებოდნენ“, – აცხადებს ის.

ექსპერტი დიდ შეცდომად მიიჩნევს საბანკო კრედიტების გაცემის შერბილებულ პირობებსაც – „ეს პროცესი არ იყო გამაგრებული ჩვენი მოქალაქეების შემოსავლების დონითა და სტაბილურობის ხარისხით. ამიტომ, გარკვეული პერიოდი ამ „ბუშტმა“ საკმაოდ დიდ ზომას მიაღწია და გასკდა“. – ამბობს დემურ გიორხელიძე.

მისი აზრით, ბოლო რამდენიმე წელში უძრავი ქონების ბაზარზე ფასების ფანტასტიკური ზრდა საღ, გრძელვადიან ბიზნესს ვერ განავითარებდა. „უძრავი ქონების პირველად ბაზარზე მოგება დანახარჯების ოთხმაგ და

ხუთმაგ ოდენობას აღწევდა. ასეთი რამის ატანა ეკონომიკას არ შეუძლია. ჩვენ შესანიშნავად ვიცით, რა ჯდება ერთი კვადრატული მეტრის შენება. ახალი მასალებისა და ტექნოლოგიებისგან ქართული მშენებლობა ძალიან შორსაა. ამიტომ დანახარჯები ძალიან მცირე იყო და ფასების ხელოვნური ზრდის გამო მოგების მიღების შესაძლებლობა, ჰაერის რეალიზაციით — იყო უზარმაზარი. ეს აიტანა ეკონომიკამ გარკვეული დროით და შემდეგ სისტემა დაინგრა. კრიზისების მიუხედავად, ადრე თუ გვიან ეს მაინც მოხდება“.

ექსპერტის აზრით, ცვლილებებია საჭირო სამშენებლო ბიზნესის შესახებ კანონმდებლობასა და კომპანიების მართვის სისტემებშიც. „სამშენებლო ბიზნესი ძალიან მსხვილმა კომპანიებმა უნდა ანარმოონ“.

კრიზისული მდგომარეობიდან გამოსასვლელად პირველ რიგში პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისები უნდა დაიძლიოს. ხელისუფლებამ ბანკებსა და კერძო ბიზნესს ხელი უნდა შეუწყოს, არა პირდაპირ ფულის ჩამორიგებით, არამედ ბანკებისთვის გარკვეული პირობებით თანხების მიცემით. ამ თანხებით კი ბანკები საქართველოს ეკონომიკის ფინანსირებას დაიწყებენ, რაც უძრავი ქონების ბაზრის გამოცოცხლებას შეუწყობს ხელს.

დღეს მყიდველსაც და გამყიდველსაც საუკეთესო გამოსავლად მოლოდინი მიაჩნია. უძრავი ქონების პოტენციური მყიდველები ფასების კლებას ელოდებიან, გამყიდველები – გაყიდვების ზრდას, ყველა ერთად კი – პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისების დაძლევისა. ■

ბოლო რამდენიმე წელში უძრავი ქონების ბაზარზე ფასების ფანტასტიკური ზრდა საღ, გრძელვადიან ბიზნესს ვერ განავითარებდა. ბანკების მოგება დანახარჯების ოთხმაგ და ხუთმაგ ოდენობას აღწევდა.

მეცნიერება

სინამდვილის განჯადოება — ქართული მეცნიერების წარსული, ანგუო და მომავალი

მიხედავებ ნიოსა, რომ ქართული მეცნიერება ასეთი სწობაში რა წარმატებული არასდროს ყოფილა, მსოფლიო რეჟინგებში ის მაინც ერთ-ერთ ბოლო ადგილს იკავებს.>>

გიგი თევზაძე

კითხვაში განვრთნილი მკითხველი მიხედება, რომ სათაურის ამ ფორმას ბევრი საერთო აქვს მე-19 და მე-18 საუკუნის ტექსტებთან. ასევე, თვალში მოხედება უცნაური სიტყვა — განჯადოება, რომლის მნიშვნელობაც ალბათ ინტუიციურად ესმის, მაგრამ 100 წელზე მეტი ხნის წინანდელი სტილის დასათაურებაში ამ ნეოლოგიზმის შემოჭრა ალბათ აფიქრებს და მათ შორის კავშირზე კითხვას აღძრავს. განჯადოება სოციალურ მეცნიერებაში მაქსველერის მიერ შემოტანილი ცნებაა (Entzauberung) და ნიშნავს სამყაროს სურათის ცვლილებას — რელიგიასა და სასწაულებზე ორიენტირებული მსოფლმხედველობიდან რაციონალიზმზე ორიენტირებულ მსოფლმხედველობაზე გადასვლას. სიტყვა „განჯადოება“-ს ვებერისეული პირვანდელი მნიშვნელობით ვიყენებ და ვინცებ მსჯელობას ქართული მეცნიერების შესახებ — იმ წარმოდგენებზე ორიენტაციით, რომლებიც დღეს არსებობს ჩვენს საზოგადოებაში, და რომელთა უმეტესობაც — ვეცდები დავამტკიცო — უმსჯელობებსა და საზოგადოებრივი კონიუნქტურისადმი გაუაზრებელ მორჩილებაზე დაყრდნობილი.

საქართველოში საქართველოს მეცნიერების შესახებ ჩვენ გარშემო არსებული წარმოდგენების დაწურვა შემდეგ გამოთქმებზე შეიძლება:

პირველი: საქართველოში მეცნიერება ძალიან მაგარი იყო საბჭოთა დროს, იმიტომ, რომ მაშინ სახელმწიფო დიდ ყურადღებას აქცევდა მეცნიერებას;


მეორე: დღეს ქართული მეცნიერება დაკნინებულია, იმიტომ, რომ სახელმწიფო აუქმებს მეცნიერებათა აკადემიას და არ აქცევს ყურადღებას მეცნიერებს;

მესამე, რომელიც პირველის და მეორეს სინთეზივითაა: საქართველოში დღესაც მსოფლიო დონის მეცნიერებაა, საკმარისია ფული მივცეთ, და საბჭოთა კავშირის დონეს მალე დავუბრუნდებით.

ეს სამი დებულება თუ მოსაზრება მნიშვნელოვან მითიურ ფენას აჩენს ქართული საზოგადოების წევრების აზროვნებაში:



შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ ამ სამ დებულებას ყველა ეთანხმება — მეტ-ნაკლები ვარიაციებით: მაგალითად, ხელისუფლების წევრმა ან მისმა გულშემატკივარმა შეიძლება თქვას, რომ „ძნელია საბჭოთა კავშირის დონის მიღწევა მეცნიერებაში — მაშინ ხომ ქვეყანა უზარმაზარ რესურსებს ფლობდა“. ამას შემდეგ მოჰყვება საუბარი იმ კონტაქტებზე და ლაბორატორიებზე, რომელიც „იმ დროს“ იყო, და ა.შ. იმავეს იტყვის ხელისუფლების მოწინააღმდეგე, ან უბრალოდ ე.წ. „ნეიტრალური“ ადამიანი. ეს ერთსულოვნება იმდენად თვალში საცემია — ჩვენს საზოგადოებაში არსებულ ტოტალურ „ერთმანეთთან-არაფერში-დათანხმების“, საზოგადოებრივი ინტერესების რამდენიმე საერთო მნიშვნელოვან დაუყვანლობის ფონზე, რომ სოციალურ მეცნიერებაში ოდნავ განსწავლულიც კი აუცილებლად იტყვის — აქ საქმე გვაქვს საკმაოდ ძლიერ მითთან. დავამტკიცებთ ამ მითს ქართული მეცნიერების შესახებ, თუ უარყოფთ, მაინც დავდგებით განჯადოების გზაზე: უარყოფის შემთხვევაში კამათს და დისკუსიას მაინც მივიღებთ ამ მითის



1. სპარტოპელოს სახელით
გამოქვეყნებული ნაშრომები
1975 წლიდან დღემდე

ამ ცხრილში 70-დან 100-მდე რიცხვები ნიშნავს
1975 და მის მომდევნო წლებს.
100 და მის ზემოთ რიცხვები ნიშნავს
2000 და მის მომდევნო წლებს.

შესახებ, რაც მითს დაასუსტებს მაინც, ხოლო დამტკიცების შემთხვევაში – მითი უკვე აღარ იარსებებს და შესაძლებელია, საზოგადოებას ამით სხვა საკითხებზე შეთანხმების მნიშვნელოვანი, ვერიფიცირებული დასაყრდენი გამოუჩნდეს.

მითობა

თანამედროვე სამეცნიერო სამყაროში მეცნიერის, მეცნიერთა ჯგუფის თუ მთლიანად ქვეყნის მეცნიერთა მიღწევების გაზომვის უტყუარი რაოდენობრივი მეთოდი არსებობს და მას „ბიბლიომეტრიული ანალიზი“ ჰქვია. ამ მეთოდის მიხედვით, მეცნიერული მუშაობის ინდიკატორი ძირითადად ორია: მეცნიერის ავტორობით გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობა და ამ მეცნიერის ნაშრომების სხვა მკვლევარების ნაშრომებში ციტირების რაოდენობა. ცხადია, რომ ეს ინდიკატორები ითვალისწინებს მხოლოდ პირდაპირ რაოდენობრივ მონაცემებს, რომლებიც შეიძლება არ იყოს ერთმნიშვნელოვანი — მაგ. კონკრეტული პუბლიკაციის ციტირების რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს არა მეცნიერის იდეებთან და შედეგებთან თანხმობის, არამედ უთანხმოების გამო. მაგრამ მეცნიერების განვითარების ისტორიაში შეცდომებს არანაკლები წვლილი მიუძღვით, ვიდრე პოზიტიურ შედეგებს. გარდა ამისა, ხშირად, აღიარებული შეცდომა გამხდარა მეცნიერების მომავალი განვითარების ქვაკუთხედი. შესაბამისად, ეს ნიშნავს, რომ თუკი მეცნიერის შეცდომას ბევრი გამოხმაურება აქვს, ის მნიშვნელოვნადაა ჩართული სამეცნიერო პროცესში.

ამიტომ, ყველაზე ადვილი და ალბათ ერთადერთი გზა, ვნახოთ თუ რა მდგომარეობაშია საქართველოს მეცნიერება — და შევადაროთ ის მის წარსულ მიღწევებს — არის ზემოთ ჩამოთვლილი ინდიკატორების მიხედვით საქართველოს მეცნიერების მიღწევების შეფასება.

დღევანდელ მსოფლიოში რამდენიმე

მონაცემთა ბაზაა, რომლებიც მეცნიერთა მიღწევების შესახებ რაოდენობრივ მონაცემებს ამუშავებენ და აქვეყნებენ. ყველაზე მომცველი მათ შორის ე.წ. „ცოდნის ქსელია“ (ISI Web of Knowledge), რომელიც სამეცნიერო სფეროში ტომსონის (Thomson) სახელითაა ცნობილი. მონაცემთა ეს ბაზა შეიცავს აკადემიური კვლევის მიღწევების მონაცემებს 1975 წლიდან დღემდე. „ტომსონში“ შესულია ინფორმაცია ე.წ. საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული თუ ციტირებული ნაშრომების შესახებ, მათ შორის შედის ყველა საერთაშორისო რეზიუმის მქონე რუსულენოვანი ჟურნალი საბჭოთა კავშირიდან, რომლებიც ზუსტ, საბუნებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებებს ეხებოდა. საერთაშორისო ჟურნალები კი ის ჟურნალებია, რომელსაც გააჩნია peer review-ს მექანიზმი: ანუ, რედაქციის მიერ სტატიების შერჩევის მეთოდოლოგია, რომელიც გულისხმობს ჟურნალის რედაქციაში შემოსული სტატიების ხარისხის ანონიმურ შემოწმებას ავტორის კოლეგების მიერ. ამ მონაცემთა ბაზაში შესულ თითოეულ ერთეულს, ანუ, პუბლიკაციას აქვს თავისი მახასიათებლები. მათ შორის, გარდა ავტორის სახელებისა და გვარისა, არის ამ ავტორების ინსტიტუციური მიკუთვნებულობა, და ქვეყანა, სადაც ეს ინსტიტუცია მდებარეობს. ამიტომ არ უნდა გაგვიჭირდეს ვნახოთ საქართველოს მეცნიერების მდგომარეობა 1974 წლიდან საბჭოთა კავშირის დაშლამდე, და შემდეგ — საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებიდან დღემდე.¹

ბამონაპლისაში და უზუსტობებში

ცხადია, მონაცემთა არცერთი ბაზა და მით უმეტეს დამუშავების მეთოდი არ არის უნაკლო. ჩვენს შემთხვევაშიც საქმე გვაქვს გამონაკლისებთან და უზუსტობებთან. მაგრამ არც ეს გამონაკლისები და უზუსტობები არ მოქმედებს მთლიან სურათზე.


გამონაკლისებია: ამ შედეგებში ვერ მოექცევა ის სამეცნიერო პროდუქტი, სადაც არ არის მითითებული ქართული სახელმწიფო, ან ინსტიტუცია. შესაბამისად, რაც არ უნდა გვეგონოს, რომ მაქს პლანკის ინსტიტუტის ან ნიუ იორკის უნივერსიტეტის თანამშრომელი — ქართველი მეცნიერი — ქართულ მეცნიერებას წარმოადგენს, ეს ასე არ არის, თუკი ის თავის პუბლიკაციების მისამართად არ უთითებს საქართველოს ან საქართველოს რომელიმე ინსტიტუტს ან.

ასევე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტომსონის მონაცემთა ბაზა ითვალისწინებს მხოლოდ იმ ჟურნალებში გამოქვეყნებას, რომლებსაც მიღებული აქვთ საერთაშორისო სტატუსი. შესაბამისად, თუკი ასეთი სტატუსი ჟურნალს არ აქვს, მასში გამოქვეყნებული სტატია ვერ შევა ჩვენი კვლევის არეალში. იმდენად, რამდენადაც საქართველოში გამოცემულ არცერთ ჰუმანიტარულ და სოციალური მეცნიერების ჟურნალს არა აქვს ეს სტატუსი მიღებული, ამ დამუშავებიდან ავტომატურად ვარდება ამ სფეროებში ქართულ ენაზე გამოქვეყნებული სტატიების 100%. ასევე, შესაძლებელია ამ დამუშავებიდან ზოგიერთი უცხოურ ჟურნალში დაბეჭდილი პუბლიკაციაც ამოვარდეს. მაგრამ თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ 1. ჩვენ ამ შემთხვევაში გვაინტერესებს ქართული მეცნიერების დონის შედარება საერთაშორისო ინდიკატორებთან, ასევე იმასაც, რომ 2. თუკი ნაშრომის ღირებულება მაღალია და მისი ციტირება მიმდინარეობს, ის აუცილებლად ხვდება მონაცემთა ბაზაში: ანუ, თუკი ქართველმა მეცნიერმა გამოაქვეყნა სტატია არა-საერთაშორისო სტატუსიან ჟურნალში, მაგრამ თუ ამ სტატიამ გამოიწვია კოლეგების ინტერესი, ის მოხვდება ჩვენი დამუშავების არეალში: რადგანაც, როგორც ვთქვით, ჩვენ გამოვიკვლევთ არა მარტო პუბლიკაციებს, არამედ, ქართული მეცნიერების ციტირე-

1. ჩვენი მიზნების მისაღწევად შერჩეული ტომსონის საძიებო სისტემების ნაკრები ასე გამოიყურება:
[Address=(rep* of Georgia) OR Address=(Tbilisi*) OR Address=(Georgian Acad*) OR Address=(GEORGIA USSR) OR Address=(GEORGIA SSR) OR Address=(Kutaisi*) OR Address=(Batumi*) Timespan=All Years. Databases=SCI-EXPANDED, SSCI, A&HCI, CPCI-S, CPCI-SSH], რაც შემდგენიარად იკითხება: მომეცი ყველა მონაცემი, რომლის აღწერაშიც მითითებულია ან საქართველოს რესპუბლიკა, ან საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ან საქართველოს სსრ, ან საქართველოს სსრ, ან თბილისი, ან ბათუმი, ან ქუთაისი. და ამ სიტყვების ყველა შესაძლებელი გაგრძელება (* - ეს ამას ნიშნავს).



2. ციტირების რაოდენობა წლების მიხედვით



ბის ინდექსსაც, რასაც დღევანდელ სამეცნიერო სამყაროში სულ უფრო და უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ასე რომ, ჩვენი კვლევებიდან გამონაკლისები და უზუსტობები ასე შეიძლება ჩამოვყალიბოთ: ჩვენი მონაცემების დიდი ნილი — 90%-მდე — იქნება საბუნებისმეტყველო და ზუსტ მეცნიერებათა შესახებ. თუმცა, ესეც არ არის ჩვენი ამოცანისათვის დიდი პრობლემა. ჩვენი საკვლევი მითი ხომ ძირითადად საბუნებისმეტყველო და ზუსტ მეცნიერებებზე ლაპარაკობს: საბჭოთა კავშირის დროს ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები იდეოლოგიური კონტროლის ქვეშ იყო — სახელმწიფო ცდილობდა ხელი შეეშალა ამ მეცნიერებების განვითარებისათვის.²

ამის საპირისპიროდ, საბჭოთა კავშირი ავითარებდა (გარკვეული იდეოლოგიური შეზღუდვებით) საბუნებისმეტყველო და ზუსტ მეცნიერებებს, რომლებიც, მისი პარტიული ბოსების აზრით, იარაღის დამზადებაში გამოადგებოდათ. ციტირების და პუბლიკაციების ინდექსის კიდევ ერთი არასრულყოფილება მის არა-აბსოლუტურობაშია: მეცნიერის ღირებულება გარკვეულ შემთხვევებში განისაზღვრება არა მისი დაწერილი და გამოქვეყნებული პროდუქციით, არამედ — მაგ. მისი მონაწილეობით საერთაშორისო ექსპერიმენტებში, მაგრამ ასეთი მნიშვნელოვანი მეცნიერების ნილი (ანუ, რომლებიც ტექნიკოსები არ არიან და მთელ თავის დროს კონკრეტული ექსპერიმენტის ჩა-

ტარებას უძღვნიან) მსოფლიო მეცნიერებაში და, მით უმეტეს, საქართველოში, საკმაოდ ცოტაა. ამიტომ, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი გამონაკლისის და უზუსტობის გათვალისწინებით, დღეს ციტირების და პუბლიკაციების ინდექსი რჩება ერთადერთ ინსტრუმენტად, რომლის საშუალებითაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ ქვეყანაში მეცნიერების განვითარების დონეზე, მის წარსულზე და მომავალ პერსპექტივებზე.

მონაცემები:

როგორც პირველი ცხრილიდან ჩანს, საქართველოში წარმოებული სამეცნიერო პუბლიკაციების რაოდენობა 1975 წლიდან 2008 წლის ბოლომდე მხოლოდ იმატებს, და 2008 წელს აღწევს იმ მაჩვენებელს, რომელიც არასოდეს ჰქონია. ცხრილიდან ჩანს, რომ ყველაზე მაღალი ნიშნული საბჭოთა კავშირის დროს 1985 წელს იყო მიღწეული, და ეს მონაცემი ემთხვევა საბჭოთა კავშირის იდეოლოგიური მანქანის შესუსტებას. საბჭოთა კავშირის შემდეგ კი ყველაზე მაღალი ნიშნული 2005-2006 წლებზე მოდის და, როგორც ცხრილიდან ჩანს — იზრდება. საგულისხმოა, რომ პუბლიკაციების რაოდენობის ზრდა ემთხვევა განათლების და მეცნიერების რეფორმის დასაწყისს - როდესაც დღის წესრიგში დადგა მეცნიერთა შრომის რაციონალური ინდიკატორებით შეფასების საკითხი. მაგრამ, ამ სტატიის შესავალში აღწერილი მითიური კონსტრუქციის მომხრე იტყვის, რომ საქმე არის არა რაოდენობაში, არა-

მედ ხარისხში: ანუ, საბჭოთა კავშირში გამოქვეყნებული შრომების ხარისხი უფრო მაღალია, ვიდრე საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ. ეს კი ნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის დროს გამოქვეყნებული შრომების ციტირება ბევრად უნდა სჭარბობდეს საბჭოთა კავშირის შემდეგ გამოქვეყნებული შრომების ციტირებას.

ცოდნის ქსელის ციტირების ინდექსის მიხედვით, დღეს ქართული მეცნიერების ცნობადობა ისეთია, როგორც არასდროს. ის რამდენიმეჯერ აღემატება საბჭოთა კავშირის დროინდელს და ყოველწლიურად იზრდება. მაშასადამე, ამ ორი ცხრილით მითი "საქართველოს-მეცნიერების-საბჭოთა-კავშირში-კარგი-მდგომარეობის-შესახებ-და-თანამედროვე-საქართველოში-მისი-ცუდი-მდგომარეობის-შესახებ" დაინგრა. რა თქმა უნდა, არსებობს იმის თეორიული შანსი, რომ 2008 წელს ციტირებული სტატიების აბსოლუტური უმრავლესობა საბჭოთა კავშირშია დაწერილი. მაგრამ ეს საეჭვოა, თუნდაც იმის გამო, რომ ციტირების ზრდა ემთხვევა პუბლიკაციების რაოდენობის ზრდას, და პირდაპირ უნდა იყოს 2004-2005 წლებში დაწყებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონტაქტების გააქტიურებასთან დაკავშირებული, და არა — ქართველი მეცნიერების 15 ან 25 წლის წინანდელი ნაშრომების თავიდან აღმოჩენასთან. მაგრამ გვაძლევს თუ არა ამ მითის ნგრევა საფუძველს, რომ დავმშვიდდეთ და ვთქვათ, რომ ყველაფერი კარგადაა, და რომ მეცნიერული კვლე-

2. ამიტომ, რაც ამ დროს საქართველოში ამ ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერების დარგში ღირებული შეიქმნა, შეიქმნა სახელმწიფოს მოქმედების სანაწარმდგომად.

ვების სახელმწიფო პოლიტიკა სწორადაა მიმართული? ამისათვის შედარებას უნდა მივმართოთ და და შევადაროთ ჩვენ მიერ მოპოვებული მონაცემები რეგიონის და თუნდაც — ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ანალოგიურ მონაცემებს, რომელთა მიხედვითაც ჩანს, რომ სულაც არ გვიჭირავს რეგიონში მონინავე ადგილი და მნიშვნელოვნად ჩამოვრჩებით უფრო მცირე მოსახლეობის მქონე ქვეყნებს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დასკვნა არის ის, რომ ციტირების ინდექსი ყველა ქვეყანაში თანაბრად იზრდება. მაგრამ, მნიშვნელობა აქვს იმას, თუ საიდან არის დანყებული ეს ზრდა და რა ნიშნულია მაგ. 2008 წლის ბოლოსათვის: სომხეთის ციტირების ანგარიში თითქმის ორჯერ აღემატება ჩვენსას, ხოლო ესტონეთის — თითქმის 4-ჯერ. იგივე შეიძლება ითქვას პუბლიკაციების რაოდენობაზე: 2008 წელს ქართველმა მეცნიერებმა 311 სტატია გამოაქვეყნეს. ლიტველმა მეცნიერებმა 2163, ესტონელებმა 942, სომხებმა 465, ლატვიელებმა - 360, ხოლო აზერბაიჯანელებმა - 282 სტატია. ამ მონაცემებისათვის არანაკლები მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში რეალურ მკვლევართა რაოდენობას. იგივე ტომსონის მიხედვით, 2008 წელს საქართველოდან საერთაშორისო ჟურნალებში 310 პუბლიკაციის გამოქვეყნებაში მონაწილეობა მიიღო (არა მარტო მთავარ ავტორად, არამედ — დამხმარედაც) 263-მა მკვლევარმა. აქედან 150-მა მკვლევარმა 1 სტატიის მომზადებაში მიიღო მონაწილეობა, 78-მა - 2-ის, 19-მა - 3-ის, 11-მა 4-ის, 3-მა 5-ის, 2-მა 6-ის, ხოლო 1-მა - 16-ის. ეს რიცხვი კი მიგვითითებს, რომ საქართველოში რეალურ, ანუ აქტიურ მკვლევართა რაოდენობა 500-ს არ უნდა აჭარბებდეს — ყველაზე უფრო თამამი დაშვების შემთხვევაში: თუკი ვივარაუდებთ, რომ ამ 261 მკვლევარის რიცხვში ვერ მოხვედრილი მკვლევარები ორ ნელინადში ერთხელ აქვეყნებენ სტატიებს, ანდა რთულ შემთხვევაში მუშაობენ და ორ-სამ ნელინადში ერთხელ ახერხებენ სამეცნიერო ქსელში ფორმალურ დაფიქსირებას. თუკი გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიოს კარგ კვლევით უნივერსიტეტებში შეფარდება პროფესორებს (რომლებიც ძირითადად მკვლევარები არიან) და სტუდენტებს შორის საშუალოდ 1/10-თანაა — ანუ, ერთ მკვლევარზე მოდის 10 სტუდენტი, მივიღებთ, რომ დღეს საქართველოში ერთი პატარა კვლევითი უნივერსიტეტის (500 სტუდენტი) პოტენციალი არსებობს. გამოდის, რომ დღეს მცირე რაოდენო-

ქვეყანა	გამოქვეყნებული შრომები	ციტირებული ნაშრომები	სიტაბები	თვითციტირება	სიტაბა თითო ნაშრომზე
1 აშშ	3.885.065	3.652.547	55.078.925	26.887.171	14,51
2 ლიბი ბრიტანეთი	1.105.308	1.007.750	12.819.856	3.315.114	12,39
3 იაპონია	1.103.915	1.081.652	9.104.613	3.003.301	8,52
4 გერმანია	1.013.151	963.401	10.817.780	3.064.671	11,30
5 რიმანი	969.985	964.718	2.379.100	1.178.534	3,68
6 საფრანგეთი	732.180	695.274	7.491.135	1.855.193	10,78
7 კანადა	550.920	524.539	6.180.777	1.302.773	12,44
8 იტალია	534.598	509.208	5.018.387	1.250.266	10,28
9 ესპანეთი	388.908	367.174	3.126.547	852.506	9,14
10 რუსეთი	369.018	366.673	1.352.932	444.618	3,69

ქვეყანა	გამოქვეყნებული შრომები	ციტირებული ნაშრომები	სიტაბები	თვითციტირება	სიტაბა თითო ნაშრომზე
74 ლაზია	4.626	4.590	26.853	4.808	5,88
75 უზბეკეთი	4.280	4.255	10.566	2.390	2,52
76 ტანანია	3.928	3.781	27.484	4.737	8,48
77 საბარძეველი	3.867	3.816	19.063	2.789	5,41
78 კირი	3.710	3.568	26.712	3.176	9,34
79 კამბოჯი	3.659	3.567	19.403	4.244	6,82
80 თაილანდი	3.640	3.566	18.212	3.700	5,97
81 ომანი	3.637	3.458	12.377	2.035	4,23
82 შრი ლანკა	3.608	3.393	18.046	2.251	6,17
83 ზიმბაბუე	3.479	3.369	21.143	2.791	5,90

ბის მეცნიერები ქმნიან ისეთი ხარისხის და რაოდენობის პროდუქციას, რომელიც არასოდეს ყოფილა საქართველოში. მაგრამ, მეორე მხრივ, თუკი საერთაშორისო ინდიკატორებით შევხედავთ, არც მეცნიერთა და არც მათი პროდუქციის რაოდენობა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ვთქვათ — საქართველოში მეცნიერების მდგომარეობა თუნდაც დამაკმაყოფილებელია. მით უმეტეს, თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ ქვეყანაში სადოქტორო პროგრამების სტუდენტების რაოდენობა კატასტროფულად მცირეა: 2008 წელს ქვეყანაში სულ 728 დოქტორანტი იყო,² რაც ნიშნავს ყოველ წელს 100-150 დოქტორის გამოშვების პოტენციას. თავის მხრივ, ეს სულ არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მეცნიერების რიცხვი არამც თუ გაიზარდოს, არამედ მათი ახლანდელი რაოდენობა შენარჩუნდეს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ აქტიურ მკვლევართა ასაკი საკმაოდ ხანდაზმულია და მათი საშუალო ასაკი 50 წელს უახლოვდება. თუკი რაოდენობრივი ნიშნული გვინდა, თუ რა დონეზე უნდა იყოს საქართველოს მეცნიერების პროდუქცია, იმისათვის, რომ თავი განვითარებული მეც-

ღღეს ქართული მეცნიერების სწორადობა ისეთია, როგორც არასდროს. ის რაოდენობა აქვს აქვს საბჭოთა კავშირის დროინდელს და ყოველწლიურად იზრდება.

3. მათი 60% მაინც — სოციალურ და პუმანიტარულ მეცნიერებებში.



ნიერების მქონედ ჩავთვალეთ, ამ მხრივ ესტონეთის მონაცემების დონეზე ასვლა სულაც არ არის წარმატების ინდიკატორი.

რად გვინდა მიცნობა, ანუ, მიცნობის ადგილი ქვეყნის აკონომიკაში

ზემოთ მოყვანილი რაოდენობრივი მონაცემები საკმარისია ამ წერილის დასაწყისში აღწერილი საქართველოში მეცნიერების წარსულის და აწმყო შესახებ მითის განვადობისათვის. მაგრამ მეცნიერების მომავლის შესახებაც არსებობს ორი მითური კონსტრუქცია, რომელიც ერთმანეთს ეწინააღმდეგება, მაგრამ, ორივე მათგანი პოულობს საზოგადოებაში თავის მიმდევრებს. აქედან პირველი (და უფრო დიდი ხნის — ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის ბოლო წლებიდან რომ მოდის) ამბობს, რომ მეცნიერება ქვეყნის, განსაკუთრებით პატარა ქვეყნის, პრესტიჟია, მისი სავიზიტო ბარათია მსოფლიოში და ის აუცილებლად უნდა ფინანსდებოდეს, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ მსოფლიოს წამყვან ცენტრებში ჩვენი მეცნიერები მუშაობდნენ და საქართველო ამით კულტურული და განვითარებული ქვეყნის სახელს იმკვიდრებდეს. მეორე (წინა საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს გამოჩნდა საქართველოში) ამბობს, რომ მეცნიერება უნდა განვიხილოთ არა როგორც ქვეყნის პრესტიჟის, არამედ, როგორც ეკონომიკური მოგების წყარო. ამ თეორიის მიხედვით, კარგი მეცნიერება ყოველთვის მომგებიანია, ამიტომ, თუკი ის სწორად არის ორგანიზებული, მას ყოველთვის მოაქვს მოგება. ეს თეორია უყურებს მეცნიერებას როგორც ბანკირი საინვესტიციო პროექტს: თუ მეცნიერება გაამართლებს, მან უნდა დააბრუნოს ის ფული, რომელიც მასში იქნება ჩადებული და შემდეგ — დამოუკიდებლად შეძლოს წარმატებული არსებობა. საინტერესო ისაა, რომ ეს ორივე თეორია საღ აზრზეა დამყარებული და საფუძვლად ყველაფერი შეიძლება ედოს, საკითხის ცოდნის გარდა. პირველი სალონიური თეორია წარმოიშვა საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ, როდესაც საქართველოს მეცნიერებამ დაკარგა იარაღის წარმოების ხელშეწყობის აზრი. მეცნიერების არსებობის იდეოლოგიური საფუძვლის გაქრობის შემდეგ ქართველ მეცნიერებს და ინტელექტუალებს საკუთარი არსებობის და მუშაობის გაამართლებისათვის ახალი არგუმენტების მოძებნა დასჭირდათ. მეორე თეორიის მომხრეები ამბობენ, რომ ერთი მხრივ

მხოლოდ ასე შევძლებთ იმ ეკონომიკური დანახარჯის გამართლებას, რომელსაც ამ მიმართულებით გავწევთ, ხოლო მეორე მხრივ — ამ მიდგომის საფუძველზე გადავარჩევთ დასაფინანსებელ მეცნიერებებს და მიმართულებებს. ამ თეორიის კონსტრუქციები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 90-იანი წლების ბოლოს გამოჩნდა საქართველოში, როდესაც სახელმწიფო აპარატში გაჩნდა აზრი, ოპტიმალური მეთოდით გადაენანილებინათ მწირი რესურსები და, მწირი რესურსების მიუხედავად, შედეგად მაინც განვითარებული მეცნიერება მიეღოთ. თუმცა, მეცნიერების თანამედროვე მართვა ორივე ამ მითოლოგიური კონსტრუქციისაგან განსხვავებულია: წმინდა ეკონომიკური და ბიზნეს თვალსაზრისით ყველა ქვეყანაში მეცნიერება წამგებიანია — ყველა იმ გამოყენებითი ლაბორატორიების მომგებიანობის გათვალისწინებით, რომლებიც მაღალტექნოლოგიურ სანარმოებში არსებობს და კონკრეტული ინოვაციების დანერგვაზე მუშაობს. ფუნდამენტურ მეცნიერებებში იმდენი დანახარჯია საჭირო თუნდაც მცირე ეფექტის მისაღებად, რომ ლაპარაკიც კი ზედმეტია ქვეყანაში მომგებიანი მეცნიერების არსებობაზე.

მეცნიერების როლი თანამედროვე სამყაროში სხვაა: მეცნიერება, ანუ, კვლევის და კვლევის საშუალებით სწავლების არსებობა საჭიროა ცოდნის ეკონომიკის მისაღწევად: თუკი ქვეყანაში არის კარგი მეცნიერება, ეს ნიშნავს, რომ ქვეყანაში კარგი უნივერსიტეტებია. ეს კი ნიშნავს, რომ ქვეყანაში ბევრი განათლებული ადამიანია, რომლებმაც იციან კვლევის მეთოდები, სამყაროსადმი რაციონალური მიდგომა აქვთ და იციან, როგორ დაგვემონ საკუთარი ცხოვრება. ეს კი უტყუარი შანსია ქვეყნის ეკონომიკისათვის, გახდეს ცოდნაზე, და არა ფიზიკური თუ ბუნებრივი რესურსების (რაც ადრე თუ გვიან იწურება, ან გამოუსადეგარი ხდება) პრიმიტიულ გამოყენებაზე დაფუძნებული.

შეიძლება პარადოქსია, მაგრამ ქვეყნისათვის კვლევის შედეგები არ არის უშუალოდ ის, რასაც ის პირველ რიგში ელოდება მეცნიერებისაგან. მეცნიერების განვითარებამ გვაჩვენა, რომ მეცნიერების ისტორიაში გარღვევები და ნახტომები სრულიად მოულოდნელ და ხშირად — ცარიელ ადგილებზე წარმოიშობა. ქვეყანა — თუკი მის პოლიტიკოსებს და საზოგადოებას უნდათ, რომ ამ ქვეყანაში იარსებოს ცოდნის ეკონომიკამ, რაც საბოლოო ჯამში საზოგადოების წევრების ბედნიე-

რებას მოემსახურება — დაიტერესებული კარგი და მრავალფეროვანი კვლევების არსებობით არა იმიტომ, რომ ხვალ ვინმე ამ კვლევებისაგან სასწაულს ელოდება, არამედ იმიტომ, რომ ადამიანებმა, რომლებიც ამ კვლევებში მონაწილეობით და ამ კვლევების საშუალებით იღებენ კარგ განათლებას, გააძლიერონ და გაზარდონ ქვეყნის ეკონომიკა. საბოლოო ჯამში, ასე ემსახურება ქვეყანაში მეცნიერება საზოგადოების ყოველი წევრის კეთილდღეობის და ბედნიერების მიღწევის მიზანს, და არა უშუალოდ ტექნოლოგიური სასწაულების და გარღვევების მიზნად დასახვით. თუკი გადავხედავთ ქვეყნების საერთო ეროვნული პროდუქტიდან დანახარჯების პროცენტული წილის მაჩვენებელს მეცნიერებაზე და მეცნიერების დონის ამსახველ ციტირების ინდექსს, ადვილი შესაძინევი იქნება, რომ ის ქვეყნები, რომლებიც ეკონომიკური კეთილდღეობით გამოირჩევიან, მეტს ხარჯავენ მეცნიერებაზე და შედეგებიც უკეთესი აქვთ. მეცნიერებაზე დანახარჯების გაზრდა კი არის არა ეკონომიკური კეთილდღეობის მომდევნო, როგორც ეს ხშირად ჰგონიათ, არამედ — წინმსწრები პროცესი: აშკარაა, რომ მეცნიერების მიღწევების დონე პირდაპირ კავშირშია საერთო ეროვნული პროდუქტის დანახარჯის მოცულობასთან. ზოგიერთი ქვეყნის შემთხვევაში (ლატვია, აზერბაიჯანი და ხორვატია) პროპორციების ჩავარდნები მეცნიერების მართვის სისტემის არამოდერნიზებულობის შედეგია. რაც შეეხება სხვა, განვითარებულ ევროპულ ქვეყნებს, პოზიტიური კავშირი დანახარჯებს და მეცნიერების დონეს შორის უტყუარია. "მხოლოდ მომგებიანი მეცნიერების დაფინანსების თეორიის" მომხრეები იტყვიან, რომ ეს ქვეყანაში განეული მთლიანი ხარჯებია, და არა მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტისა; მაგრამ თუკი ჩახედავთ თუნდაც ინტერნეტში განთავსებულ ცხრილებს, ქვეყნების მიერ მეცნიერებაზე განეული დანახარჯების შესახებ, ნახავთ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტების წილი ამ დანახარჯებში მაღალია, ხოლო დანარჩენი, ე.წ. არა-საბიუჯეტო ხარჯები ძირითადად იმიტომ ხდება, რომ სახელმწიფოები სხვადასხვა საკანონმდებლო ხერხით ხელს უწყობენ კვლევაზე და განვითარებაზე თანხის გაღებას კერძო პირების და კორპორაციების მხრიდან. ■

გიგი თევზაძე

ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

4. უნდა ითქვას, რომ უმეტეს შემთხვევაში ეს ხელშეწყობა არ არის პრიმიტიული საგადასახადო შედეგადათ.

/59 უკანასკნელი არჩევანი /61 იღვალადი პარტნიორები /63 თუ რატომ აინგვირებს გმლოდ პარტიანი, სომხეთს - გმლოდ შედეგი



ფოტო: REUTERS

ლევონ ტირ-პატროსიანი

სომხეთი უკანასკნელი არჩევანი

სომხეთის რეაქციის მიხედვით უკანასკნელ არჩევანს, პესაძის, კარაგოზის სივლირებადობა მათთან განხილვას მოჰყვას, ან კვიყა-ნაში საბოლოოდ გაფორმდეს ერთხელისაფორმობა. >>

მარბარიტა ახვლედიანი

ერევანში არის ადგილი, სადაც ყოველ საღამოს ერთი და იგივე ხდება. დაახლოებით ხუთი საათისთვის აქ ვგუფ-ვგუფად მოდიან პოლიციელები. ექვსისთვის მატულობს მოქალაქეთა რიცხვი — ყველა ცდილობს ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილ ჩრდილოეთის პროსპექტისკენ გაემართოს. პოლიციელები

შემჭიდროვდებიან ერთ გავლელ ჯაჭვად და პროსპექტზე არავის ატარებენ. ისინი, ვინც ახერხებს პოლიციელებს დაუსხლტეს, ხელისხელჩაქედებულნი, პირქუში სახით სეირნობენ 300-მეტრიანი პროსპექტის თავიდან ბოლოში და პირიქით. პოლიციელთა ჯაჭვთან ვითარება იძაბება მაშინ, როცა სამართალდამცველები

სეირნობის მსურველ ზოგიერთ „ხულიგანს“ აკავებენ. შვიდი საათისთვის ხალხი მეზობელ სკვერში, ოპერასთან ინაცვლებს და მხატვარ სარიანის ძეგლს წრეებს ურტყავს. ამ სახალხო სეირნობას შორიდან თვალს ადევნებენ ნითელ ბერეტებში გამოწყობილი სპეცრაზმელები. ეს უცნაური, ყოველდღიური რიტუალი ოპოზიციური პოლი-

ტიკური მოძრაობის „სომხეთის ნაციონალური კონგრესის“ მიერაა ორგანიზებული. ხალხში მას „პოლიტიკურ სეირნობას“ უწოდებენ. როგორც მოსეირნეები ამბობენ, ამ ფორმით ისინი ხელისუფლებას ეუბნებიან: „ჩვენ ცვლილებები გვინდა!“. „პოლიტიკური სეირნობა“ ერთ მნიშვნელოვან მოვლენას უკავშირდება, რომელიც 31 მაისს უნდა მოხდეს. ამ დღეს, სავარაუდოდ, ქვეყანაში პოლიტიკური გაურკვევლობის პერიოდი უნდა დასრულდეს. მაისის ბოლოს ერევანში პირვე-

ლად საქალაქო საბჭოს არჩევნები (საკრებულოს ეკვივალენტი) გაიმართება და ეს საბჭო თავის მხრივ პირველად აირჩევს დედაქალაქის მერს. არჩევნები პირველად ჩატარდება პროპორციული სისტემით. ახალი სისტემა მნიშვნელოვნად ართულებს საარჩევნო პროცესში ადმინისტრაციული რესურსის ჩართვას და არჩევნების გაყალბების შესაძლებლობას.

ამგვარად, ორი ტრადიციული ოპონენტი — ხელისუფლება, პრეზიდენტ სერჟ სარქისიანის ხელმძღვანელობით და გაერთიანებული ოპოზიცია, ლევონ ტერ-პეტროსიანის მეთაურობით, — პირველად დაუპირისპირდება ერთმანეთს შედარებით თანაბარ პირობებში.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ერევანში სომხეთის მოსახლეობის მესამედი ცხოვრობს, დედაქალაქის მერი მნიშვნელობით მეორე არჩევნითი თანამდებობის პირი გახდება ქვეყანაში.

„ამ არჩევნებით ოპოზიციას ეძლევა შანსი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში სხვა კარიდან შევიდეს. ვიტყვი, რომ ეს კიდევ ერთი საპრეზიდენტო არჩევნებია, მაგრამ უკეთესი სასტარტო პირობებით“, — ამბობს სომეხი პოლიტოლოგი ალექსანდრ ისკანდერიანი.

2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, რომელიც კატასტროფით დასრულდა, ერთმანეთის წინააღმდეგ იგივე პოლიტიკური ფიგურები იბრძოდნენ. 10 ადამიანი დაიღუპა, ათობით დაიჭრა და ასობით დაპატიმრეს 1 მარტს მრავალათასიანი ოპოზიციური მიტინგის დარბევისას. მომიტინგეები მიიჩნევენ, რომ საპრეზიდენტო არჩევნები გაყალბდა. ხელისუფლება და ოპოზიცია, და ასევე ძალზე პოლარიზებული საზოგადოება მოვლენების ამგვარად განვითარებაში ერთმანეთს ადანაშაულებდნენ.

ევროსტრუქტურების დაჟინებული მოთხოვნით, სომხეთი იძულებული გახდა კონსტიტუციაში ცვლილებები შეეტანა. ამ ცვლილებების წყალობით, დედაქალაქის მერის არჩევნებს, შესაძლოა, ძალაუფლების ცივილიზებული გზით განაწილება მოჰყვეს, ან ქვეყანაში საბოლოოდ გაფორმდეს ერთხელისუფლებიანობა.

სომხეთის ოპოზიციური ძალა სამი პოლიტიკოსის გარშემოა კონცენტრირებული: ესენი არიან „სომხეთის ნაციონალური კონგრესის“ ლიდერები ლევონ ტერ-პეტროსიანი და სტეფან დემირჭიანი (არასაპარლამენტო ოპოზიცია) და ასევე პარტია „მემკვიდრეობის“ ლიდერი რაფფი ოვანესიანი (საპარლამენტო ოპოზიცია). თითოეულ მათგანს წარსულში მაღალი სახელმწიფო თანამდებობა ეკავა. ტერ-პე-

ტროსიანი 1991 წელს არჩეული სომხეთის პირველი პრეზიდენტი იყო. ოვანესიანი ამ პერიოდშივე ქვეყნის მთავარ საგარეო უწყებას ხელმძღვანელობდა. სტეფან დემირჭიანი კი, 1999 წელს პარლამენტში მომხდარი ტერაქტის დროს დაღუპული ყოფილი სპიკერის კარენ დემირჭიანის შვილია. 2003 წელს სტეფან დემირჭიანი ძალიან ახლოს იყო სომხეთის პრეზიდენტობასთან, არჩევნების მეორე ტურში მას რობერტ კოჩარიანმა მოუგო.

ოვანესიანის „მემკვიდრეობა“ გაერთიანებული ოპოზიციის ალიანსში არ შესულა, რადგან ლიდერები პარტიული სიის პირველ ნომერზე ვერ შეთანხმდნენ. თუმცა, ოვანესიანის პარტიამ არჩევნებში თავისი კანდიდატურა მოხსნა და „მემკვიდრეობის“ ელექტორატს „სომხეთის ნაციონალური კონგრესის“ მხარდაჭერისკენ მოუწოდა.

ოპოზიციას მოვების დიდი შანსი აქვს. გასულ წელს, საპარლამენტო არჩევნებზე მკვეთრი ოპოზიციური რიტორიკით გამორჩეულ პარტიებს საერთო ჯამში ამომრჩეველთა ორმოცმა პროცენტმა დაუჭირა მხარი. ძირითადად, ოპოზიციური ხმები ერევნიდან მოვიდა და არის ეჭვი, რომ მათი რიცხვი ბევრად მეტი იყო. ეს ხალხი არსად წასულა. უფრო მეტიც, არჩევნების შემდეგ მოხდა 1 მარტი — „სისხლიანი შაბათი“, რამაც მოსახლეობა განარისხა. შემდეგ იყო ფინანსური კრიზისი, რომელიც, სავარაუდოდ, ხელისუფლებას მხარდამჭერებს ვერ შეჰმატებდა. ბევრნი ასევე კრიტიკულად უყურებენ თურქეთთან ურთიერთობების უცაბედ დათბობას. საზოგადოების გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ თურქეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციის სანაცვლოდ, ხელისუფლება მზადაა

დაივინყოს სომეხი ხალხისთვის ყველაზე წმინდა საკითხი — 1915 წელს ოსმალეთის იმპერიაში სომეხთა გენოციდი.

ასე რომ, ამ არჩევნებზე ოპოზიციის მხარდამჭერთა რიცხვი ცოტა ვერ იქნება. პროპორციული სისტემის პირობებში არჩევნების გაყალბება ბევრად რთულია. ხელისუფლების მხრიდან გონივრული ნაბიჯი იქნებოდა იმის დემონსტრირება, რომ მზად არის 1 მარტის იარების მოსაშუშებლად. მერის არჩევნები — ხელსაყრელი მომენტია ძალაუფლების გასანაწილებლად და საზოგადოების შესარიგებლად. ეს იქნებოდა ქვეყანაში ნამდვილი დემოკრატიის დასაწყისი.

თუმცა, სომხეთში კვლავ მნიშვნელოვანია დაპირისპირება. რეალობა ისეთია, რომ ორივე მხარისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია არა იმდენად მერის პოსტი, რამდენედაც არჩევნებში გამარჯვების ფაქტი.

ხელისუფლებამ კარგად იცის, რომ გამარჯვების შემთხვევაში ტერ-პეტროსიანი მხოლოდ მერის ფუნქციებითა და დედაქალაქის საჭიროებებზე ზრუნვით არ დაკმაყოფილდება. „სომხეთის ნაციონალური კონგრესის“ გამარჯვების შემთხვევაში ქვეყანაში პრაქტიკულად ორხელისუფლებიანობა დამყარდება — ისევე, როგორც ეს მოხდა საქართველოში მიხეილ სააკაშვილის საკრებულოს თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ. ასე რომ, სომხეთის ხელისუფლებას სხვა გამოსავალი არ აქვს — მან ხელი უნდა შეუშალოს ტერ-პეტროსიანის გამარჯვებას.

პრეზიდენტი სერჟ სარქისიანი რთული ამოცანის წინაშეა. რობერტ კოჩარიანის ათწლიანი მმართველობის დროს, ოპოზიციას ხალხზე გავლენა არ ჰქონდა — იგი არჩევნების წინ გამორჩეული იყო და შემდეგ სადაც ქრებოდა ხოლმე. დღეს კი, ხელისუფლებას ანგარიშგასანევი ძალა უპირისპირდება და ამკარაა, რომ მმართველ პარტიაში არ იციან როგორ ებრძოლონ მას.

არჩევნებამდე სამი თვით ადრე პრეზიდენტმა ერევანში ახალი მერი დანიშნა — გაგო ბეგლარიანი. ეს მანამდე მოხდა, ვიდრე ტერ-პეტროსიანი არჩევნებში მონაწილეობის შესახებ განცხადებას გააკეთებდა. პროსახელისუფლებო რესპუბლიკური პარტიის მთავარი კანდიდატი — პოლიტიკაში გამოუცდელი, საეჭვო რეპუტაციის მქონე მსხვილი ბიზნესმენი ბეგლარიანი ინტელექტუალურ და დახვეწილ პოლიტიკურ მებრძოლს ტერ-პეტროსიანსა და ოპოზიციური ალიანსის მეორე ნომერს — პოპულარულ პოლიტიკოსს სტეფან დემირჭიანს უნდა დაუპირისპირდეს.

ისკანდერიანი მიიჩნევს, რომ ხელისუფლების საარჩევნო მენეჯმენტმა სრული

სომხეთის ხელისუფლებას ანგარიშგასანევი ოპოზიციის უპირისპირდება და ამკარაა, რომ მმართველ პარტიაში არ იციან როგორ ებრძოლონ მას. ტერ-პეტროსიანს გამარჯვების რეალური შანსი აქვს.

კრახი განიცადა: მაშინ, როცა ოპოზიცია თავის მთავარ ლოზუნგად ხელისუფლების კრიმინალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლას აცხადებს, მმართველი პარტიის საარჩევნო კანდიდატია ბეგლარიანი, რომელსაც, რბილად რომ ვთქვათ, არცთუ ისე უმნიშვნელო რეპუტაცია აქვს.

„არ მესმის, ხელისუფლებამ როგორ ვერ გათვალა, რომ ლევონი თავის კანდიდატურას წამოაყენებდა? ეს რომ გაეთვალათ, ბეგლარიანს არ დაასახელებდნენ, რადგან მას ტერ-პეტროსიანთან ბრძოლის უნარი არ შესწევს“, — ამბობს ისკანდერიანი.

სომხეთში საქართველოსგან რადიკალურად განსხვავებული პოლიტიკური ქცევის მოდელია. ეს არაერთხელ გამოჩნდა. სომხეთში, შესაძლოა, არ იყოს ხმაურიანი აქციები და არაფერი მეტყველებდეს იმაზე, რომ ხალხს ცვლილებები უნდა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მოხდება სამხიელი აფეთქება. ასე იყო გასულ წელს. შარშანდელი სცენარის განმეორების ალბათობა ცოტაა. ქვეყანა ჯერ კიდევ არ არის გამოსული შოკიდან. მაგრამ, „სომხეთის ნაციონალურ კონგრესს“ გამარჯვების რეალური შანსი აქვს, ანუ თუ ოპოზიცია საჭირო 40+1 პროცენტს არ მიიღებს, ის ხმების ხელახლა გადათვლას მოითხოვს. ეს კი შეიძლება ახალი არეულობის დასაწყისი გახდეს.

როგორც ცნობილი დასავლელი ექსპერტი ონიკ კრიკორიანი თავის ბლოგში წერს, „ეს არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი არჩევნები ქვეყნისთვის, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ მნიშვნელობას თავად ერევნელები გააზრებენ...“

ლევონ ტერ-პეტროსიანი უჩვეულო ფიგურად იქცა სომხეთში. მას არ უყვარს მედიასთან ურთიერთობა, არც ხალხთან. იგი პროპაგანდას არ ენევა. ამავდროულად, ყველა ანალიტიკოსი თანხმდება, რომ ტერ-პეტროსიანის გარეშე ამ არჩევნებს აზრი არ ექნებოდა. „მოვიდოდა ერთ-ნახევარი კაცი, შემოხაზავდნენ „საჭირო“ კანდიდატს და ყველაფერი იქნებოდა კარგად. ასეთი არჩევნები სომხეთს ახსოვს“, — ამბობს ისკანდერიანი.

გამოდის, რომ თუ პოლიტიკური სივრცეა ამოვიღებთ ერთ კონკრეტულ ფიგურას - ქვეყანა მარტივად და უპრობლემოდ დაუბრუნდება 1972 წლის დროინდელ საბჭოური უძრაობის ხანას. თუ უკან დავაბრუნებთ ამ ფიგურას, მივიღებთ დაძაბულ, ნერვულ, არამდგრად, მაგრამ მოვლენების განვითარების მრავალი შესაძლო სცენარით გაჯერებულ 2009 წელს. რაზე მეტყველებს ეს? ტერ-პეტროსიანის უნიკალობაზე ნამდვილად არაა. ყველაფერი მიაწინებებს იმას, რომ საზოგადოება მზად არის ცვლილებებისთვის. **■**

სომხეთი და საქართველო

იდეალური პარტნიორები

საქართველო-სომხეთის ურთიერთობებში არსებული პრობლემები, პოსაპირთა, სერიოზული დაპირისპირების მიზანმიმართულად, თუ მხარეებში უხილავ მომავალი რეალურ ელემენტს არ დაინახებენ. >>>

მარბარიტა ახვლედიანი

საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობა ისტორიულად შეკავებისა და წინააღმდეგობების სისტემას ეფუძნება. აი, მისი ერთ-ერთი ელემენტი: საქართველოს, რომლის შემადგენლობაშია ჯავახეთი 200-ათასიანი სომხური მოსახლეობით, სომხეთთან კონფლიქტი არ აწყობს.

სომხეთს, რომლის დანარჩენ მსოფლიოსთან, განსაკუთრებით კი რუსეთთან, დამაკავშირებელი ერთადერთი სახმელეთო გზა საქართველოზე გადის, — არ აწყობს საქართველოსთან კონფლიქტი.

ურთიერთდამოკიდებულების ეს ბუნებრივად ჩამოყალიბებული სისტემა ნებისმიერ შეთანხმებაზე უკეთ იცავს ორ ქვეყანას არა მხოლოდ მსხვილი დაპირისპირებისგან, არამედ ერთმანეთისთვის პირობების კარნახისგანაც.

როგორც სომეხი პოლიტოლოგი ალექსანდრ ისკანდერიანი ამბობს, „საქართველოსა და სომხეთს არა აქვთ ფუფუნება, მათი ურთიერთობები იყოს ძალიან კარგი. ასევე არა აქვთ ფუფუნება ეს ურთიერთობები იყოს ძალიან ცუდი“.

ეს იდეალური პარტნიორობაა, თუმცა, ნელ-ნელა იგი რყევას იწყებს.

ქვეყნებს შორის ურთიერთობებში არსებული ორი საკვანძო პრობლემა ზედაპირზე დევს. პირველი — რამდენიმე ეკლესია საქართველოს ტერიტორიაზე, რომელთა კუთვნილებას ერთმანეთს ედავებიან საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია და სომხეთის სამოციქულო ეკლესია. მეორე — სომხური სათვისტომო საქართველოში — რიცხვით მეორე ეთნიკური ჯგუფი ქვეყანაში, რომლის ნაწილი კომპაქტურად ცხოვრობს სამცხე-ჯავახეთის ორ რაიონში — ახალქალაქსა და ნინოწმინდაში.

ამ პრობლემების ყველაზე ხმაველი გამოვლინებაა თბილისში მდებარე სადავო ეკლესიის — ნორაშენის გარშემო განვითარებული მოვლენები (ქართველი მღვდლის თაოსნობით ნორაშენში უძველესი სომხური წარწერები და საფლავის ქვები დაზიანდა); და ასევე ჯავახეთში სომეხი პოლიტიკური აქტივისტის ვაგან

ჩახალიანის დაპატიმრება, რომელსაც ჯაშუშობის ბრალდებით ათი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

ორივე ისტორიას, თბილისსა და ერევანში, თვალსაჩინოდ განსხვავებული საზოგადოებრივი რეაქცია და მედიის ყურადღება მოჰყვა: უზარმაზარი სომხეთში და ძალიან მცირე — საქართველოში. ეს განსხვავება მონიშნავს, რომ ორი საზოგადოება არა თუ პრობლემების გადაჭრაზე არ მუშაობს, არამედ მათ შორის დიალოგი და ინფორმაციის გაცვლაც არ ხდება. ნაცვლად ამისა, ორივე საზოგადოება ცალსახად აღიქვამს პრობლემებს. ურთიერთწყენა კი გროვდება და კრიტიკულ მომენტში შეიძლება იფეთქოს.

ცეცხლზე ნავთის დასხმას ჰგავდა ქართველი ოფიციალური პირების რამდენიმე ბოლოდროინდელი გაუფრთხილებელი გამონათქვამი. „რადგან რუსეთი ჩვენს ღირებულებებს არ იზიარებს, ე.ი. უნდა შეველიოთ მათ? ეს რომ გამეკეთებინა, ჩვენს დემოკრატიულ ღირებულებებს ყირგიზეთით დავკარგავდით, ან ვიქნებოდით ისეთივე ღარიბები როგორც სომხეთია, რომლის ეკონომიკაც მთლიანად რუსეთზეა დამოკიდებული“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა Newsweek-ისთვის მიცემულ ინტერვიუში 11 აპრილს.

ქართული მედიიდან გავიგეთ, რომ პასუხად, ოფიციალური ერევანი ზრდილობიანი გაფრთხილებით შემოიფარგლა. სომხურ გაზეთებში, ტელევიზიასა და საზოგადოებაში ატეხილი ქარიშხალი კი ქართული საზოგადოებისთვის შეუმჩნეველი დარჩა. „ჯერ ვალი დაგვიბრუნეთ, ამხანაგო ქართველებო, და მერე ვილაპარაკოთ ვინ არის ღარიბი და ვინ მდიდარი“, — დაახლოებით ასეთი კომენტარები ისმის დღესაც.

ერევანში განსჯის საგნად იქცა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებაც. გრიგოლ ვაშაძემ განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში საქართველო და სომხეთი „სტრატეგიულ ურთიერთობებს გააფორმებენ“. სომხური მედია სარკასტულად აღნიშნავდა, რომ დღემდე საქართველოს საგარეო პრიო-

რიტეტები შემდეგნაირად ნაწილდებოდა: „სტრატეგიული პარტნიორობა“ აშშ-თან, უკრაინასთან, თურქეთთან და აზერბაიჯანთან, პარტნიორობა რუსეთთან და მხოლოდ „პრაგმატული ურთიერთობა“ სომხეთთან.

გაზეთი „ჟამანაკი“ წერდა, რომ „აქამდე სომხეთი საქართველოსთვის მხოლოდ მეზობელი იყო. რა შეიცვალა, რატომ გახდა სომხეთი საქართველოსთვის სტრატეგიული პარტნიორი?“ გაზეთის ვარაუდით, საქართველოს არც დღეს აინტერესებს სომხეთი და ეს ნაბიჯი, მხოლოდ „შეერთებული შტატების კარნახით სომხეთში რუსეთის გავლენის შესასუსტებლად გადადგა“.

მოგვიანებით, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარემ ჯემალ ინაიშვილმა რუსულ გაზეთ „კომერსანტთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ „სომხეთსა და თურქეთს შორის პირდაპირი სავაჭრო ურთიერთობების აღდგენა, საქართველოსთვის გარკვეულ ეკონომიკურ დანაკარგებს გულისხმობს, რადგან დღეს ამ ორ ქვეყანას შორის სავაჭრო გზა მხოლოდ საქართველოზე გადის“. ერევანმა ეს ღია ეგოიზმად და ცინიზმად აღიქვა, რადგან სომხეთ-თურქეთის საზღვრის პოტენციური გახსნა თავისთავად უზარმაზარი, თუმცა არა ერთმნიშვნელოვანი მოვლენაა მთელი რეგიონისთვის.

ავგისტოს ომის შემდეგ ორი საზოგადოების ურთიერთობაში ნიშანდობლივი ცვლილებები მოხდა. „სომხეთი საკუთარ ადგილს რეგიონში სხვაგვარად უყურებს“, — ამბობს ისკანდერიანი. „როგორ იყო ავგისტომდე? საქართველო — მონინავე ქვეყანა, გამორჩეული; საქართველო — დემოკრატიის შუქურა, მას ეპატიჟებოდა ნატო-ში. საზოგადოება სომხეთში კი ამბობს — და ჩვენც ხომ ვაკეთებთ ამ ყველაფერს, ჩვენ ეკონომიკაც უკეთესი გვაქვს, გზებიც, ხელფასიც მეტი გვაქვს, მთლიანი შიდა პროდუქტიც, მაგრამ მაინც სულ იმათ აქებენ, ყველგან იმათ ეძახიან. და აი, ავგისტოს ომის შემდეგ ეს ერთგვარი ეჭვიანობის განცდა გაქრა“.

ომის ერთ-ერთი შედეგია სომხეთის, როგორც კავკასიის ყველაზე სტაბილური და საიმედო ნაწილის, პოზიციების ფორმირება. მკვეთრად შემცირდა ყარაბაღის კონფლიქტის გამწვავების საფრთხე. ამას ხელი შეუწყო საქართველოს მიერ აპრობირებული სქემის კრაზმა: ჩავდებთ არმიას ბევრ ფულს, ვიყიდით ბევრ იარაღს და არალიარებული ტერიტორიების პრობლემას ერთხელ და სა-

მუდამოდ გადავწყვეტთ. ბაქოსთვისაც და ერევანისთვისაც ცხადი გახდა, რომ ეს გზა არ იმუშავებს. მნიშვნელოვანი არგუმენტი იხიცი, რომ თუ ნატო ფავორიტი-საქართველოს დასახმარებლად არ გაისარჯა, სამხედრო რიტორიკით განთქმული აზერბაიჯანისთვის ნამდვილად არაფერს გააკეთებს.

სომხეთმა საქართველო-რუსეთის კონ-

მეზობლების ურთიერთობაში ნიშანდობლივი ცვლილებები მოხდა. ავგისტოს ომის შემდეგ სომხეთში საქართველოს მიმართ ერთგვარი ეჭვიანობის განსვლა გაქრა და სომხეთი საკუთარ ადგილს რეგიონში სხვაგვარად ხედავს

ფლიქტში ჩაურევლობის შენარჩუნებაც მოახერხა. მან არ აღიარა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი და შემდეგ თავისი პოზიციის რუსეთისთვის ახსნა შეძლო. მან არ დაგმო რუსეთის ქმედებები და შემდეგ ეს ვაშინგტონს აუხსნა. სომხეთი შევიდა ახალ ევროპულ პროგრამაში — Eastern Partnership და ნატო-სთან თანამშრომლობა გააგრძელა. დაბოლოს, გამოჩნდა სინათლე გვირაბში, რომელიც ყველას სამუდამოდ დახშული ეგონა — დაიწყო დაახლოება თურქეთთან.

გეოპოლიტიკური სიმძიმის ცენტრის გადაადგილების აღბათობასაც კი, საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობებში დიდი გამოწვევები და ცვლილებები მოაქვს. შეკავებისა და წინააღმდეგობის სისტემა ძლიერია, მაგრამ გაუფრთხილებლობის შემთხვევაში ყველა შეკავება და წინააღმდეგობა მთელი სიმძიმით თავს დაატყდება ნაიარევ საქართველოს.

სომხური გაზეთი „168 საათი“ წერს რადიო „ეხო მოსკვიზე“ დაყრდნობით, რომ რუსეთმა საქართველოსთან კონფლიქტში, შესაძლოა, ახალი ინტერესი შეიძინოს, ამჯერად სომხეთის გამო: რუსეთი აპირებს დამატებითი ტექნიკით აღჭურვოს სომხეთში არსებული რუსული სამხედრო ბაზა და ვინაიდან საპა-

ერო გზით მძიმე ტექნიკის გადატანა შეუძლებელია, საჭიროა გზა სამხრეთ ოსეთსა და სომხეთს შორის.

მოდუნების დრო არავის აქვს. კავკასიის გავლენის სფეროებად დაყოფა კვლავინდებურად დღის წესრიგშია და საქართველოს სომხეთთან ერთად ძალუძს შესაძლო კატასტროფის თავიდან აცილება.

სომეხი ექსპერტები ირწმუნებიან, რომ სომხეთს კონფლიქტის გაღვივება არ სურს. მათი თქმით, სომეხები, მათ შორის ჯავახეთში მცხოვრებნი, არავითარ საეჭვო სცენარებში არ მონაწილეობენ. „თუ ვინმე იქ (ჯავახეთში) საქართველოდან გამოყოფის წინადადებით გამოდის — თავისუფლად შეგიძლიათ ისინი პროვოკატორებად ჩათვალოთ“, — ამბობენ სომეხი ექსპერტები.

მაგრამ საიდან უნდა შეიტყოს არსებული პრობლემების შესახებ ორივე ქვეყნის საზოგადოებამ, რათა ჩაერიოს და ვითარების დაძაბვა არ დაუშვას? ცხადია, ამ მცირე სტატიიდან არა. ქართულ-სომხურ ურთიერთობებში არსებული ყველა პრობლემა საქართველოშია — ანუ, სწორედ საქართველომ უნდა დაიწყოს მათი გადაწყვეტა. ძალზე მარტივია სამთავრობო და არასამთავრობო ქართულ-სომხური კომისიის შექმნა, რომელიც შეისწავლის და გადაწყვეტს ჯავახეთში მცხოვრები სომეხების პრობლემებს. ასეთივე კომისია შეიძლება შედგეს სადაო ეკლესიებთან დაკავშირებითაც. თუმცა, ასე არ ხდება, რადგან, როგორც ჩანს, უფრო გლობალურ პრობლემასთან გვაქვს საქმე — ქართულ-სომხური დიალოგის თითქმის არარსებობასთან. დიალოგი არ არის არც სამთავრობო და არც სამთავრობო დონეზე. მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ, ერთი მხრივ, ეს დიალოგი საქართველოს არ სურს; მეორე მხრივ კი, სომხურ მხარეს არ ჩანან რეალური ფიგურები, ვისთანაც დიალოგის გამართვა შესაძლებელი იქნებოდა.

დრო კი ძალიან ჩქარა მიდის. შეკავებისა და წინააღმდეგობების სისტემა ყოველდღიურად ახალი გარემოებებით მძიმდება. სიმპტომები სერიოზულ პრობლემებად გარდაიქმნება, რომელთა გადაწყვეტა სულ უფრო და უფრო რთული ხდება. ■

სტატიის მომზადებისას, ავტორი ეს-აუბრა სომეხ პოლიტიკურ ექსპერტებს — სადა ჟურნალისტებს, მათ შორის ალექსანდრისკანდერიანს, გევორკ ტერ-გაბრიელიანს და ნუნე სარქი-სიანს

თურქეთს აინტერესებს მხოლოდ პროცენი, სომხეთს – მხოლოდ შედეგი

ერევანი ჩაბვერი ალომხრეა ხანგრძლივ თანახში გაუარკვევლი ფინალით.>>

თათულ ჰაკოზიანი, ერევანი



■ თურქეთის პრეზიდენტი აბდულა გიული და სომხეთის პრეზიდენტი სარჟ სარჟისიანი თურქეთ-სომხეთის საფეხბურთო მატჩის დროს ერევანში

მიუხედავად არაერთგვაროვანი და ხშირ შემთხვევაში კრიტიკული შეფასებებისა, 22 აპრილს სომხეთსა და თურქეთს შორის ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელსაც „საგზაო რუკა“ დაერქვა, უპრეცედენტოა ორი მეზობელი ქვეყნის ურთიერთობაში უკანასკნელი რამდენიმე ათეული წლის მანძილზე.

თურქეთსა და სომხეთს შორის ორმხრივი ურთიერთობები 1922 წლიდან აღარ არსებობს. ანუ იმ დროიდან, როცა სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყანა — სომხეთი, საქართველო და აზერბაიჯანი, მოკლევადიანი დამოუკიდებლობის შემდეგ, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შევიდნენ.

1991 წელს ანკარამ ამ სამი ქვეყნის დამოუკიდებლობა აღიარა, თუმცა, საქართველოსა და აზერბაიჯანისგან განსხვავებით, უარი თქვა ერევანთან დიპლომატიური კავშირის დამყარებაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება მოტივირებული იყო იმით, რომ 1990 წელს მიღებულ სომხეთის დამოუკიდებლობის დეკლარაციაში წერია: „სომხეთი ხელს შეუწყობს 1915 წელს ოსმალეთის იმპერიაში და დასავლეთ სომხეთში სომეხი ხალხის გენოციდის საერთაშორისო აღიარებას“.

მიუხედავად სომხეთთან დიპლომატიურ ურთიერთობებზე უარის თქმისა,

თურქეთმა ორი ქვეყნის 325-კილომეტრიანი საზღვრის გამშვები პუნქტების ჩაკეტვა არ იჩქარა. ერთ-ერთი გამშვები პუნქტი გიუმრისთან მდებარეობს (აქვეა ასზე მეტი წლის წინ აშენებული ყარსი-გიუმრის სარკინიგზო გზა). მეორე გამშვები პუნქტი ერევნის სამხრეთით 40 კილომეტრშია. 1992-1993 წლებში — სომხეთისთვის ყველაზე საშინელი ზამთარის დროს, სწორედ ამ გამშვები პუნქტებიდან შედიოდა ქვეყანაში ხორბალი.

მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა ირანთან დამაკავშირებელი ხიდი, აღმოსავლეთით საზღვარი ჩაკეტილი იყო, ხოლო სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვრის მთელ პერიმეტრზე სისხლისმღვრელი ომი ბოქრობდა. იმ წლებში, სამოქალაქო ომსა და აფხაზეთის კონფლიქტში ჩართული საქართველოც არ იყო საიმედო ფანჯარა გარე სამყაროსთან კავშირისთვის.

თურქეთმა სომხეთთან საზღვრის ჩაკეტვა 1993 წელს გადაწყვიტა, როცა სომხურმა ძალებმა მთიანი ყარაბაღის მოსაზღვრე ქელაჯარის რაიონი დაიკავეს. გათვალისწინა რა ენობრივი, რელიგიური და სტრატეგიული ინტერესები თურქულენოვან აზერბაიჯანთან, თურქეთმა დაიწყო სომხეთის ბლოკადა, რომელიც უკვე 16 წელია გრძელდება.

1995 წლის 22 აპრილს ანკარაში

სომხეთმა და თურქეთმა ხელი მოაწერეს პირველ უწყებათაშორის დოკუმენტს, რომლის თანახმადაც, თურქეთმა სომხეთის საჰაერო ბლოკადა შეწყვიტა. ზუსტად 14 წელიწადში, 2009 წლის 22 აპრილს ორმა ქვეყანამ ხელი მოაწერა „საგზაო რუკას“, რომლის შინაარსიც (თუკი ასეთი არსებობს) საიდუმლოდ ინახება. დოკუმენტში კი, რომელიც საჯაროა, მხოლოდ ის წერია, რომ „სომხეთმა და თურქეთმა, შვეიცარიის შუამავლობით, ინტენსიურად იმუშავეს ორმხრივი ურთიერთობების ნორმალიზაციისთვის და ამ ურთიერთობების კეთილმეზობლურ და ურთიერთპატივისცემის ჩარჩოებში გადაყვანისთვის. ეს ხელს შეუწყობს მშვიდობის, უსაფრთხოების და სტაბილურობის დამყარებას მთელ რეგიონში... ამ კონტექსტში მხარეების მიერ განსაზღვრულია „საგზაო რუკა“. უკვე შეთანხმებული საკითხები უზრუნველყოფს ორმხრივი პროცესის გაგრძელების პერსპექტივას“.

ამ დოკუმენტის შესახებ სომხეთში 23 აპრილს შეიტყვეს. ზუსტად მეორე დღეს — 24 აპრილს, მთელი მსოფლიოს სომხები 1915-1918 წლებში ოსმალეთის იმპერიაში განვიტარებული ტრაგიკული მოვლენების დროს დაღუპული 1,5 მილიონი სომეხის ხსოვნის დღეს აღნიშნავენ.

მრავალი წლის განმავლობაში, ყოველ 24 აპრილს აშშ-ის პრეზიდენტები სიტყვით მიმართავენ აშშ-ში მცხოვრებ მილიონზე მეტ სომეხს და მე-20 საუკუნის დასაწყისში მომხდარ ტრაგედიას უსამძიმრებდნენ. და ისინი ყოველთვის იყენებდნენ ფრაზას „მასობრივი ხოცვა-ჟლეტა“.

წინასაარჩევნო პერიოდში ბარაკ ობამა შეპირდა ამერიკელ სომხებს, რომ არჩევის შემთხვევაში, 24 აპრილს სიტყვით გამოსვლისას, ყველაფერს თავის სახელს დაარქმევდა და ტერმინ „სომეხთა გენოციდი“ გამოიყენებდა. ამ დანაპირებმა ანკარა შეაშფოთა.

თუმცა, წელს თურქეთსა და სომხეთს შორის ურთიერთობების ნორმალიზაციის ხაზგასასმელად პრეზიდენტ ობამას თავის გამოსვლაში ტერმინი „სომეხთა გენოციდი“ არ უხსენებია.



სომეხი ექსპერტების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ობამას პოზიციის შემდეგ თურქეთ-სომხეთის საზღვრის გახსნა ნაკლებად სავარაუდოა.

თურქეთისთვის მთავარი იყო, ობამას გენოციდი არ ელიარებინა, ფიქრობენ ისინი, — საქმე უკვე გაკეთებულია, ომბას გენოციდი არ უხსენებია და საზღვრის გახსნაც თურქეთს არაფერში სჭირდება.

თურქეთთან ურთიერთობების სწრაფი დათბობის გამო, სომხეთის მოქმედი ხელისუფლება, პირველ რიგში კი პრეზიდენტი სერჟ სარქისიანი და საგარეო უწყების ხელმძღვანელი ედვარდ ნალბანდიანი მკაცრად გააკრიტიკა სომხურმა დიასპორამ.

ხელისუფლებას აკრიტიკებენ ქვეყნის შიგნითაც. სომხეთის პირველმა პრეზიდენტმა, დღეს კი ხელისუფლების მთავარმა ოპონენტმა — ლევონ ტერ-პეტროსიანმა, რომელიც თავის დროზე სომხეთ-თურქეთის ურთიერთობების ნორმალიზაციის მომხრე იყო, სარქისიანი ფაქტობრივად ლალატში დაადანაშაულა.

სომხეთის მეორე პრეზიდენტმა რობერტ კოჩარიანმა, რომელიც თურქეთთან ყოველთვის უფრო მკაცრი პოლიტიკის გატარების მომხრე იყო, ჯერ კიდევ მარშან ზაფხულში განაცხადა: მე რომ ვყოფილიყავი პრეზიდენტი, თურქეთის პრეზიდენტს აბდულა გიულს სომხეთში არ მოვიწვევდი.

განსაკუთრებული უკმაყოფილება გამოიწვია გასული წლის ივნისში სერჟ სარქისიანის მიერ მოსკოვში გაკეთებულმა განცხადებამ. სარქისიანმა აღნიშნა, რომ თურქეთ-სომხეთის საზღვრის გახსნის სანაცვლოდ, სომხური მხარე ისტორიკოსთა ერთობლივი სომხურ-თურქული კომისიის შექმნას დათანხმდება.

თურქები მუდმივად სთავაზობენ სომხეთს ასეთი კომისიის შექმნას, რათა ორივე ქვეყნის ისტორიკოსებმა ერთად გამოიკვლიონ მე-20 საუკუნის დასაწყისის მოვლენები. სომხური მხარე ამ შემოთავაზებაზე კატეგორიულ უარს აცხადებდა, რადგან ეს ნაწილობრივ იმის აღიარება იქნებოდა, რომ სომხეთი ეჭვქვეშ აყენებს გენოციდის ფაქტს.

რობერტ კოჩარიანის პრეზიდენტობის დროს, გენოციდის საერთაშორისო აღიარება სომხეთის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში დადგა. თურქეთმა უზარმაზარი ხარჯები გაიღო ანტიპროპაგანდისტვის. მიუხედავად ამისა, სომხეთს გენოციდი 15-მა ქვეყანამ, მათ შორის საფრანგეთმა, აღიარა.

თურქეთთან ურთიერთობის საკითხის მიმართ სამივე პრეზიდენტს ერთი საერთო მიდგომა აქვს — ერევანმა და ანკარამ დიპლომატიური ურთიერთობები ყოველგვარი წინაპირობების გარეშე უნდა დაამყარონ.

თუმცა, 1991 წლიდან თურქულ მხარეს თავისი პირობები აქვს. საზღვრის გახსნისა და ერევანთან ურთიერთობის აღდგენის სანაცვლოდ, ანკარა მუდმივად ითხოვს: 1. სომხეთმა მკაფიოდ განაცხადოს, რომ თურქეთთან ტერიტორიული პრეტენზიები არ აქვს; 2. შეწყდეს ოფიციალური ერევნისა და სომხური დიასპორის საერთაშორისო კამპანია 1915-1918 წლების ტრაგიკული მოვლენების სომხეთს გენოციდად აღიარების შესახებ; 3. სომხეთმა გამოიყვანოს თავისი სამხედრო ძალები მთიანი ყარაბაღის მოსაზღვრე ტერიტორიებიდან.

სხვა მხრივ, თურქეთი არასოდეს ამბობს უარს სომხეთთან ურთიერთობაზე. უფრო მეტიც, ანკარა თითქოს ცდილობს, რომ თუნდაც უმნიშვნელო კონტაქტიც კი, სერიოზულ პროცესად წარმოაჩინოს. ანკარის ინტერესებშია დაანახოს აშშ-ს, რომ სომხეთს გენოციდის აღიარების შემთხვევაში თურქულ-ამერიკული ურთიერთობები დაზარალდება; დაარწმუნოს ევროკავშირი, რომლის წევრობასაც იგი ესწრაფის, რომ საზღვრის გახსნასა და დიპლომატიური ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე დიალოგი სომხეთთან აქტიურად მიმდინარეობს.

ანუ, თურქეთისთვის მნიშვნელოვანია არა შედეგი, არამედ თავად პროცესი.

აქედან გამომდინარე, ერევანში ერთ-ერთ მთავარ ცოდვად სომხეთის ხელისუფლებას იმას უთვლიან, რომ თურქულ-სომხური მოლაპარაკებები მეთისმეტად საჯარო და რეკლამირებული გახდა, რაც მხოლოდ ანკარას ნისკვილზე ასხამს წყალს.

სწორედ ამ მიზეზით, კოჩარიანის ადმინისტრაცია თავს არიდებდა თურქულ მხარესთან საჯარო შეხვედრებსა და ღონისძიებებს მაღალ დონეზე. ამით იგი მიანიშნებდა ანკარას, რომ არ სურს ითამაშოს თურქული პოლიტიკა, რომლის მიზანია პროგრესის იმიტაცია.

თურქულ-სომხურ ურთიერთობებში პროგრესი მხარეებს სხვადასხვაგვარად ესმით. თუ სომხეთისთვის პროგრესი ნიშნავს საზღვრის გახსნას, თურქეთისთვის პროგრესი შეიძლება იყოს ოფიციალური და არაოფიციალური საჯარო შეხვედრები სომხურ მხარესთან.

ისინი, ვინც პრეზიდენტ სარქისიანის პოლიტიკას აკრიტიკებენ, ამბობენ, რომ

აუცილებელია განისაზღვროს კონკრეტული ვადები. ანუ, საზღვარი დაკეტა თურქეთმა და შესაბამისად, მანვე უნდა გახსნას იგი კონკრეტულ ვადებში. ამგვარი ვადების დასახელებას კი ჯერჯერობით პირი არ უჩანს.

ასე რომ, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წელს თურქულ-სომხური ურთიერთობები „ყინულის დნობის“ ეტაპზე გადავიდა, არავინ იცის როდის გამოჩნდება რეალური ნაბიჯები.

თურქეთ-სომხეთს შორის „ყინულის დნობის“ პროცესს ფრთხილად აკვირდება და ძალიან ღელავს თურქეთის სტრატეგიული პარტნიორი — აზერბაიჯანი. მას იმედი აქვს, რომ თურქეთის მხრიდან სომხეთის ბლოკადითა და ზენოლის სხვა მეთოდებით, ერევნის მხრიდან მთიანი ყარაბაღის საკითხის დათმობებს მიაღწევს. ბაქოში უკვე ისმის რადიკალური განცხადებები, რომ თურქეთი თავის „უმცროს ძმას“ — აზერბაიჯანს ლალატობს.

საინტერესოა საქართველოს ფაქტორიც. მოკლევადიან პერსპექტივაში, თურქეთ-სომხეთის საზღვრის გახსნის შედეგად იზარალებს მხოლოდ საქართველო, რომლის ტერიტორიაზეც გადის სომხეთის დანარჩენ მსოფლიოსთან ტვირთბრუნვის 70 პროცენტი. ასე რომ, საქართველოსთვის თურქეთის მიერ სომხეთისთვის ბლოკადის მოხსნა ავტომატურად ნიშნავს მილიონობით დოლარის დაკარგვას. სომხეთი თურქული პორტებით ისარგებლებს — ტერიტორიულად ერევანი ტრაბზონთან უფრო ახლოსაა ვიდრე ბათუმთან ან ფოთთან. ხოლო ყარსი-გიუმრის რკინიგზის ამოქმედების შემთხვევაში, საქართველოს რკინიგზას სომხეთისთვის აღარ ექნება ის სასიცოცხლო მნიშვნელობა, რომელიც დღეს აქვს.

გრძელვადიან პერსპექტივაში კი, თურქეთ-სომხეთის საზღვრის გახსნა სამხრეთ კავკასიის ყველა ქვეყნისთვის მომგებიანია.

თუმცა, დღეს ძნელია პროგნოზირება — შეწყვეტს თურქეთი სომხეთის ბლოკადას თუ არა. როგორც ჩანს, ანკარა სომხეთისგან დამატებით დათმობებს ელის. ნავა კი ერევანი ამ დათმობებზე თუ — კი, მაშინ თურქეთ-სომხეთის საზღვრის გახსნას, შეიძლება, სომხეთისთვის ფასი დაეკარგოს. ■

ბიზნესი

აქაზიანეზი ათოქეზი სტუბუბიკი



თუ იცი და მოქმედებ – მიადნევი!

გამონერისთვის დაგვიკავშირდით:
ტელეფონი: (995 32) 22 37 68
ელ-ფოსტა: subscribe@bs-magazine.com

გვისმინეთ

მთელ საქართველოში

უცვლელ სიხშირეზე

106.4

fm

www.fox.ge

